

ლიტერატურული გაზეთი

№8 (216) 20 აპრილი - 3 მაისი 2018

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

მითოსი ჩემი სიყრმის სამყაროა, მითოსურ სამყაროში ავიდგი ფეხი. ჩვენი ხეობა, შავი არაგვის ხეობა, ჩვენი და ჩვენი წინაპრების სალოცავი ხატებით, ხევისბერებით, დასტურებით, ხატის ვეება იფნებზე დაკიდებული ზარებით, სპილენძის დიდი სალუდე ქვაბებით იყო სავსე. ამ ხეობაში ერთად ცხოვრობდნენ ხატები და ადამიანები. ხატი იყო ხალხის მფარველი და იმედი, ხატი აშინებდა და ჩვენს ერდოებში შემოღწევას არ ანებებდა ავსულებს; ხატებზე იყო დამოკიდებული სიცოცხლე და სიკვდილი, ბედნიერება და უბედურება, დარი და ავდარი; მეორე მხრივ კი, ადამიანები განსაზღვრავდნენ ხატების ძლევამოსილებას — სანთელს უნთებდნენ, საკლავს უკლავდნენ, ლექსებითა და სიმღერებით განადიდებდნენ... გავიდა დრო და თვით ჩემივე წარსული და ჩემივე მამა-ბიძანი იქცნენ მითოლოგიად. აი, ისინი: ფარის უფროსი ნინია, რომელიც ჭრელ მინდორზე ჭრელი წინდებით მოცეკვავე ღვთისშვილად წარმომიდგება ხოლმე; მჭედელი ბეჟია, რომელიც ბუმბულის სიმსუბუქით იქნევს ვეება უროს და გავარვარებულ რკინას ბლუჯა-ბლუჯა ყვავილები სცვივა; მენისქვილე ჯირკვა, რომელიც დევის ქალს ყვარობს და ის ქალი წისქვილის საღვარედან შედის ღამ-ღამობით ჯირკვასთან... აი, ამ სამყაროდან გადმოვიდნენ ჩემი ლექსები და პოემები, პოემა „სიზმარეთელი დევები“.



გიორგი ლობჯანიძე „რაც ტკივილის ქვევით შენდება“

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პოეზიის ფორმისა და შინაარსის განახლებაში მამუკა წიკლაურის პოეზიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ის იყო პირველი ვერლიბრისტების თაობის წარმომადგენელი, რომელთაც ქართული ლექსი გაათავისუფლეს ყოველგვარი ფორმალური პირობითობისაგან და მკითხველს დაანახეს, რომ პოეზია იმდენად ირია, რამდენ ფორმასაც მიიღებს ბუნებრივად, როგორც ფორმითაც წამოჰყვება პოეტის მგრძობიარე ხელს მისი მარადნორჩი, სალუქი სხეული.

მეოცე საუკუნე გალაკტიონის პოეზიის საუკუნე იყო.

ცნობილი აზრია, რომ დიდი პოეტები, ერთი მხრივ, თუ წარმოუდგენლად ამდიდრებენ და აფართოებენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის თვალსაზრისს, მეორე მხრივ, შესაძლოა, ნამდვილ უბედურებად დაატყდნენ თავს იმავე ლიტერატურას საკუთარი ეპიგონების სახით, რომლებიც თავს ვერ აღწევენ გენიოსის ყოვლის მშთანქმელ ზეგავლენას და არანაირ სივრცეს აღარ ტოვებენ განვითარებისათვის.

ასე იყო რუსთაველის შემთხვევაში, რომელმაც მთელი ქართული პოეზია თითქმის 5 საუკუნის განმავლობაში საკუთარ ჩრდილქვეშ მოიქცია, ვიდრე დავით გურამიშვილი გამოჩნდებოდა და რუსთაველის დიდი პატივისცემითა და გათვალისწინებით, ქართული ლექსის სადინარს სრულიად ახალ კალაპოტს გაუჭრიდა, შემოიტანდა ახალ ფორმებსა და გამომსახველობით საშუალებებს და აღმოსავლური ეპიგონიზმის სიჭრელესა და ჩახუთულობაში პირველ ევროპულ ფანჯარას გამოსხნია.

თითქმის ასე მოხდა გალაკტიონთანაც. ის იყო იმდენად დიდი რეფორმატორი და ნოვატორი, ისე სრულად და ზედმინევენი ათთვისა ქართული ლექსის, განსაკუთრებით კი მისი კონვენციური ნაწილის შესაძლებლობები, რომ მომავალ თაობას თითქმის აღარაფერი დარჩა იმის გარდა, რომ გალაკტიონის მიერ შემოტანილი თემები, ინტონაციები, ზოგადად გალაკტიონის სტილისტიკა გაეგრძელებინა. თითქმის არ არსებობს კონვენციური ლექსის არც ერთი ფორმა, არც ერთი საზომი, რომელიც გალაკტიონის არ ექნებოდა თუ სრულყოფილად ათვისებული არაა, მოსინჯული ანუ პოეზიის სასიცოცხლო სივრცეში შემოტანილი მაინც.

ამ ვითარებაში პოეტების ახალგაზრდა თაობის ნებისმიერი მცდელობა კონვენციური ლექსის განვითარების თვალსაზრისით, მთლად მარცხისთვის თუ არა, გალაკტიონის დამლით აღბეჭდვისთვის მაინც იქნებოდა განწირული და მართლაც, ზოგი ბედნიერი გამონაკლისის (მაგალითად, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის ან ნიკო სამადაშვილის) გარდა, ამას ვხედავთ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

სამართლიანობისათვის, აქვე აღბათ საჭიროა გახსენებით მაინც გავისხენოთ ის პოეტები, რომლებიც შეეცადნენ, კონვენციური ლექსის მანამდე (გალაკტიონთან დაუფიქსირებელი) შესაძლებლობები გამოეველინათ და დაემუშავებინათ. დავასახელებდი გიორგი შატბერაშვილს, უფრო მოგვიანებით კი შოთა ჩანტლაძეს, რომლის ელვარე ტალანტი და მცირე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული და შესწავლილი.

თუმცა, რეალურად, გალაკტიონისაგან „გამიჯვნა“, გნებავთ, მისი ზეგავლენისაგან თავის დაღწევის მცდელობა იწყება 50-60-70-იანელებთან, რომელთაც დიდი წარმატებით სცადეს რეალური სიახლეების შემოტანა ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

ურთემენცები მამუკა წიკლაურის გამოუქვეყნებელი პოემიდან სიზმარეთელი დევები

პროლოგი

დევთნაფუძარი ჰქვია ამ ადგილს, დევის კლდე ჰქვია ამ ნამოსახლარს... მინის სიღრმეში იკარგება გამოქვაბული, თითქოსდა შავი ღამეების სამარხიაო... ხავსის საბნებში გახვეული მწვანე ლოდები გაქვავებული დევებივით იმზირებინან... არავინ იცის, ვინ დამარხა აქ ღამეები, ანდა რა ხელმა მოიტანა ქვა და სიპები — ვეება ქვები ვეება ქვებს ვინ შეუნყვილა, ზედ ვინ დააწყო

მინდვრებით ბრტყელი სიპები... — ამ ლოდებს კაცი, კაცის ხელი ვერ აზიდავდა, სხვა რამ ჯიშ-ჯილაგს აუგია ეს ბუნაგები, — იტყოდნენ ხოლმე ჩემს სიყრმეში ძველი კაცები და გაკვირვებით

აძეძებდნენ თოვლისფერ თავებს. დახავსებულან ეს კედლები — ეს ქვა-სიპები და ლეგენდებიც კედლებივით დახავსებულან: — დევებს ჰქონიათ ეს ადგილი დაჩემებული და ბუნაგებიც იმათ მოდგმას უშენებია. გამრავლებულან, გაბოტებულ-გამხვივნებულან, ხელს სდებდნენ

მთელ ამ გაღმითობა-გამოღმითობას. მაგრამ იმათი აღსასრულის უამიც დამდგარა — თავს დასცემიან ღვთისშვილები

ცეცხლის ლახტებით და მოუსრიათ, დაუნვათ და დაუნაცრიათ. თუმცა, ზოგს სჯერა, რომ ის დევები არ ამომწყდარან, არ გამქრალან,

კვლავ აქ არიან. ოლონდ ისინი ღვთისშვილთაგან დაშინებულნი, მინაში ჩაძვრნენ, მზის სინათლეს ემალებიან და მხოლოდ ღამით ამოდიან მინის სიღრმიდან — დადიან გზებზე ნაბადმოსხმულ მოჩვენებებად, ღამის წყვილიადმი დაცურავენ მოძრავ მთებივით და ჰყვება ხალხი

მათთან შეყრის ახალ ლეგენდებს: — დევების კლდესთან გვიან ღამით გამოვიარე, ცეცხლი დაენთოთ, ცას სწვდებოდა იმისი ალი, მესმოდა უცხო ყაყანი და ჟივილ-ხივილი, თუმცა დანახვით იქ ვერავინ ვერ დავინახე; — დევის ორმოდან მწუხარე ხმა ამოდიოდა, გლოვის ხმა იყო, ეტყობოდა,

მკვდარს დასტიროდნენ,

ხოლო კლდის თავზე მკვდარი დევის ლანდი ყიოდა და ფრინველივით დაფრინავდა ზეცის ქალაში; — ქვაბულის ყელში დევის სახე ამოილანდა და დამიძახა: — მეც მოვდივარ, დამიცადეო! გამოვიქეცი. ბრავა-ბრუგით მომდევდა უკან, ხატის მინამდე გადმომყვა და მერე გაბრუნდა, ველარ გაბედა სამანს აქეთ გადმოიფეხა; სოფელში ერთი ხეობარი ნინია იყო, შემხმარი ჰქონდა ცალი ხელი და ცალი ფეხი, — დევი დამიხვდა და შუაზე ჩამარღვიაო, — ამბობდა იგი...

ჩემმა სიყრმემაც იმ კლდეებთან ჩამოიარა, სულ იმ ყორეში მიმოვქროდიტ ხმაღამონვდილნი და ზავთიანად ჩავკიოდიტ და ჩავწყყოდიტ დამალულ დევებს მე და ჩემი ბიძაშვილები: — თუ ძალა გერჩით, ამოდიტ და ვიჭიდაოთო! ცოლსა და დედას ვუგინებდიტ

იმ საწყალ დევებს... ეს დღისით... ხოლო ღამით რას გავბედავდიტ იმ მიდამოში გავლასა და ხმის ამოღებას! ღამე სხვა იყო, იღვიძებდნენ ღამით დევები და შარავზებზე რქების ქნევით გამოდიოდნენ... შიშს ღამე უყვარს —

ღამით შავად შრიალებს შიში! ჩიტის ფრთხილიც თმას ზეცისკენ მიეზიდება... ვიძინებდი და იღვიძებდნენ სიზმრის დევები — ჩემი სიზმრები ივსებოდა დევების ხვნეშით, დევის ქალების სიცილით და თმების ფრიალით... ...და კიდევ ერთი — ჩემთან მუდამ სალომე იყო — ის ბრიალებდა ჩემს სიზმრებში, ის კაშკაშებდა, ის დაფრინავდა, ის ყვაოდა, ის კისკისებდა — ის იყო, რასაც სიყვარული ჰქვია სახელად!



VI-VII



გვანცა დოლუაშვილი შუშანა


დედამისის ხმაბალალ ტირილში არეული მამამისის ღრიალი კუდში მისდევს. მოვეკლავო, მაგ ძაღლიშვილსო — ჩახრინული მუქარა ცხრასართულიან კორპუსებს შორის ქარბორბალასავით ტრიალებს. შუშანა მის ძალას მთელ სხეულში გრძნობს. ეჭვი აღარ არის, თუ გაჩერდა, თუ არ გაიქცა, ჰაერში აიტაცებს და მიწაზე ცოცხალს აღარ დაუშვებს. თავს უნდა უშველოს. მამამისსაც უნდა უშველოს. ცოდვაში არ უნდა ჩააგდოს. უნდა ირბინოს. გარბის. თან, ფეხებს ვერ მომჭამო, აკანკანებულ კბილებში ცრის და ცრემლები ისე ლაპა-ლუპით ჩამოსდის, გეგონება, მის ფეხებს ეზოს ძაღლები გაავევებით სწორედ ახლა ძიძგნიან.

რა დროს ეს არის, მაგრამ ამასობაში დაისი ღრუბლებსა და მთებს შორის ნითელ კანტად იჩხირება. გეგონება, ქალაქს ვილაცქამ სადღესასწაულო აღისფერი ღენტი შემოახვიო. თითქოს სივრცე რაღაც ახლის გაჩენას, დაბადებას ელოდება. დაისით მორთულ-მოკაზმულ ქალაქს შუშანა თავისი აცრემლებული თვალებით გაფანტულ ციციანთელებად ხედავს. აქეთ-იქით მოსიარულე ადამიანები ჰაერში ლივლივებენ. სხვა აგებულების არსებობს ჰგვანან, მაგრამ მათზე ფიქრს შორს არ მიჰყვება. მათი აგებულება კი არა, ბედიც სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. თუ ყველას ჯანდაბამდე გზა აქვს, არც ეგ ადარდება. მთელი ცხოვრება მხარს რომ უსიტყვოდ უქცევდნენ, ეგ წამითაც არ ავიწყდება. მაგას ვერაფერი დაავიწყებს. მკვდარსაც კი ემახსოვრება.

აი, ცინგლიანი ბავშვები სულ სხვა ამბავია. მაგათზე ამას ვერ იტყვის. ეგენი ნაღდად არ ერიდებიან, მაგრამ ამასი სახეიროც არაფერი ჰყრია. შუშანა მათთვის უბნის მოძრავი ატრაქციონია — რომ მიუმვას, სხეულზე საკუთარ სახელებს ისე დააკანრავენ, თითქოს ჟანგმოკიდებული კარუსელის სკამი იყოს. არა, მანებები არ არიან. უბრალოდ მოსწონთ, გიჟთან გიჟებივით რომ იქცევიან. აი, ახლაც, ეეე, მოდისო, გავექცეთო, — ყვირიან აღმართის დასაწყისში და, — კაბა, ავუწიოთო, კაბაო, — ბიჭუნები თავქვე ჟივილ-ხივილით მოჰქრებიან. უხ, თქვენიო... ყოფას გიტყვებო, — ფიქრობს შუშანა და, როგორც ყოველთვის, ჩანთიდან მაკრატელს აძრობს. მაგასთან ერთად იმ ქვეყნად წასვლისაც კი არ ეშინია. აბა, კაცუნებო, მოდით ყურები დაგაჭრაო, — გასლიკულ ფეხებს განზე დგამს და მაკრატელს ჰაერში აკრატუნებს. თან ისეთი სახე აქვს, გეგონება, თოფი უჭირავს და ტყვიებით ღრუბლებს ცხრილავს. ნაცარში ჩავარდნილი კოვზის შემყურე ბიჭუნებს სახეები ეღუმებოთ. გართობა უნდაო, მაგრამ ნურას უკაცრავად. შუშანა ყოჩაღობს და პირში ჩაღას ყველას ერთიანად ავლებს. ესენი კენჭებსა და პირზე მომდგარ ცუდ სიტყვებს-და უშენენ. ამასი წუნს არც შუშანა უღაბს, — უტრაკოებო, უტრაკოებო, უტრაკოებო, — გაჰკვივის თავისას და სირბილს ჰაერში შემერთული დიდი რკინის მაკრატლით აგრძელებს. აღარ ტირის. დიდი ხანია, ამათ გამო სლუკუნს შეეშვა. მათგან მაინც არც ერთი არასდროს ჰყვარება. მხოლოდ სამი ადამიანი უყვარს. არა — ოთხი. ერთი, ორი სამი, ოთხი, — ნაბიჯებსაც ოთხამდე ითვლის. გზადაგზა თვალმოკრული სახლები კი განელილ კადრებად მისდევენ.

თითქოს ყველაფერი ერთმანეთში აიდლაბნა და თვალზე ბე აეკრა. ჰორიზონტი ცხვირზე დაუღებო. მთელი ქალაქი იმპრესიონისტულ ნახატს ჰგავს. ადამიანები კი სენსორული კარებებივით არიან — მიუახლოვდება თუ არა, განზე იწევიან, გზას უთმობენ. შუშანა ყველაფერს ხედავს, ყველაფერს ამჩნევს, მაგრამ არ უყვირს. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. არა, მთლად ყველაფერი არა, მაგრამ თავის ადვილს იმ ერთსაც მიუჩენს. კარს გაუღებს თუ არა, მაშინვე ეტყვის, აღარ გადადებს. მთავარია, სწრაფად გაუღოს. ელოდება. ზარს მოუთქმელი სულით რეკავს. ქოშინებს. არავინ ეპასუხება. არა და არა! შეუძლებელია, აქ არ იყოსო, — თავს იმშ-

ვიდებს, მაგრამ რაღაც ვერ გამოსდის. კარს ნიხლებს უშენს. სისხლძარღვები, ნაბახუსევზე მყოფი კაცივით, ეწრტება. ხელები ეკრუნჩხება, და უცებ, შემოდი მალეო, რას აბრაგუნებო, — ვაჟბატონი ბოლოს და ბოლოს კარის გაღებას კადრულობს და შუშანას სახლში ითრევს. კუთხეში მიდგმული მუცლიანი ტელევიზორის ეკრანზე ტიტრები ადიან. როგორც ჩანს, მის მოსვლამდე ფილმს უყურებდა. რატომ არ მიღებდიო, ეკითხება შუშანა, მაგრამ, ვაი, რომ სულ ტყუილად. ვაჟბატონი პასუხის გაცემას არც კი ფიქრობს. კითხვის გამეორებას ვერც თავად ბედავს. ისეთ ამბავზეა, მისი ხასიათის გაფუჭება არ აწყობს. იცის. ხვდება. ამიტომ ტელევიზორის წინ იცუცქება და, — ეეე, ტიტრებს შენც კითხულობო, ამბობს. მას კი არ ეუბნები, თავისთვის ამბობს. დაუფიქრებელ რომეოს რომ ეძახიან, აი, ზუსტად ეგრე. დასამალი არ არის, რომ საუბრის დაწყება უჭირს. ეგ პრინციპში მარტივი ძაან იშვიათადაა. თან ეს ვაჟბატონი თავს არაფერზე იწუხებს. სადღაც იყურება. ჯანდაბაში ყურებას რომ ეძახიან, აი, ზუსტად ეგრე. მგონი, არც



უსმენს. შუშანა ყველაფერს ხვდება. თუ ვერ ხვდება, გრძნობს მაინც. ჰოდა, ზის და ბრაზი წყლის გარეშე გადაყლაპული აბეზივით ეჩხირება ყელში. ხელებს უტყდება. ადამიანია, ნავგის გროვა ხომ არა?! ძალდად მაინც ჩააგდოს. ფორიაქი წერასავით იტანს. ჯერ მალლა იხედება. მერე ფანჯარას აშტურდება. ხან მუხლებს ეყრდნობა, ხან ფეხებს იკეცავს. მოკლედ, მდინარიდან ახლახანს ამოყვანილი თევზივით ფართხალებს. ვერაფრით თავსდება. ადექიო, აქ მოდიო, — ვაჟბატონი, როგორც იქნა, პატივს სდებს და ეძახის. თან საგარძღვლე გადანოლი მუხლის თავებზე ხელებს იმდღევანდელივით იკრავს...

სალამოა. სამსახურიდან ილიაში ცოცხგარბილი გამოდის — როგორც დედამისი ამბობს, გიჟებს ამ ქალაქში მხოლოდ ნავგის ხვეტას თუ ანდობენ. სახლისკენ მიფრატუნებს. თან საკუთარ თავს უღიღინებს. ისინი, ეს რომ ახვრებს ეძახის, უკნიდან ეპარებიან და რა წამს ერთ-ერთი ზურგზე ახტება, ხვდება, რომ კარგი დღე არ ელის. კი ხვდება, მაგრამ კარ დროსია. ახლად დაგებულ ცხელ ასფალტზე აგდებენ და სერიოც იწყება. მის კაბას სვავებივით კორტინიან. ალბათ თმის ღერსაც არ შეარჩენენ, მაგრამ ვერ ასწრებენ. გეყოფათო, — ვაჟბატონი მალაზიხი ღრიალით გამოვობს და აჟიკრებულ ღლაპებს ტკიპებივით სათითაოდ აცლის. დარეტიანებულ შუშანას ფეხზე აყენებს, კაბას უსწორებს და აჩეჩილ თმას ყურებზე უწევს. შუშანას ელიძება. თავს უცნაურად გრძნობს. თითქოს ცხელ ტაფაზე დაგდებული კარაქის კუბიკა და დნება. წესით, გული უნდა წაუვიდეს, მაგრამ მსგავსი არაფერი მოსდის. ყოჩაღად არის. ვაჟბატონს ცეტი ბავშვის ანცი ნაბიჯებით მიჰყვება. მადლიერია. საჰაერო ბუშტივით მსუბუქად რომ გრძნობს თავს, ხვდება და მაგას აბრალებს. აქამდე მსგავსი არაფერი

უგვრძნია. ან როგორ იგრძნობდა, ეს კაცი ხომ ახლა პირველად ნახა. უცხოა, იცის, მაგრამ საიმედოა, გრძნობს. ხელს ძლიერად ჰკიდებს. ჰგონია, შეუძლია, ჩამოეკონწილოს და თვალდახუჭული სიარული სცადოს. ჰოდა, ასევე იქცევა. თვალებს ხუჭავს.

ადექიო, რომ გეუბნებიო, — თითქოს უყვიროს და ფეხის თითებს მუხლისთავზე ჩამოჰკრავს. მისი ხმა შუშანას ფიქრებს საშლელივით უვლის და ოთხი თვის წინანდელი ამბიდან თავს პირდაპირ ანმყოში უკრავს. ახსენდება, რა ამბავზეცაა მოსული და თავიდან იძაბება. ფეხზე ისე დგება, თითქოს პატარაა. თითქოს რაღაც დაამშავა და დედამისმა წაასწრო. თითქოს იცის, რომ ახლა კუთხეში დააყენებენ. თითქოს ამისი კი არა, იმის ეშინია, ერთი-ორი თავშიც არ წამოარტყან. დედამისი სულ ასე იქცევა. ახსოვს. ეგ არ დაავიწყდება. რომ მოკვდება, მაშინაც ემბახსოვრება. დგას, დასჯას მომლოდინე ბავშვივით და ვაჟბატონს უყურებს. ის ჩუმად არის და შუშანას იქ ყოფნა დიდად არც ადარდება. თითქოს, წელანაც ზრდილობის გამო

დაუძახა. შუშანა ამდენს ვერ ხვდება. უბრალოდ გრძნობს, რომ რაღაც ისე ვერ არის, მაგრამ სხვა გზა არ აქვს. ველარ გადადება. თავს უნდა უშველოს. მამამისსაც უნდა უშველოს. თავს ხომ არ მოაკვლევინებს? ცოდვაში ხომ არ ჩააგდებს? ეს სწორი საქციელი არ იქნება. იცის. ამიტომაც ოთახის შუაგულში ზამბარასავით იჭიმება და — მე მარტო არ ვარო, იძახის. თან ფეხებს ისე აჯვარედინებს, იფიქრებს, შარდს იკავებსო. ოჰ, ახალი ამბავიო, ეგ მთელმა ქალაქმა იცისო, — ვაჟბატონი იცინის და წვერს თითებით ივარცხნის. რას ამბობო? მოიცადეო, ანუ შე... — ენა შუშანას ხახაზე თმის ბუნევით ეკრობა და, — მამ, უკვე გაიგე, რომ შვილი გვეყოლებო, — გაჭირვებით-და ამოთქვამს. ოთახში ჰაერი მომენტალურად იწინებება. ვაჟბატონს თვალის გუგები ბროწეულის ყვავილივით ეშლება. გაყუსული ზის და შუშანას ისე შესქცერის, თითქოს თვითონ — მეცნიერი, ეს კი მისი სამეცნიერო დაკვირვების ობიექტი იყოს. ეს უტყუნი მზერა ამას გაჩახახახებულ ოთახში გამომწყვდეული ღამურასავით ეხლება. ეშინია. ოლონდ არც კუთხეში დაყენების და არც თავში ხელის წამორტყმის. ამ ორს ერთდროულადაც აიტანს. გაუძლებს. სხვა რამის ეშინია. რაღაც ისეთის, რაც მანამდე არ გამოუცდიდა. ჩახუტება უნდა, მაგრამ ვერ ბედავს. თქმითაც ველარაფერს ამბობს. მას ელოდება. ის კი უყურებს და ხმას არ იღებს. დაჟინებული მზერა შუშანას მუცელზე ნიხლებივით ხვდება. სტკივა. თავს დაბლა ხრის და ხელით კაბას იჭიმავს. სიჩუმე მთელ ჰაერს ერთიანად ისრუტავს. შუშანას სუნთქვა უჭირს. ოთახი ჩიკორს ემგვანება, თითქოს ვიღაც ნელ-ნელა ატრიალებს.

წყლებს რომ ღვრის, უკვე საღამოა. მარტოა და ადამიანი კი არა, გვერდით ავეჯიც კი არ უდგას ისეთი, საყრდენად რომ გამოდგეს. ამ გაპარტახებულ სახლში, ნესტი ჭამს ყველაფერს. იცის, რაც ხდება, მაგრამ ყველაფერი ცალ ფეხზე ჰკიდია. ჰგონია, რომ იმის დაკარგვა, რამაც ყველაფრის გარეშე დატოვა, მტკივნეული აღარ იქნება. ერთი იმდენი, გარეთ გააღწიოს. ამ სახლში სიკვდილი ჩაძაღვებასავით იქნება, რაც არაფრის იმდენით არ უნდა. იქნებ გარეთ დამარხავს მაინც გამოჰკრას ხელი. ამ ფიქრის ამარა, ტკივილისგან დამანჭული სახით, საკუთარ გუბეში ოთხზე დგება და გარეთ გამავალი კარისკენ მიდის. თავს ისე გრძნობს, თითქოს ნემსები აქვს ნაყლაპი. დაყვირებაზე არც ფიქრობს. დედამისისგან იცის, რომ გიჟებზე უპატრონო ამ ქვეყანაში მხოლოდ ძველი ეკლესიის ნანგრევებია. ბოლოს ორივეს ეშმაკები ეპატრონებიანო, ეუბნება ხოლმე. მანდედან იცის. ეშმაკებს ვერ დაელოდება. ამიტომ რის ვაი-ვაგლახით კართან მიზობლავს, ფეხზე დგება და იატაკიდან საკუთარი სისხლის სუნი ჰყვება. კარს ანება თუ არა, მაშინვე იღება და გარეთ მიყუდებული ჯოხივით ვარდება. ეეე, გამოვიდაო, — ესმის შორიდან. ისინი, ეს რომ ახვრებს ეძახის, სახლთან ჩასაფრებიან. — ვახ, რა დავაშავე, — ფიქრობს და კაბის მოსისხლულ კალთებს მუჭში იქცევს. შიგნიდან რაღაც დაბლა-დაბლა ქაჩავს. წამოდგომას არ ანებებს. მგონი, ცოცხლებში აღარ წერია. დაბინდულ თვალებში, ბავშვების შავი თუთით მოთხუპნული სახეები, ეკლესიაში ნახს გამურულ ფრესკებს ჰგავს. ცხოვრება ისეთი მურტალი ვერ იქნება, რომ ამ კაცუნების ხელით გადამარჩინოსო, ფიქრობს და დასამარხად გამზადებული ადამიანივით წეება. ფაქტი კი ჯიუტობს, თავისი გააქვს — ეშმაკებს ბავშვები სჯობნიან.

საავადმყოფოდან გამომწერეს, სახლში ვბრუნდები. საშიში აღარაფერია. მამაჩემი ველარ მომკლავს. ორჯერ სიკვდილი შეუძლებელია. აისი მალალი კორპუსის სახურავებსა და ღრუბლებს შორის, აქა-იქ, ნითელ კანტადანა გაჭიმული. გეგონება, ქალაქს სადღესასწაული ღენტი შემოატარეს და მერე რამდენგანმე განგებ ჩაჭრესო. გახსენსო. მე ტაატით მივდივარ, ქუჩაში ხალხი კანტი-კუნტად მოძრაობს. ვაკვირდები. ამის გაკეთება აქამდე არასოდეს მიცდია. მათგან თავი შორს გეჭიროსო, ჩემებმა ბავშვობაშივე მასწავლეს. ჩემს დაცვას ცდილობდნენ. ეს ქალაქი ისედაც ვერ ირგებდა ჩემს დაბადებას. ყელში უგემური და დაუღებელი ლუკმასავით გავეჩხირე. მუდმივად ამოხველებას ცდილობს. შუშანას ადგილი აქ არ არის. სამყაროში ასეთი თუ სადმე რამე იყო, ეს ჩემთვის არავის უთქვამს. ამიტომ ადევნი და ვინროდ ყოფნას შევეგუე. შეგუება ხომ თმის ზრდასავით არის, თავისთავად ხდება. მაგრამ ასე, ვინროდ მყოფსაც კი ყველა მამჩნევს. თვალებით ყველა სკანირებას მიკეთებს — უყურადღებოდ არავინ მტოვებს. თვალს თვალში გავუყური თუ არა, მზერას მარიდებენ და ნაბიჯს უჩქარებენ. მექანიკურ თოჯინებს ჰგვანან, თითქოს საკუთარი თვალებით ვმართავ. თავი თოჯინების თეატრში მგონია, სადაც სათამაშოებს ფარდას ამოფარებულნი წვრილი ძაფებით ამოძრავებენ. ეს ყოველივე ერთდროულად სევდიანიც არის სახალისოც. კაცს თუ სხვა გასართობი არ გაქვს, შეიძლება, თავშესაქცევადაც ივარდოს. ვამონმებ. ვაკვირდები. მხოლოდ ერთიკიდა ბავშვებმა არ იციან, რომ უნდა მომერიოდნენ. მათ სულ რომ თვალებში ჩავუძვრე, ვერ შეგაშინებ. რას უნდა ერიდონ, ჯერ არ იციან. არ დაუზუთხიათ. როგორც დანარჩენ სამყაროს, მეც თვალების ბრიალით მიყურებენ და დროდადრო, მილიმიან კიდევ. მათ შემყურეს ისეთი განცდა მაქვს, თითქოს რაღაც გემრიელი ვჭამე, მაგრამ ვერ შევირგე. წაალი არ გაუვა, მუცელში მილილი ქალები გაიგებენ, რასაც ვგულისხმობ. სახლამდე ცოტალა დამრჩა. არსად გადახვევას აღარ ვაპირებ. ბუმბულით გამოტენილ ბალიშებზე ვფიქრობ. აივნის მოაჯირზე გასამზიურებლად მიწყობილ ბალიშებზე. დედაჩემი დროდადრო ბუზის სახოცს რომ უბრატყუნებდა, იმ ბალიშებზე. სითბოსგან აფუშფულებულ ბალიშებზე. და მაინც, რა იქნება, მზე მაინც იყოს, სითბო მაინც იყოს, ვინმე მაინც იყოს, ვინროდ მაინც ვიყო, ოლონდაც ვიყო, შუშანა იყოს...

დედაჩემს უნდა ველაპარაკო, დღესვე

კაცს, რომელიც იყო

ჰმარ კიდევ ბნელოდა, სამსახურში რომ მოვედი. ოფისი გორკის ქუჩაზე გვაქვს ნაქირავები. ეს ამ ქალაქში, დასახლებულ პუნქტებს შორის, ყველაზე შემადლებული ადგილია — ჩვენი სამხარეულოს ფანჯრიდან ქალაქ ხელის გულზე დაისვამ. აქ მალხაზის ახირებით გადმოვედით. სჯობს, შორიდან უყურო იმას, სადაც შენი ცხოვრება გაგყავსო, ხუმრობდა ოფისის ძებნისას. ხუმრობა იქით იყო, და ყოველ დღე თავით კი ხტება მაგ ამბავში — სამუშაო დღის ბოლოს, ფარდებს სწევს, პირში სიგარეტგაჩრილი რაფას ეყუდება და ოკრობოკო ქუჩებს გასცქერის. მთლად სათავისო ცხოვრება რომ არ აქვს, მაგ დროს ეტყობა — ძარღვებს დაუთვლი, რომ მონიდომო. ეს ჩვევა რომ არა, მის შუბლზე დაგრაგვანას ვერც ერთი ნაოჭი შეძლებდა. მე რე რა, რომ პატარა არ არის და დღე-დღეზე 57-ის ხდება. თავს დავებ, ცარიელი კალენდარული წლები ნოყიერი ნიადაგი არაფრისთვისაა. მონამეობრივი აღსასრული არ მინდა, ამიტომ რასაც გუმანი მკარნახობს, იმას ვამბობ — ადამიანები მაშინ ვებრძობები, როცა გვახსენდება, რომ ერთი კინკლა სიცოცხლე გვექონდა და ჩვენს გემოზე ისიც ვერ მოვირგეთ. მალხაზს ეგ განცდა არაფრის დიდებით ტოვებს. ნათქვამი აქვს, მაგრამ ფიქრმა შეყოლა იცის და სჯობს, დაწყებული ამბიდან ვიდრე ძაან შორს წავსულვარ, უკან მოვბრუნდე. მოკლედ, მალხაზი ოფისში არ დამხვდა. არადა, ნუხელ შევთანხმდით, რომ მუშაობას ადრე დავიწყებდით. პროექტის ფინანსური ანგარიში გვაქვს დასაწყისი. საოცარია. წლებია, ერთად ვმუშაობთ. უპასუხისმგებლო კაცი არ არის. ვიცნობ. ჩემი გათვლით და აწონ-დანონვით, სულ მცირე 10 წუთის მოსული მაინც უნდა ყოფილიყო. ეგრე შვრება ხოლმე — ჩემზე ადრე მოდის, გამათობებლს რთავს და წყალს ადუღებს. მე რომ მოვიდვარ, ოთახში მოტყევილი სიცივე, ჩემს ჭიქაში კიდევ ჩაყრილი შაქარი და ყავა მხვდება.

რა გაეწყობა-მეთქი, გავიფიქრე, სამზარეულოში სინათლე ავანთე და მადულარა ჩავრთე. პირველი ღერის მოსანევადა მოვემზადე. როგორც მალხაზი ამბობს, სიგარეტი ყავის გარეშე უჭარხლო ბორძს ჰგავს.

პატარა ნაფაზებს ვარტყამდი. უფრო სწორედ, ბოლს პირში ვიგუბებდი და რგოლებად ვუშვებდი. მალხაზს ვუცდიდი, მაგრამ ჯერ არსად ჩანდა. ცარიელ ქუჩაში კი არა, ხალხმრავლობაშიც კი გამოვარჩევ. რალაცნაირი, ნელში მოხრილი სიარული იცის. გეგონება, ჰაერს კი არა, წყალს მოაპობსო. დაბალი და გამხდარი კაცია. თვალში რომ ვერავის მოეჩხილება, ისეთი. მადულარაში წყალი ადგაფუნდა, ავდულდით. ქუჩა ჯერ ისევ ისევ მოშიშვლებული იყო. კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ტელეფონს დაგხედე — არც ერთი ზარი და არც ერთი შეტყობინება. ფორიაქმა ზამთრის სუსხივით დამიარა. ტელეფონში მისი ნომერი ავკრიფე და ცხვირწინ დავიდე. ვერ დავრეკე. დაგვიანების შესაძლო მიზეზები ჭინჭრებით მსუსხავდნენ. ქავილი ამიტყდა. საიმედო ვერაფერი მოვიფიქრე. მამამისი — მიელავდა ფონებში. ამბობდა, ვერ არის კარგად. ეგ იქნება. მაგიტომ ვერ მოვიდოდა, დავასკვნი ბოლოს და ტელეფონში აკრფილი მისი ნომერი, თვალის დახამხამებაში, ნავშალე. დარეკვა არ შემეძლო. რა უნდა მეთქვა? ასეთ დროს, რა უნდა თქვა? არა. ტყუილად არ დაიგვიანებდა. დარეკვად მაინც. ახლა ჩემს გუნებაზე სულ არ იქნება. შეიძლება, ჯერ არ მომკვდარა. მით უმეტეს, ჩემი თავი სულ არ ექნება. ისე, ამას წინათ კი თქვა, უკვე ისეა, საკუთარ სიკვდილს თვითონვე ეგუებო. თან გაიცინა, მაგრამ ნაძალადევიად. თუ არ იცნობ, თვალის ასახვევად გამინუნული სიცილი კი არა, ყელში ჩავგუბებულ ცრემლებსაც კი ვერ შეატყობ. ეგეთების დამალვა იცის. მოკლედ, სხვანაირი კაცია. ტონსაც კი არასოდეს უწევს. არა რა, აი, როგორ არ მირეკავს? ნამდვილად რალაც მოხდა. ცოლს დავურეკავ, ვფიქრობ და ტელეფონში მის ნომერს ვეძებ. სახელი არ

მასსოვს. აქაც მალხაზის ცოლად მიწერია.

როგორც ვიცი, 46 წლის იყო, ცოლად რომ მოიყვანა. ჩვენი ოჯახი სხვებისას არ ჰგავსო, ამბობს ხოლმე. ჩვენ შვილი არ გვეყოლა, მაგრამ მაგან წყალი ვერ შეგვიყვინაო. ჩემი ცოლი ისეთია, მის გვერდით ხან თავი თვითონაც ბავშვი მგონიაო. ჯერ მარტო ისეთ ჩიხირთმას აკეთებს, ამხელა კაცი ჭამისას თავიდან ვიბადებო. სხვანაირი ქალიაო. სიგარეტის მოწევა და ლუდის სმა დავანწყებინეო. სიმთვრალეში ლაპარაკს არაფერი სჯობსო. მალხაზმა ლამაზად ლაპარაკი იცის. მთვრალი ხალხი ერთ ენაზე საუბრობსო, მოიგონა ამას წინათ. ვახ, მაგის ცოლის სახელი როგორ არ მახსოვს? რა სირცხვილია. ადამიანზე ამდენი



რამე ვიცი და სახელს ვერ ვიხსენებ. ეს რა მიზეზი მოვიგონე ახლა? რა ხელის შემშლელი ეგ არის, მაგრამ რა ვიცი, ვთქვით, დავურეკე. რა უნდა ვუთხრა? თქვენი ქმარი სამსახურში არ მოსულა-მეთქი? იქნებ, სახლიდან გამოვიდა? იქნებ, ჰგონია, რომ უკვე აქ არის? არა, მალხაზი მოლაღატე კაცს არ ჰგავს. თუ ნამოვიდა, მოვიდოდა. თან ვინ-ვინ და ჩემზე უკეთ არავინ იცის, ცოლი როგორ უყვარს. ეგ ქალი რომ არა, ახლა აქ კი არა, ზღვაში იქნებოდა. დღემდე ვერ ვიფიქრებ, რომ მაგ ამბავს პირველივე სამუშაო დღეს მომიყვა. აფროსანი ვარო და იახტის ყიდვა მინდოდაო. ჩემი სახლის მონაცემები ყველა მაკლერს მაგიდაზე ელო და მეგონა, წლის ბოლოს უკვე ზღვაში ვიქნებოდიო, მაგრამ ამ სიყვარულმა წამში ყველა გეგმა და მონახაზი მომიჯოკრაო. ვერ ნამოვალ შენთან ერთადო, ხეტიალ-ხეტიალში ვერ ვიცხოვრებო, მითხრა და გული ამოუჯდაო. ოღონდ აღარ ეტირა, ზღვას კი არა, საკუთარ სახელსაც დავივიწყებდით. ასე იმიხვდი, რომ წინა ყველაფერზე მეტად მიყვარდაო. ჰო, ჰო, წინა ჰქვია. კარგია, რომ გამახსენდა. ახლა ავდგები და დავურეკავ. ვურეკავ. ზარი გადის. ველოდები. არ მპასუხობს.

საათს ვუყურებ, რვის ნახევარია. 30 წუთი. დაუჯერებელია. ამდენს არ დაავიანებდა. პასუხისმგებლობის გრძობა არ გაუშვებდა. დამირეკავდა მაინც. ვიცნობ. ამდენი ხანია, ერთად ვმუშაობთ. ტელეფონს ვამონმებ. ყველაფერი უცვლელია. არც ერთი ზარი და არც ერთი შეტყობინება. მის ნომერს ხელახლა ვკრეფ. დავურეკავ. რაც არის, არის. იქნებ, რა უჭირს? კი, მაგრამ რა უნდა უჭირდეს? ან თუ უჭირს, მე რას ვუშვებ? მამამისი თუ მოკვდა, მე რა ჯანდაბას-ლა შევცვლი? განა არ ვიცი, მამა რომ გიკვდება, გახეთქილ ბურთს რომ ჰგავს მთელი სამყარო? ვიცი. მალხაზთან მუშაობა ერთი წლის დანაწევრი მქონდა, ეგ რომ გავივ. მაშინ მეორე კურსზე ვიყავი. კარგად მახსოვს. უნივერსიტეტიდან დაბრუნებული, ეზოს შემოსახვევშივე მივხვდი, რომ მამაჩემი აღარ იყო. დედაჩემის ტირილი მთელ უბანს ესმოდა. მაშინ წასასვლელი რომ მქონდა, უკანმოუხედავად მოვკურცხლავდი — დედაჩემის საცოდაობის ყურება არ მინდ-

ოდა. ასეა, ვილაცხები სხვების სიკვდილს მარტივად ვეგუებო. უბრალოდ ახლოობის ნუგეში რომ არ შეგვიძლია, სისხლი მაგიტომ გვიშრება. არა, ვერ დავურეკავ. არ შემეძლია.

მაპატიებს. მიცნობს. მამაჩემის სიკვდილმა, ფაზლებისგან აწყობილი ფიგურასავით, როგორ დამშალა, მასზე უკეთ არავის ემახსოვრება. მოსული იყო. ან უნდა იტირო, ან დალიო, მითხრა, და რადგან ვერ ვტიროდი, ვსვამდი. ერთად ვსვამდით. ყოველ მოყუდებზე სიმხურვალე სხეულში ჭავლებად იშლებოდა და ყოველ უჯრედს ახალი მადლიანი პატრონივით ისაკუთრებდა. იმ ღამით მომეჩვენა, რომ სასაფლაო ეკლესიას ჰგავს. მალხაზმა თქვა, თუ ღმერთი სიყვარულია, მაშინ მას სწორედ აქ იპოვნო. რას გულისხმობ-მეთქი, ვკითხე და — აქ ყველაზე უკეთ გრძობ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება, მარტო დარჩე და რალაცნაირად, ყველა გიყვარდება, ვინც ამისთვისაა განწირულიო. ვიან აღმოვაჩინე, რომ ჩვენი ეს მიკობ-მოკობული საუბარი, გონებაში დაზუთხული ლექსივით ჩამრჩა. არადა, დავიფიცებ

დასაზეპირებლად კი არა, დასაფიქრებლად მითხრა. ეგეთი კაცია მალხაზი. სიტყვების ბანზე სროლა არ უყვარს. ამას არასოდეს აკეთებს. მოდი, დავურეკავ. რაც არის, არის. უკვე რვა ხდება. სერიოზული საქმე გვაქვს. პროექტის ფინანსური ანგარიში დაწერა, ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა ხომ არ არის? და საერთოდ, თუ ამდენს ვხვდები, აქ რას დავყუდებულვარ? წესით, ჩემზე უკეთ არავინ იცის, ამ პროექტში სული და გული რომ ჩადო. მიუსაფარი ცხოველებსთვის ქალაქში თავშესაფარი მოვანყვეთ. ხალხი სანამ ერთმანეთს არ შეიყვარებს, ასეა საჭიროო, ასჯერ მაინც აქვს ნათქვამი. თვითონ კი უყვარს ცხოველები. ამის გამოა, რომ თავისი სახლის პანია თავშესაფრად აქცია. შენ რა გგონია, ცოტა დაღმენილი ცხოვრება რომ გვექონდეს, ამას სხვები არ გააკეთებდნენო, მიტევდა, რა ნამს, ჩემი ჭკუით, მის ქებას ვინყვებდი. აი, ამ პროექტით კი მართლა ამაცობდა და საჭირო საქმეს რომ აკეთებ, არ დაგავინწყდესო, მეც მაგულიანებდა. ჰოდა, ახლა რას ვზივარ აქ დაქაჩული თვალებით? იქნებ, ჩემი იმედი აქვს. ჰგონია, რომ საქმეს თავს უმაგისოდაც გავართმევ. დიახ, არაფერია გამორიცხული. მე კიდევ უსუსაქმურობ და ველოდები. სირცხვილია, აბა რა არის?!

სამუშაო ოთახში სინათლეს ვანთებ. კომპიუტერს ვართავ და თავს ვიმხნევებ, რომ ყველაფერს მოვასწრებ. იმედს არ გავუტრუებ. ეგლა მაკლია, თავი შევირცხვინო. ექსელის ფაილს ვშლი. ორგანიზაციის ხელმძღვანელის გასწვრივ მისი სახელი და გვარი უნდა დაწერო. ვწერ. ნეტა, თვითონ სად არის? ნეტა, დღის ბოლომდე თუ მაინც მოვა? ისევ ტელეფონს ვამონმებ — არც ერთი ზარი და არც ერთი შეტყობინება. არ მცნობია ეს კაცი. მეყოს ახლა, რაებს ვიგონებ? რალაც მოხდა, ნამდვილად რალაც მოხდა. ნეტა, მამამისის სიკვდილთან შეგუება თუ მაინც მოასწრო? კი თქვა, მამაჩემი საკუთარ სიკვდილს ნებდებო, მაგრამ იქნებ ეგეც თავის საწვავად მოიგონა. აბა, ხომ არ იტყობა, სიცოცხლეს ებლაუჭებო?! არა რა, ვერ შეეგუებოდა. შეუძლებელია. მე, რა, შევეგუე? ვერა. სანამ მკვდარი არ დავინახე, ვერც კი დავუშვინ. ნუ, მერეც ბევრი არაფერი. საფლავთან

მდგომიც კი მის სიკვდილს კი არა, საკუთარს ვეგუებოდი. კარგად მახსოვს — სიცოცხლის დროებითობა აბსტრაქტული აღარ იყო. მისი არსებობა ყველგან იგრძნობოდა — თითქოს ვეხებოდი, ვცნობავდი და ვაგემოვნებდი. მალხაზი მართალია — მუდმივი არაფერია. არც სიკვდილის გემო და სუნია. ხან მთელი ბოთლი არაყი უნდა მიატანო, რომ დაედაყლაპო, ხან კი ნერწყვსვე ჩაატან. ალბათ ადამიანის მთავარი გამოწვევა სწორედ ეგ არის — მისი სიკვდილი სხვებისთვის რამდენად მარტივად მოსაწვლელი იქნება. ნეტა, მალხაზის მამა როგორი კაცი იყო. წესით, ცუდი ადამიანი არ იქნებოდა. აი, მალხაზის სიკვდილი კი მთელ ქალაქს ყელზე დაადგება. არა, აი, რა მალხაზის სიკვდილი? საიდან მოვიტანე? რაებს ვფიქრობ? მალხაზი ჯანმრთელობას არ უჩივის. არასოდეს დაუჩივია.

ამდენ ბოდილს სჯობს, დავურეკო. კი, მაგრამ რომ მიპასუხოს, რა ვუთხრა? სად ხარ-მეთქი, ვკითხო? მე მაგის უფროსად ვინ დამნიშნა? რა შენი საქმეაო, მიპასუხოს, ღირსი ვიქნები. მაგრამ, არა, ეგრე არ იზამს. თვითონაც იცის, რაზეც შევთანხმდით. არ დაავინწყდებოდა. ათი კაცის სამყარო პასუხისმგებლობის გრძობა აქვს.

ვურეკავ. ზარი გადის. ზუმერად ნაცნობი მუსიკა უყვინია. კი არ ვიცოდი, დედეტეც თუ უყვარდა. არ მპასუხობს. მთელი სხეული მექავება. შიში სისხლს კოლოსავით მწოვს. მკლავები სულ მთლად დავინითლე. ნეტა, დედაჩემი მაინც იყოს ახლოს. ყველანი სიკვდილის შვილები ვართო, იტყოდა და აიცრემლებოდა. მამშვიდებს, მაგას რომ ამბობს. რალაცნაირად ამბობს. ფარ-ხმალ დაყრილი ქალივით — არა. სხვანაირად. ჭკვიანი ქალივით. ისე, რანაირი ქალა დედაჩემი? არასოდეს მელაპარაკებოდა. ან მე რანაირი შვილი ვარ? არასოდეს ველაპარაკებო. მგონი, მხოლოდ ჭამის დროს ვსაუბრობთ და მაშინაც კერძების სიმლაშე-სიცხარეს ვზომავთ და ვწონით. ყოველთვის ასე იყო. მამას დროსაც. თითქოს ერთმანეთს გავურბივართ, საკუთარ თავებს ვუმალავთ. მგონი, ერთმანეთზე ვზრუნავთ. ერთმანეთს ვიცავთ. ყველაზე მტკივნეული ხომ იმ ადამიანის სიკვდილია, ვისი სიცოცხლეც ჩვენსას კვეთს. იქნებ ამიტომაც ვცდილობთ, რომ ჩვენ მხოლოდ სახლი და გვარი გვექონდეს საერთო. ნეტა, თუ გამოსვლის? სად წავედი? რაზეც ვფიქრობ? რა დროს ეს არის? უკვე 9 ხდება.

აღარ მოვა. ორი საათის დაგვიანებით მოსვლა, რა წესია? თუ მოსვლა იყო, მოვიდოდა. რომ შეძლებოდა, მოვიდოდა. ვიცნობ. თან ძალიან კარგად. მგონი, იმზარ კარგად, ვიდრე დედაჩემს. არაფერი მოუვა. შეუძლებელია, რამე მოუვიდეს. ჯანმრთელი კაცია. არასოდეს არაფერზე დაუჩივია. აბა, რატომ ვერ ვმშვიდდები? იმიტომ, რომ ჯანმრთელი ადამიანებიც პანტა-პუნტით ვკვებიან. ჰო, ეგრეა, ვიცი. ყველას თავისი სიკვდილი აქვს. მთავარი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ყველას ნაგებული გვაქვს. ღმერთო, როგორი ჭკვიანი ქალია დედაჩემი. კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი. ამ დღეებში უნდა ველაპარაკო. იქნებ, სადმე ნამცხვარზე დავპატიო-ყო? ეგრე ვიზამ. და მალხაზი? ნეტა ეგ რას ფიქრობს ამბავზე? მაგან ლამაზად ლაპარაკი იცის. ჩემსავით კი არ იბოდილებოდა, კოხტად იტყობდა. აი, გადმომირეკოს და ვკითხავ. არა. არა. რანაირად ვკითხავ? ვერ ვკითხავ. თუ მამა მოუშვებდა, ეგ რანაირად უნდა ვკითხო? არა, მაინც როგორ არ მირეკავს? იქნებ იცის, სიკვდილის რომ მეშინია და მამამისის ამბავს მიმალავს? ჩემი აფორიაქება არ უნდა. კარგი რა, ბავშვი ხომ არ არის? ამხელა კაცია. ეცოდინება, რომ გაურკვეველობაზე სამინელი ძაან ცოტად რამ არის. არა, რომ შეიძლოს, დამირეკავდა. ზუსტად ვიცი. ცოცხალი თავით, ასე არ მოიტყეოდა. ვიცნობ.

ტელეფონი რეკავს. დახედვას ვერ ვბედავ. საათს ვუყურებ — ათია დაწყებული. მორჩა, მალხაზი არ იქნება. აქამდე დამირეკავდა. ცოცხალი თვით, ამდენს არ მანერვიულებდა — ვფიქრობ და ტელეფონს ვთიშავ. ლაპარაკის თავი არ მაქვს. ან რალა სალაპარაკო? აღარაფერი. ერთი იმდენი, საქმეს მოვრჩე და დედაჩემს დავურეკო. ნამცხვარზე უნდა დავპატიო და ველაპარაკო, რაც შეიძლება, მალე. უკეთესია, დღესვე...



სიზმარი: ღვთისშვილების და ღვთის მამის


მთავარ დევს, ბახას სადევითი შეუკრები პირიმზე-ფუძის ანგელოზის დასალაშქრავად. გადმოაბნელებს თეთრი ქედის უღელტეხილი, გადმოთელეს და გადმოჯეგეს ღობე-ყორენი. ყორნებზე სხედან მეომარი დევისშვილები და ალესილ რქებს შუბებივით მოაელვებენ. ამობრიალდა ლალი პირიმზეც — მთებიდან მთებზე გადაიფრინ-გადმოიფრინა და გაანათა ხეობები იმისმა ლახტმა. პირიმზე-ფუძის ანგელოზის თავხევისბერმა ზარი დარეკა, საომარი დროშა გაშალა და ლაშქარს უხმო.

თეთრ ცხენზე რომ ზის, პაპაჩემი მუხიგულია! სადაც ომია, ეგეც იქაა! ერთად არიან ერთმანეთის დამამშვენებნი: კაცი-ათილა — მუხიგულია ჩამომავალი, ცხენი-თეთრონი — გაფრენილი თეთრი ქედანი და სატევარი უღმობელი გველისპირული. სხვებიც მოვიდნენ, უზანგები მოაფორიალეს — შედგნენ, თითქოსდა ქარი შედგა პირიმზის კარზე... ნეტავ, თუ ვინმე მოსწრებია — თვალთ ენახა ხატის მინაზე აღვირებით დაბმული ქარი?! ზეცა განათდა — ეს პირიმზის დასაშველებლად თეთრი არაგვის თავდამყურე ლომისა მოდის. — დიდება შენს ძალს, ლომა ხარის ჩამომავალო, ფარ-შუბიანო და ლახტიანო-მათრახიანო! რასაც დაარტყამ, ჩაარღვევ და ჩახეც ბოლომდე! — ილოცება და ზარებს რეკავს თავხევისბერი. დაჰქრის ათილა მუხიგული თეთრი ქარივით, ფეხქვეშ გაიგდო მისმა ცხენმა სიკვდილის შიში — ხეობისაკენ მიგორავენ დევის თავები. ...მყინვართა ზემოთ გაიღანდა ლაშქარის ჯვარი — ცაზე მავალი, ცეცხლოვანი ლახტის მტყორცნელი, გუდანის ხატი ნისლს გადმოჰყვავ ნისლისფერ ცხენით და ბახას თავზე გადანათდა მისი მახვილი. ომი გამწვავდა — მაგრებია დევის ბიჭებიც — დევხარონი, დევუხარა და დევყარტამა... მუხის ძალა აქვს მაგათაგან მოქნეულ ხელკეტს. ძნელი ომია, ქვა ქვას ხვდება და რკინა — რკინას. — პაპა სადაა? — ის ორ დევს ებრძვის, მესამე დევიც ათილასკენ მიექანება! დულს მუხიგულის გველისფერი გველისპირული... აპა, იელვა კლდეთარღვევი იახსრის ლახტმა და პაპას თვალნი დაინაცრა სამივე დევი. ...ომიც დასრულდა.

ვინც გადარჩა, შესხდნენ ყორნებზე და სქელ ნისლებში მიიკარგნენ ყრანტალ-ყრანტალით. მუხიგული კი წყაროს პირას დაჯდა დალილი — ნეტავ, დაჭრილი ხომ არაა?! თავზე ხელს იდებს! ბიძა ბუთულაც იქაა და რაღაცას ყვირის. — ნამო, სალომე, მიგუტანოთ მალამო, ალბათ, დაიჭრა. ეგ ხომ ტყუილად არ ჩაიშობლებდა?! ...თეთრი ქედისკენ გავიხედე და დავინახე — გამოცვივნილან დევის დები, დევის დედები, თმა გაუშლიათ და ტირიან დახოცილ დევებს. რა საწყალობლად ქვითინებენ დევის ქალები! როგორ უღმობლად გუგუნებენ ცივი ქარები!

სიზმარი: უცურ-მაცურის სიკვდილი

მომკვდარა დიდი უცურ-მაცური, გამხვივებული დევების მამა. დარანზე შავი ღრუბელია გადმოკიდული. გროვდება დევის ნათესაობა. ნიფორელ დევდიდს შავი ყოჩი მოუყვანია და შექვაბულის შესასვლელთან დაუბამს თოკით. თერგის დევი და თრუსოს დევი ერთად მოდიან, ქელეხისათვის რქამაღალი ხარები მოჰყავთ. ფშვ-ხვესურეთის დევდიდებიც ამგზავრებულან — უცურ-მაცური ნინახის დევს ბიძად ერგება და მოდის იგი შვილებით და შვილიშვილებით — ფეხს მძიმედ ადგამს და მოარღვევს მინას თოვლივით; არხოტის დევიც აიღანდა ნაროვნის ზემოთ — ჩანს, რომ მოკლეზე გადმოვიდა ჯუთის ხეობით — აუკიდია ლუდ-არაყით სავსე ტიკები. ეტყობა, ბევრნი შეგროვდებიან — გრძელ სუფრას შლიან ბერდის ჭალაში. ...ტირიან უცურ-მაცურის დები, აფრიალებენ ხმითნატირალს ცივი ქარები: — გზა გაგინათდეს, ჩვენო ძმაო, უცურ-მაცურო, ამაყად შედი ნინაპრებთანო, შიში არ იცოდა შენმა გულმაო და ვერც სიკვდილმა შეგაკრთო და შეგაშინაო... ...პაპამ: — ეგ დევი, უცურ-მაცური ძმაკაცი იყო, მეც მივალ და დავიტირებო, ქადა-პური და ლუდ-არაყი გამიშადათო. — დევი დევებმა უნდა დამარხონ, შენ იქ რა გინდა?! — განყრა ბებია, — დათვრებიან და ხომ იცი, რომ ჩხუბს აგიტხვენ!.. მაგრამ ათილამ არ დაუჯერა — ეგ ეგეთია, რასაც იტყვის, აღარ გადათქვამს! — ჩადო ხურჯინში ქადა-პური, ტიკით — არაყი და გზას დაადგა დევთნაფუძრის მიმართულებით.



მე და სალომე მალალ ბანზე ვდგავართ და ვუმზერთ ჭალა და ჭალა, ნელა-ნელა მიმავალ პაპას. ...აი, მივიდა, ჭირისუფლებს ჩამოუარა, წესით და რიგით მიუწყინა ჭირი მკვდრის ოჯახს და... ეს რა ხდება?! მართალია, თუ მეჩვენება?! გაოცებისგან ლამის ზეცას მივარტყა თავი! — ადგა ათილას დანახვაზე უცურ-მაცური, გესმით თუ არა, მკვდარი ადგა თავის კუბოდან! გადმოალაჯა და კარებში შეხვდა ათილას, გადაეხვირა პაპას ძმურად და ასე უთხრა: — სულ მოგელოდი, ვიცოდი, რომ გამოხვიდოდი და შენებური დატირებით დამიტირებდი. გმადლობ, ათილავ, ეგ კაცობა არ მოგეშალოს, ბევრი გაზარდონ შენფერები თქვენმა ქალებმა — თქვა და მიბრუნდა, ისევე მშვიდად ჩანდა კუბოში...

სიზმარი: დევხამპალონის და პაპას შუღლი

ნატბევეჭალაში დევხამპალონი და მუხიგული შეერკინენ ერთმანეთსაო, ომია, იძვრის ცა და მინა, დულს ჰაერიო, — გადმოისროლა ეს შავი ხმა შავმა ფრინველმა. მერე ჩამოჯდა შავი მაცნე ჩვენს დიდ კაკალზე და დანვრილებით ეს გვიამბო მე და სალომეს: — დევხამპალონი ობოლ მანასეს მივარდნია და ნიშა ხარი ნაურთმეგია — უნდა დაველა და ძმადევეები ვაქეიფოო. ბრაზით აენთო მუხიგული, ეს რომ გაიგო, შეჯდა თეთრონზე, დევხამპალონს ნამოენია და დევის ირგვლივ წრე მოხაზა გველისპირულით. — დადგენილია! — დევი ამ წრეს ვერ გადასცდება — გასავლელი გზა ჩაარღვია გველისპირულმა. დადგენილია ძველ დროიდან, ღვთისშვილებისგან, რომ გზა იმავე ხანჯლით გაიხსნას, რითაც ჩაეკეტეს! დადგენილია მუხიგულისგან! — დევხამპალონი უნდა მოკვდეს, ანდა — ათილა, დევი ვერ გავა მახვილისგან მოხაზულ წრიდან, მუხიგული კი დევხამპალონს არ გაექცევა! — ვინც გაიმარჯვებს, ის გამოვა წრიდან ცოცხალი! — შემოისროლა ეს შავი ხმა შავმა ფრინველმა და ისარივით შეიკარგა შავ ცაში ისევე. ...აი, ჩვენც იქ ვართ — ნატბევეჭალაში, ომია, იძვრის ცა და მინა, გმინავს ჰაერი. დევი კეტს იქნევს გაავებით, გამძვივარებით, პაპა ათილას აუშართავს თავის მახვილი. მინას მიარღვევს კეტი — ურთხმელს ჩამონაჭერი! ცაში კი შხვიის მუხიგულის გველისპირული! მაგრამ... რა ხდება?! მუხიგული დევს ვერ ერევა! მთელი ძალით სცემს გველისპირულ სატევარს, მაგრამ წვეთი რა არი! წვეთი სისხლიც ვერ დაადინა. — გასჭერ! — დასძახის თავის მახვილს მუხაათილა; — გასჭერ! — ყვირიან მალალი ხმით მალალი მთები; — გასჭერ! — დავძახით გველისპირულს მე და სალომე, მაგრამ არა სჭრის, დაიქანცა მუხაათილა, ნატბევეჭალაში განცვიფრება ჩადგა ნისლივით: — რამ დააჩლუნგა ფხაუშული გველისპირული?! ...და აი, ამ დროს, იფიქრებდი, ცა ჩამოტყდაო, შავზე შავ ღრუბელს ისევე მოწყდა შავი ფრინველი და დაიძახა: — ამოღე სცემს ათილა მახვილს, შეჯავშნულია ხამპალონი ქაჯების გრძნებით — გველისპირულით დევის ტყავი არ გაიჭრება! მისწვდა ათილას ყურთასმენას ხმა ფრინველისა — ხმალი დაადგო, დაეძგერა დევდიდს ჯიქურად, ხრინკული მოსდო და ზღარათანი მოსდგა ხამპალონს — ძირს დაეცა და დაიშალა თივის ზვინივით და... უცებ გაქრა, აინმინდა მინის პირიდან — ქარმა წაიღო, წყალმა შთანთქა, მინამ შეიშრო...

სიზმარი: ...და შეინივანე ღვთის ზაცას

კვლავ უხმო დევებს დევდიდმა ბახამ, თვალები ღამის სიბნელეში ააბრიალა და ნათქვამ სიტყვას რისხვის ჭავლი ამოაყოლა. ისე თქვა, თითქოს ქვას ფშვნიდა და რკინას ადნობდა: — ხთისშვილთა შიშით ქვაბებიდან ვერ გამოვდივართ, ვნევართ მთელი დღე სოროებში და ღამეს ველით, მაგრამ ღამესაც სავსე მთვარე და ვარსკვლავები არ გვანებებენ — შუბებივით გვესვრიან სხივებს და ჩვენს ღამეებს ალესილი შუქით ფატრავენ. ამიტომ უნდა ავფრინდეთ და ძირს ჩამოვადგოთ ყველა ვარსკვლავი — დაფულნოთ შუქის შუბები და მათი დედა — მთვარეც უნდა გავანადგუროთ! — ასე თქვა ბახამ, ბრაზისაგან მორღვეულ სახით. ...თქვა და აიჭრა ასი დევი ვარსკვლავებისკენ, შეისხეს ფრთები და შემართეს მუხის კეტები; როგორც წეროს მწკრივს მტაცებლები, ისე მიეჭრნენ საწყალ ვარსკვლავებს და სრულდება დედაბრის წყევლა: — ცა გაგიშვდეს, ცას სინათლე გამოელიოს და შენი ციდან ვარსკვლავები გადაშენდნენო... ...შეშინებული ვარსკვლავები მიანყდ-მოანყდნენ ცის კიდით კიდეს. დედამინაზე წითელ წვიმად ჩამოიღვარა ვარსკვლავთა სისხლი. აი, დევმირნი — დევკოჩა და დევბულაური, დევბუშუტა და დევგოროზიც აქვე არიან — გაავებულნი აფრინდნენ და მიეჭრნენ მთვარეს, კეტებს ურტყამენ, უზარმაზარ ლოდებს ესვრიან. საწყალი მთვარე! არც თოფი აქვს და არც — მახვილი, არავინაა მისი დამცველ-დამშველებელი... — გადმონათე შენი ლახტი, დიდო პირიმზეც! — ვყვირით და ვკვენსით, ცას შევტირით მე და სალომე. ილევა ჩვენი ღამაზი და ერთგული მთვარე, დნება და ჭკნება... ერთხელ სალომემ ლექსი გამოთქვა ცაზე, მთვარეზე და ნიფორელ ღამაზე ქალებზე: „მთვარეო, მთვარის ნაღვეო, ნიფორს ჩამოდი მალეო, აქ ქალებია ღამაზი — ზოგი მზე, ზოგი მთვარეო“. აღარ ამოვა სიყვარულის მფრქვეველი მთვარე, აღარ ნამოვა ნიფორისკენ... რა ეშველებათ ერთმანეთისთვის აყვავებულ შეყვარებულებს?! ან შეყვარებულ მდინარეებს რა ეშველებათ, წყლის დასალევად აღარ მოვა მწყურვალი მთვარე და წყლის სარკეში თავმომსწონედ არ ჩაიხედავს; რა გვეშველება მე და სალომეს — ტბათანას გზაზე მთვარე აღარ გაგვეფინება...

სიზმარი: ბრძოლა ღვთისმამის და ალ-ქაჯებთან

ისევ სალაშქროდ შეიმართა დევდიდი ბახა. ბახას ქაჯეთის დედოფალი ინაც მიემზრო და აი, ახლა შეერთებულ ლაშქრით მოდიან მაცილ-მაცდურნი, დევები და ფრთიანი მგლები. ორი ღრუბელი დევებისაა, ხოლო წითელი — ალ-ქაჯებისა. ბახას დროც კარგად შეურჩევია — არზანმა თოვლმა დაიტანა უღელტეხილი და ღვთისშვილები მთაგრეხილზე ვერ გადმოდიან... ზეცის სარკეში აიღანდა ქაჯთდედოფალი, ტრიალ-ფრიალებს, ქარზე ცეკვავს, თვალს აელვებს, ქალი კი არა — მზე მოფრინავს, მზე მოსრიალებს, ყვავილებისგან მოქსოვილი კაბა აცვია და ყვავილები აკერია ღამაზე ღილებად, თვალს არ მაცილებს, შემომცინის, შემომტრიალებს: — მე შენ მიყვარხარ! — ცეცხლს მიკიდებს მისი ჩურჩული... — მე შენ მიყვარხარ! — ყვავილივით დნება ყურებში. სალომე ამბობს: — თვალი თვალში არ გაუყარო,

თორემ ჯადო აქვს — წაგვიყვანს და დაგვარგავს ცაში, ვინც მაგას გაჰყვას, წავიდა და ველარ დაბრუნდა! აი, ამოწნდა სხივოსანი პირიმზის მხრები — ალქაჯთა თავზე, ჭიუხებთან შეითამაშა, მარტოს მოუწუნეს შავი ღრუბლის დანაფლეთება, მაგრამ მაგის ლახტს სიმარტოვის არ ეშინია — ცეცხლი და რკინა დაატყდებოდა თავზე ალქაჯებს. ...თავხევისბერმა ხატის დროშა გამოაბრძანა და ჩააბარა დალოცვილი დროშა სალომეს: — ნაუძედ ლაშქარს, პირიმზემ შენ ამოგირჩია ლაშქრისად გზების გამკვალავად და მხარდამჭერად! პირიმზის გვერდით შეიმართა სალომეს სახეც — ლამაზებია და ბრწყინავენ ვარსკვლავებით! — იფიქრებ, ორი პირიმზეა ახლა ცაშიო. ერთად დააცხრენ ნაპრალებში ჩასანგრულ დევებს და სანგრებიდან ცეცხლის ალი ამობრიალდა. აგერ, სალომე ქაჯთ-დედოფალს, ინას მიეჭრა და საყორნის მთის მწვეტ კლდეებზე დააბა თმებით. დიდმა პირიმზემ მოიქნია გრძელი მახვილი და ძირს დავარდა კოჭლი ბახას სამივე თავი. მაგრამ რა! ბრძოლის დასასრული მაინც არა ჩანს — თეთრი დევები ამოვხოცეთ და ახლა სერ-სერ შავი დევების უსასრულო მწკრივი ამოწნდა. ფრთიანი მგლები დავამარცხეთ და ახლა, აგერ, კუდიანების გრძელი თოკი ამოიგრავნა... ომი გაჭირდა, დაეძანა პირიმზეს მკლავი, დაღლილობისგან ატორტმანდა მისი ლაშქარიც. ...და, ამ დროს მინის წიაღიდან, მინის გულიდან გარდაცვლილთა ხმა გრიგალივით ამოიღვარა: — ასნიეთ სარქველს! ამოგვიშეთ! უნდა ვიომოთ! — ერთხმად ყვირიან ჩოხელთ ბერა, კობათ ჯოყოლა, თორელათ ლექსო და კაცილა ბუბუნაური... და სხვანიც ბევრნი: — ამოგვიშეთ! ამოგვიშეთო!.. — როგორ იომებთ, თქვენ ხომ მკვდრები ხართ?! — ამოგვიშეთ და მერე ნახავთ, როგორ ვიომებთ, მკვდრები რომ ვიყოთ, ხმას როგორღა ამოვიღებდით?! — ყვირის ღერენა ჩობალაური. — ახადეთ სარქველს, ამოუშეთო, — ბრძანებს პირიმზე. გადაავორა ხევისბერმა საფლავის ქვები — მინის ზევივით ამოხეთქეს მინის წიაღი, ამოვიდნენ და გრიგალივით მიანყდნენ მაცდურთ, დევების თავზე მახვილები გადაანათეს... და ხევისბერმა გამარჯვების ზარი დარეკა... ...ციდან კი ისევ ჩამოსმა წკრიალ-წკრიალი: — მე შენ მიყვარხარ! — ვილაცის ხმა თრთის ფოთოლივით. ...ალბათ, ინაა, თუმცა ინა როგორ იქნება?! ქაჯი ინა ხომ თმით დააბა სალომემ კლდეზე. — მე შენ მიყვარხარ! — სალომეა, სალომეს ხმაა — უკვე გამოწნდა, ისმის მისი ფრთების შრიალი...

სიზმარი: დროშა. მამალი. გველისპირული

აჩხოტის სერზე სერობა აქვთ ქვესკნელის შვილებს: დევებს, გზის მჩხიბავ კუდიანებს და მაცდურ ალებს: არავინ არ ჩანს სიბნელეში, მხოლოდ ხმა ისმის დევთა ბებური წინამძღოლის — დევკირკალასი. მისი სიტყვები ღამისაგან ნასროლ ქვებით ცვივა ყურებში: — გაგვითამამდნენ მუხიგული და მისი ძმები, შიში გაუქრათ, ღამეებშიც კი გვეჭრებიან, ჩვენს ტყეს ჩეხავენ, ჩვენს რქამალალ ირმებს ხოცავენ... თუ ომი უნდათ, უნდა ვეომოთ! — დედა ჩვენც გეზრდიდა, ომში მესვლა არ გვესწავლება, ქვებსაც ვისვრით და მინდის მაგარ კეტებსაც ვიქნევთ! თუ ომი უნდათ, უნდა ვეომოთ! ოლონდ ომამდე სამი ძალა უნდა წავართვათ: პირიმზე — ფუძის ანგელოზის სალაშქრო დროშა, წყვილი ღამის გამთენიები თეთრი მამალი და მუხიგულის ორლესული გველისპირული. ეს დიდი საქმე ასე უნდა გავინაწილოთ: — ნითელთმიანო ალბებუკო, გზათა მცარავო, სალაშქრო დროშის მოტაცება შენ გევალება! — თავგზა აუბი თავხევისბერს შენი მშვენიებით, გამოეცხადე ხატის ქალად, ხატის მლოცველად, დაალევინი დათაფლული მარხე არაყი და რომ დათვრება, ააპარე ხატის ალაში. მაგ დროშით ახლა ჩვენ ვილაშქრებთ და გავაკვირვებთ ცას და ქვეყანას ბრძოლებით და გამარჯვებებით; — ბედის ჩხიბვაში გამოცდილო, მაცდურ-მაცილო, უჩინმაჩინის ბინდისფერი კაბა ჩაიცვი, გამთენიისას დიდ მუხაზე აიპარე და თავის ყვირელზე ჩამოახრჩვე თეთრი მამალი! — დილით პირველი რომ ყივის და ალვიდ-აყვივლებს მთელი ხეობის დანარჩენ მამლებს! ეგ რომ არ იყოს, ღამე ველარ გათენდებოდა და სამუდამო ბნელ ღამეში ვინებივრებდით. — თეთრი მამალი ღამლამობით მუხაზე ჯდება და ხატის მუხაც ძირიანად უნდა მოვთხროთ... — შენ კი, დევგმირო დევხოკერავ, ამას გავალებ — გადაიპარო მუხიგული ათილას სახლში და მოიტაცო ორლესული გველისპირული. ვიცი, ძნელია მიეპარო ფხიზელ ათილას და პატრონივით ფხიზელ ძაღლებს — ბოლრას და ბოთას, ამიტომ ალი-მაძინარიც დაგვემარება — ის გადაასხამს ეშმაურ წყალს ათილას სახლ-კარს, კაცსაც და ძაღლსაც დააძინებს ძილქუში ძილით... ახლა კი მოვრჩეთ ლაპარაკს და მივხედოთ საქმეს!

— თქვა დევკირკალამ, დაასრულა ღამის სერობა. ...და აი, ჩვენსკენ დევხოკერა მოიპარება. ღრმა ძილით სძინავთ ბოლრას და ბოთას. სალომეს უკვირს: — თავებს ხომ არ იძინებენ ჩვენი ძაღლები დევდიდის შიშით?! შევიდა სახლში დევხოკერა, „მოშინაურდა“ — ქვაბებს ჩახედა, ამოთქვლიფა ხორცი და წვენი, მერე საწოლებს ფეხაკრეფით ჩამოუარა და გაიტრუნა მუხიგული ათილას ტახტთან. — პაპას ბალიშქვეშ უდევს თავის გველისპირული. შიშისგან ოფლში გაიღვარა დევგმირი დევი — ბედავს, ვერ ბედავს... ბედავს, ვერ ბედავს... ხელებს წაიღებს მახვილისკენ... უკანვე განეცხ... სალომე ამბობს: — მუხიგულის გველისპირული, მგონი, იღვიძებს, ფოლადის ხმა გავიგონეო... დევმა გახედა — ბალიშის ქვეშ შეყო ხელები და საკვირველზე საკვირველი ამბავი მოხდა — მართლა გაცოცხლდა მუხიგულის გველისპირული, ისე იწვილა, სულ დაიძრა ცა და ხმელეთი და რალაც ხელმა — უხილაგმა შემართა იგი... დევი შიშისგან აირია — კარების ნაცვლად კედელს მიანყდა, გაანგრია სახლის კედელი, მაგრამ იქ მუხას დაეჯახა და ძირს დაცემულს მუხაათილას ორლესული წამოეწია...

პილოზი

იყო და გაქრა — გაქრა ქარივით; იყო და დადნა — დადნა თოვლივით, გაქრა, დადნა და დაინაცრა მთელი ხეობა. წამლეკავ წარღვნას მუხიგულის გულიც დაწებდ — სასაფლაოდ გზით ჩაატარა თავის სიკვდილი, უკანასკნელად შეისვენა როჭოს წყაროსთან და ჩაეფარა, ჩააბიჯა ბოლო ნაბიჯი. აი, მაშინ თქვა უცნაური სიტყვა სალომემ: — ნეტავ, ჩვენც მაგას მიეყვებოდეთო, რადგან დრომ ჩაჭრა ჩასაჭრელი და ჩავიდაო, — დღეიდან აღარც წყალს ექნება თავისი გემო და აღარც სანთელი — სანთლის შუქიო, ველარ იფრენენ ფრინველები ღალი სრიალით და ყვავილებიც ღალად ველარ ითრთოლებენო... სალომეს სიტყვა საშინელი სიცხადით ახდა — დრომ დრო შეცვალა, დრომ დრო მოკლა, დრომ დრო გაცვითა, დრომ დრო ჩაწერა, დრომ დრო ჩაფლა, დრომ დრო შეიშრო, დრო გადაეშვა სხვა დროში და თავი დაიხრჩო. ...და ასე იქცა ცეცხლი ნაცრად, წყალი — ყინულად, მწვანე ფოთოლი — ყვითელ ფოთლად, ფიქრი კი — შხამად.

სალომეს სიტყვა საშინელი სიცხადით ახდა — გამოთამამდა ხეობაში სიკვდილის ცხენი, დუმილი ჩანვა ზარებში და თოფის ლულეებში. სალომე თავის ნისლებში და ღრუბლებში გაქრა, მე ჩემმა ნისლმა და ღრუბელმა დამასაფლავა. კენესალა დარჩა — კენესა ღმუის მინის წიაღში, კენესა ამოდის ნაქცეული ხის ფესვებიდან. ამ ხეობაში აღარაა ტოპონიმები — ახლა ყველაფერს კენესის ენა დაეპატრონა. ...და მეც იმ კენესამ ამითრია სამოგზაუროდ — ავდექ, ავიღე ხელჯოხი და როგორც ზღაპარში, გამოვემგზავრე ჩავლილ დროსთან დასაბრუნებლად. ...ძლივს მივთორიე დაქანცული ფეხები სახლთან, თუმცა, რა სახლი! — დაქცევა და ქვათაცვენაა — კედლები წამით გაჩერებულ ფრთებივით ჩანან — თითქოს ქვესკნელში ჩასაფრენად გამზადებულან ასე უაზრო ფეხზედგომით დაღლილი ქვები... დავდვი კარავი. დავნექი და ჩავეკარ მინას — ჩემს ქვებს და მინას ჩავეხუტე გულით და სისხლით. ...ისევ დევები დამესიზმრნენ: გადარჩენილან იმ უსაზღვრო განადგურებას! ატყდა ჩოჩქოლი, გადაძახილ-გადმოძახილი: — მუხაათილას შვილიშვილი დაგვიბრუნდაო... — სახლის ნანგრევთან დაწოლილა ეგ საწყალიო... — მარტოდმარტოა, ნანგრევებში შემინდებოა... — გადადი, შევილო, დევდორიხა, გამოალვიძე, გადმოიყვანე, ცივ მინაზე გაცივებო... გამოქვაბულის დიდ-პატარა ჩემსკენ გამორბის, მთის წვერებს მზე რომ დაეფინება, ისე ანთია სიხარული მათ სახეებზე. დევყოჩას თაფლი წამოუღია, ხოლო იმის ცოლს — შიბიანი ჭრელი წინდები, დევწობალაურს მწიფე მოცხრის ტოტები მოაქვს, დევყლურნიას კი დიდი დოქი უჭირავს ხელში: — ძელგი ღვინოა, დაქანცულ ბიჭს მოუხდებო; დევწოლარანა ლეკურ ნაბადს მოაფრიალებს: — დააფარეთ, არ შესცივდეს ბიჭსაო; სალომეს სახე სიხარულმა გაუჩახჩახა, სუროსავით მეხვევა და მკოცნის: — რა კარგები და ლამაზებია ჩვენი დევები! — ამბობს სალომე; მერე ამღერდა — მხრებით, თმებით, სანთლის ხელებით, მერე ამწვანდა — გაიფოთლა უსურვაზივით... დევდორიხაც აქაა, თებუროკაც აქაა, დევის გოგოც მოვიდა —

შემომყურებს ზღვისოდენა თვალებით, მეკითხება: — ხომ სულ აქ იქნებიო? დევის ყვავილის გვირგვინი ადგას და ველარ ვარჩევ — დეკაა, თუ დევის ქალია... და ველარ ვარჩევ — სალომეა, თუ დევის ქალი. დევდობას დედამ ცალკე გამიხმო და სიყვარულით ამოვსებულ ღიმილით მკითხა: — აი, ის გოგო, განუწყვეტლივ შენთან რომ იყო... ჰო, სალომეზე გეკითხები, ახლა სადაა? — სხვაგან წავიდა, ცადგადამფრენ ნეროებს გაჰყვა, ვთქვი და... უსიტყვოდ შევაცქერდი ერთიმეორეს... სიცივის ტალღა გაიშალა ქალის თვალეებში და სევდიანმა ჩამჩურჩულა ნანყვეტ-ნანყვეტად: — ეჰ, სიყვარული — სიყვარულის მიქცევა-მოქცევა, ეჰ, სიყვარული — სიყვარულის დილა-საღამო! მზეს ასდევ-ჩასდევს — ამოდის, ჩადის, სიყვარულის მზე ვინ შეიპყრო, ჩვენ რომ შევიპყროთ?! ...უცებ მზის ნაცვლად და მზის ადგილას სალომე გაჩნდა. სალომე მიმზერს, მარბმავებს და მათუდბნობებს, ვუჩინარდები, ვმარტოვდები, ძირ-ძირს ვეშვები, ვუახლოვდები სიკვდილის ნაპრალს — არც ისე ძნელი და მძიმეა, თურმე, სიკვდილი! სალომეს მკერდში და სალომეს მკლავებში ვკვდები, სალომეს ცეცხლში და სალომეს მზეში ვინვები. ...და გამელვიდა — გამიხილა თვალები ელდამ, გამოვერკვი და, რა? სალომე?! საყორნის კლდიდან გადმომდგარი მზე დამწოლოდა, მზე დამკიოდა, მზე ღვიოდა, დულდა და წუხდა... ნასულიყვენ დევები, ნასულიყო სალომე, ნასულიყო წარსული...

ასე მგონია, პირველად ვიგრძენ სიკვდილის სუნი მარტოობის ნაცრისფერ ველზე... და ისევ კენესა ამოცურდა ბნელ წიაღიდან: — შენ რომ გეგონა, დავბრუნდიო — ეგრე არაა! გზა უკვე განყდა — ვერასოდეს ვერ დაბრუნდები! დრომ დრო შეჭამა — გადაულრღნა ძარღვი კბილებით! ...უკანასკნელად შევაჭერ თვალი კლდე-საჯიხვეებს, თეთრი ნისლით აყვავებულებს; უკანასკნელად შევაღვი თვალი სალომეს შუქით განათებულ დევების ქალაქს; უკანასკნელად შევკიდე თვალი სალომეს აჩრდილს — შურთხივით რომ გადაიფრინა; ერთი ტკბილ-მწარედ გავილიმე, წამოვედი და იმის შემდეგ იმ ტკბილ-მწარე ღიმილში ჩავერჩი — ველარ ვიცილებ, ვერ ნავშაღე ჩემი სახიდან...



ბაბუა ალუდაურის ფოტოები



დასაწყისი პირველ გვერდზე

გიორგი ლობჯანიძე

„რაც ტკივილის ქვეშით შენდება“



კონვენციური ლექსის განახლებაზე, ახალი საზომების, ახალ-ახალი ინტონაციების დამკვიდრებაზე ამ პერიოდში ბევრმა მნიშვნელოვანმა პოეტმა იმუშავა, მათ შორის: მურმან ლებანიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ოთარ ჭილაძემ, გივი გეგეჭკორმა, შოთა ნიშნიანიძემ, იზა ორჯონიკიძემ, ვახტანგ ჯავახიძემ, ტარიელ ჭანტურია, დავით წერეთლიანმა, გივი ალხაიშვილმა.

აქ დასახელებულ ავტორთაგან თითოეული ძალიან მნიშვნელოვანი პოეტია და განუზომელია მათი ინდივიდუალური წვლილი ქართული ტრადიციულ-კონვენციური ლექსის შესაძლებლობათა ათვისების საქმეში.

ამ ყველაფრის პარალელურად მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მიწურულსა და სამოცდაათიანების დასაწყისში ჩნდება ქართული პოეზიის (თავიდან, შეიძლება ითქვას, რამდენადმე მეინსტრიმული) განსხვავებული მიმართულება — ვერლიბრი, რომლის ჩანასახსაც ვხედავთ იმავე გულაკიონთან რამდენიმე ბრწყინვალე ნიმუშის სახით, თუმცა, გულაკიონის პოეზიაში ეს ნიმუშები იმდენად ცოცხალია, რომ არსებითად მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვად, თამამ ექსპერიმენტებად შეიძლება შევაფასოთ და არა — პოეტის გამოკვეთილ ლიტერატურულ პოზიციად.

სამაგიეროდ, ლია სტურუასა და ბესიკ ხარანაულის გამოჩენამ ვითარება სრულებით შეცვალა და ქართული ვერლიბრის არნახულად მზარდი პერსპექტივები გადაშალა. სალიტერატურო სივრცეში თითქმის ერთდროულად მოსული ლია სტურუა და ბესიკ ხარანაული (ორივე ვერლიბრი მუშაობდა), მაგრამ ამის მიუხედავად, სრულებითაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს, ყველაზე უკეთ ადასტურებდნენ ამ ახალი მიმართულების სიცოცხლისუნარიანობასაც და ერთმანეთის შემოქმედების დიდ მნიშვნელობასაც. როგორც შემდგომმა პერიოდმა გვიჩვენა, ქართული პოეზიისათვის ვერლიბრიც ისეთივე ორგანული ნაწილი გახდა, როგორც კონვენციური ლექსი და ამჟამად ვერლიბრიც იმავე საფორმების ნინაშე აღმოჩნდა, რაც გულაკიონის შემდგომდროინდელ კონვენციურ ლექსს დაემუქრა. ორივე ამ პოეტს გამოუჩნდა უამრავი მიმბაძველი, რომლებიც არსებითად მათი სტილისტიკის ორბიტაზე ბრუნდნენ და ქმნიან ქართული ვერლიბრის გახეობის, დაშტამპვისა და დაშრეტის საშიშროებას.

თუმცა, თითქმის იმავე პერიოდში, ან შეიძლება ოდნავ მოგვიანებით, გამოჩნდა რამდენიმე ვერლიბრისტი, რომელიც არ ჰგავდა ამ ორ პოეტს და თავისი ინდივიდუალობით ქმნიდა ახალ მხატვრულ რეალობას. ისინი იმდენად საეყვანი იყვნენ შემოქმედებითი ენერჯით, რომ ეს ენერჯია მათთან ითხოვდა გამოხატვის განსაკუთრებულ ფორმას, მხოლოდ მათთვის მისაღებ და მოსახერხებელ თარგს, მათთვის ნიშნულ დამლას, რომლის წყალობითაც მათი ლექსი არავის პოეტურ ნიმუშში აღარ აგერევა.

ამ პოეტთაგან პირადად ჩემთვის ერთ-ერთი პირველია მამუკა ნიკლაური.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ქართული სალიტერატურო პრესის ფურცლებზე უმწვავესი პოლემიკა გაიმართა ქართული ვერლიბრისა და კონვენციური ლექსის ურთიერთმიმართების პრობლემაზე და ამ პოლემიკაში ვერლიბრისტიანობა და ვერლიბრის პოზიციას, ძირითადად, სწორედ მამუკა ნიკლაური იცავდა.

პოლემიკის მსვლელობისას მან შესანიშნავად დაასაბუთა ორი მოსაზრება:

პირველი ის, რომ ვერლიბრიც ისეთივე ორგანული ნაწილია ქართული პოეზიისა, როგორც კონვენციური ლექსი და მისი ძირები არა უცხოური პოეზიის გავლენებში, არამედ ძველ ქართულ პოეზიაში, თუნდაც რელიგიურ საგალობლებში უნდა ვეძიოთ.

და მეორე — ქართველი ვერლიბრისტების შემოქმედებითი მანერა და არჩევანი შეპირობებული იყო არა უცხოური გავლენებით, არამედ მათი შინაგანი მდგომარეობითა და სიხალისეურობით, თანამედროვე ეპოქისათვის შესაბამისი და ადეკვატური გამომსახველობითი ფორმებისა და საშუალებების მოძიების სურვილით. ეს უკანასკნელი აზრი მამუკა ნიკლაურ-

მა მოგვიანებით ნამდვილი პოეტური სიღრმით გადმოსცა ერთ ლექსში, რომელსაც ჰქვია „ენა, 2002“ :

ჩვენ შევესწართ — ენა სულს ლევდა და ანტიენა ბატონდებოდა.

ენას ნაერთვა ძალი და მადლი — სიტყვები ველარ ჭრიდნენ გასაჭრელს და უბრძოლველად გამოვრდნენ ბრძოლის ველიდან.

ენას ნაერთვა ძალი და მადლი — ხალხი ამ ენით ფიცს ვეღარ დებდა, ვერც სალოცავში ილოცებოდა და ვეღარც თავის წინაპრებთან ლაპარაკობდა.

გამოაცალეს ჩვენს ენას რკინა და ტყუილების თავშესაფრად აქციეს იგი, კაცჭრიჭინები გამოეფინნენ და ჭრიჭინდნენ ანტიენაზე.

...ჩამოიარა პაპაჩემის აჩრდილმა გზაზე, შეჩროდა, ყური დაუგდო ჭრიჭინს და ეს იკითხა

გაოცებულ-გაკვირვებულმა: — სად წავიდნენ სიტყვები? — ვინ დახოცა სიტყვები? — რა ომი იყო ასეთი ომი?

პოეზია ზოგჯერ იმ პრობლემის გაცნობიერებითაც იწყება, რაზეც ამ შესანიშნავ ლექსში ასე არაერთმნიშვნელოვნად არის ლაპარაკი. როცა ადამიანი გრძობს, რომ „ენას ნაერთვა ძალი და მადლი და სიტყვები ველარ ჭრიან გასაჭრელს“, მაშინ ცხადია, იწყებს ფიქრს სიტყვის გაფხავებაზე, ამ სიტყვების ნამდვილი შინაარსით ავსებაზე, რადგან ენის სიკვდილი და მისი სანაცვლოდ ანტიენის გაბატონება“ ნიშნავს ადამიანური ურთიერთობების რღვევასა და, საერთოდ, ერის სიკვდილს. უფრო ზუსტად: ამ სიკვდილის პირველი ნიშანი სწორედ ენის ცვეთაა; ენაზე, როგორც სიმართლის იარაღზე უარის თქმა.

ეს უარი კი მაინცდამაინც ლაპარაკზე ხელის აღებას კი არ გულისხმობს, არამედ, პირიქით, ეგებ ბევრ ლაპარაკს და ამ ლაქლაქში, რომელსაც მამუკა ნიკლაური ლექსში „ჭრიჭინად“ მოიხსენიებს, უმთავრესი შინაარსების დაკარგვასა თუ მათ გადასხვაფერებას. იმ შემზარავ სიტუაციას, როცა ამ ენით ფიცს ვეღარ დავდებ, ვეღარ ილოცებ და ვერც შენს წინაპრებთან ილაპარაკებ, რადგან ენის ძირითადი საყრდენი — სიზუსტე ან მორყეულობა, ან, საერთოდ, პირქვე დამოხობილი.

სიზუსტე კი, უპირველესად, სიმართლეს გულისხმობს და არა — სტილისტურ ღვარჭნილობას, ვთქვათ, ენის იმ ემპირიულ ყოფას, რომელშიც იგი ჩვენი ტელევიზიებისა თუ პრესის წყალობით ჩავარდნი-

ლა, საიდანაც არც თუ იშვიათად გვეუბნებიან ასეთ რაღაცებს: „დაზარალებულმა მოახდინა საკუთარი თავის მეცხრე სართულიდან გადაგდება“ ან „ვპატრულირებდი ჩემს კვადრატში“ ან „საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, გაუფლერდა იდეა ინვესტიციების კვოტირებისა და აკუმულირების მიმართულებით.“

ახლა რომ დავით აღმაშენებელი ან რომელიმე უსახლო უფლისციხელი წამოახედა, ნეტავ, თუ რამეს გაიგებდა ასეთი ქართულისა?!

ცხადია, ეს რიტორიკული შეკითხვაა და, ცხადია, მამუკა ნიკლაურის ზემოთ მოყვანილი ლექსი სრულებით სხვა რამეს გულისხმობს, ვიდრე პრობლემის ასეთი ზედაპირული გააზრება, მაგრამ ეს ლექსი იმიტომაც არის პოეზიის შესანიშნავი ნიმუში, რომ, ყველაფერთან ერთად ასეთი საფიქრალსაც აღძრავს, ასეც ეხმიანება დღევანდელ ყოფასა და სინამდვილეს.

ამ ლექსიდან კი ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ მამუკა ნიკლაურს სწორედ პოეზია ეგულეობდა გაბატონებული ანტიენის საპირწონედ თუ ამ ანტიენასთან ბრძოლის ყველაზე მარჯვე იარაღად.

ყოველ შემთხვევაში, მისი პოეტური კრებულების ნაკითხვისას, საცხებით ნათელია ერთი რამ — იგი არასოდეს წერდა ლექსს უბრალო მიზეზით და ცდილობდა, ყველა შეგრძნებისათვის უზუსტესი სიტყვები მოეძებნა: ზუსტი სიტყვები და ზუსტი ინტონაცია, რაც მკითხველს ამდენი ხნის მერეც კი დიდი ნდობით განაწყობს პოეტისადმი და მისი ნიგნების ფურცლებზე სულსაც მოათქმევინებს.

მამუკა ნიკლაური ნახევარტონების დიდოსტატია. ხშირად ის მხოლოდ მინიმუმით გვეუბნება მთავარ სათქმელს, მაგრამ ეს მინიმუმება სრულებით საკმარისია, ნამკითხველმა მერე დიდხანს იფიქროს ლექსზე, ან იმ შინაარსზე, რაც პოეტმა ამა თუ იმ სტრიქონში იგულისხმა.

მაგალითად, ამ პატარა ლექსში ისე ექსპრესიულად არის ჩანჩქილი ყოფნა-არყოფნის მთელი საკითხავი, რომ უნებლიეთ ყველაფერს ხვდები, რამაც პოეტს ეს სიტყვები ათქმევინა, ხვდები მიუხედავად იმისა, რომ არაფერია დაკონკრეტებული და „დაღეჭილი“:

შეპასუხება
ნუ მეუბნები — ნავიდა და აღარ არსებობს. ... მამუკა ეს არის, ეს ტკივილის ქვეშით რა არის? მამუკა ეს არის, რაც ტკივილის ქვეშით შენდება? ... ნუ მეუბნები — რაც ნავიდა, აღარ არსებობს.

ცოცხალი მგეგულება სხვა ხუთიოდე სტრიქონი, რომელიც ამ ლექსისწილობად იმოქმედებდა პირადად ჩემს შეგრძნებებზე, ასე გამიცოცხლებდა ემოციას ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ნავიდა, მაგრამ თავისი წასვლის ტკივილით ამაშენა, სწორედ ამიტომ არსადაც წასულა... გარს ქვებივით შემომწყენენ, გალავანივით...

მამუკა ნიკლაურის პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ნაკადი კი პირიქით, უაღრესად კონკრეტული ამბების განზოგადებას წარმოადგენს. ეს არის ერთიანი პოეტური საგა ან ის თანამედროვე ბალადები, რომელთა არქტიპიკ ქართული ხალხური პოეზიის ბალადებში უნდა მოვიძიოთ.

ამ ტიპის ლექსებში ძირითადი პოეტური ხერხემალი სწორედ ამბავია; მშობლიური მთის ამბები, რომელთა შემსწრეც ან თვითონ პოეტი გამხდარა, ან მის ყურამდე ძველებისგან მოუღწევია.

ამ ყაიდის ლექსები ხშირად სრულიად დაცლილია პოეტური სამკაულებისაგან: ძუნწად არის გამოყენებული მედარება თუ მეტაფორა, მეტონიმია თუ ჰიპერბოლა, მაგრამ საინტერესოა, რომ თვითონ ამბავი და, რაც მთავარია, ინტონაცია, თხოვის კილო, უაღრესად გულწრფელად მოყოლილი კოლიზია არ გიტოვებს პროზაიზმის ან ჟურნალიზმის შთაბეჭდილებას, პირიქით, ხვდები, რომ დიდ პოეზიასთან გაქვს საქმე, პოეზიის სწორედ იმ სახესთან, რასაც ადამიანი ყველაფერში ხედავს, თუკი მისთვის სიცოცხლე დიდი საიდუმლოა და ამ საიდუმლოს ამოხსნას, როგორც თავისი ცხოვრების, ისე სხვათა ბედისწერის გააზრების მეშვეობით ეჭიდება.

მაგალითად, აი, ეს ლექსი:

სეხნია უშარიძის დაკარგვა
ნავიდა, გაქრა. დაიკარგა. არ უკვილია თეატრალურად: გააჩერეთ დედამინა, ჩავდივარო; არც პატივების წერილები დაუწერია — თვითმკვლელები რომ ტოვებენ ხოლმე.

ნავიდა, გაქრა. დაიკარგა. არც ყოვლისწამლე უზავს ნაულეკავს და არც უფსკერო უფსკერულს ჩაუნთქამს — თუ კაცი ვერა, ყვავ-ყორნები ხომ მიაგნებდნენ და ყვავ-ყორნების ადათ-წესით დაიტირებდნენ...

ნავიდა, გაქრა. დაიკარგა. ჭორები ჭორებს გადაებნენ — გრძელ ჯაჭვად იქცნენ.

...დანამდვილებით მე და მთვარემ ვიცით, რაც მოხდა: ის, შუალამე რომ გადავიდა, ადგა, აკრიფა ფუნჯები და საღებავები,

მერე აიღო თავისი სევდა, ასწია მძიმედ, გავიდა გარეთ და შეუერთდა იმ ყოველივეს, რაც გარეთაა — ყაყანის, ჯგლეთვის, გრილის და დგრილის გარეთ. ის ხომ არ იყო აქაური, სხვაგნელი იყო და იქ ნავიდა, საიდანაც მოვიდა ერთხელ — აქ „გარეთ“ იყო, იქ კი „შინ“ არის. აქ უცხო იყო და უცნაური, ვერ შეგვეჩვია, ვერ დამკვიდრდა და გაგვეცალა.

გული მიტირის — რომ გაქრა და ჩვენ აქ დავგტოვა, იმაზე ვტირი.

საინტერესოა, რომ მამუკა ნიკლაურის ამ ყაიდის ლექსების პოეტური გმირები ძალიან ხშირად არიან თვითმკვლელები. ემჩნევა, თვითმკვლელობაც, როგორც ყოფიერების უდიდესი საიდუმლო, პოეზიის შემადგენელი, არსებითი ნაწილია. სხვაგვარად, შეუძლებელია აიხსნას ის, თუ რატომ ხდება პოეზია, ვთქვათ, ისეთი დეპეშურად მოყოლილი ამბავიც კი, რომელსაც ქვემოთ მოყვანილ ნიმუშში ნავიკითხავთ:



ინფორმაცია

თავი მოუკლავს — ციანიდი დაუღვავია. ალბათ, იმაზე მეტს ნუხდა და იტანჯებოდა, ვიდრე გულს ჰქონდა ამის შეძლება.

იმაზე მეტი საფიქრალი თუ დაესია, ვიდრე ტვინს ჰქონდა ამის შეძლება და მის სხეულში ურდოსავით შეიჭრა ფიქრი.

ალბათ, იმაზე მძიმე კითხვა მოხვდა მის ციხეს, რაზეც გათვლილი იყო კედლები და ურნალებმა შემოიღწერეს ციხე-ქალაქი.

ალბათ, იმდენი ტვირთი აიღო, რომლის ტარებაც ვერ შეიძლეს იმისმა მხრებმა და ჩაიკეცა... თავი მოიკლა.

არსებითად, ამავე ყაიდის ლექსებს განეკუთვნება სალომესადმი მიძღვნილი ციკლი, რომლის ლირიკული გმირიც შეიძლება, პოეტის მარადიულ სატრფოდ ან სიყვარულის ხორციელ მეტაფორად ვიგულისხმოთ. სულერთია, გამოგონილ თუ რეალურ ამბავს ამხაფრებს ის, რომ შეყვარებული გარდაცვლილია, მაგრამ სიყვარული არ დასრულებულა. უფრო მეტად ჩახვეულა საკუთარ თავში, როგორც შეუცნობელის გორგალი, რომლის სხივიც იმ ქვეყნიდან მსჭვალავს პოეტის ამქვეყნიურ არსებობას:

ისევ ჩაიცვი ჭრელი მინდორი
ნამსხვრევებია დარჩა, სალომე,
იმ მინისძვრის დროს დავარდნილ სარკის.
მოდი, შევკრიბოთ ეს ნამცეცები,
ნარსული ისევ შევაკონინოთ,
მე მინდა ისევ აღვადგინო ნამსხვრევებიდან
შენ დამეხმარე — აღვსდგე სარკის ნამსხვრევებიდან.
ისევ ჩაიცვი ჭრელი მინდორი,
თმებში ცის ნამი ჩაიბნე და გამიცინე.
მე ისევ გეტყვი: დავბრუნდები აუცილებლად!
შენ მიპასუხე — სამუდამოდ დაგელოდები!

...
დრო და ჟამი კვლავ ამბობენ ათასჯერ ნათქვამს:
აქ, ჩვენთან ხდება დამსხვრევა და განადგურება,
ხოლო აღდგენა და აღდგომა
ზეცაში წყდება...
მე მაინც გეტყვი: დავბრუნდები აუცილებლად!
შენ მიპასუხე: უსათუოდ დაგელოდები!

ერთხელ უფროსმა კოლეგამ, პოეზიის საიდუმლოებებზე საუბრისას, ძალიან მნიშვნელოვანი რამ მითხრა: არ არის კარგი, სიყვარულზე ლექსში პირდაპირ ილაპარაკო — უფრო მეტიც, თუკი ლექსში პირდაპირ ამბობ, მიყვარხარო ან სიყვარულს თავის სახელით მოიხსენიებ, ეს უკვე პოეზია აღარ იქნება.

ალბათ, გარკვეულწილად მართლაც ამბობდა. ოღონდ, რა თქმა უნდა, სიყვარულსაც გააჩნია, და პოეტსაც. მაგალითად, მამუკა ნიკლაური ის პოეტი იყო, რომელსაც არ ეშინოდა სიყვარულზე ლექსში პირდაპირ ელაპარაკა. რადგან სრულებით ნათელია, რომ სიკვდილის ან თვითმკვლელობის დარად, მისთვის სიყვარულიც ბოლომდე იმ საიდუმლოდ დარჩა, რომელსაც ჩვენი დამოკიდებულება ხსნის და არა მასზე პირდაპირ თუ ირიბად ლაპარაკი. დამოკიდებულებას რაც შეეხება, ალბათ ძალიან ძნელია, მონახო მეორე ისეთი პოეტი, ვისთვისაც ასეთი ვაჟკაცური, რაინდული გამოცდილება იქნება ქალის სიყვარული და მერე ასე ღირსეულად, თავდაჭერით გადმოსცემს ამ გამოცდილებას პოეზიაში. ძირითადად, ხომ როდესაც სიყვარულზე ვწერთ, საკუთარ თავს ვტირით ან იმხელა ეგოიზმით ვართ მოცულნი, რომ გვაინყვებდა სიყვარული, რომელზეც ვწერთ, მეორე ადამიანსაც რომ გულისხმობდა: ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავი გვახსოვს თვით იმ მეორე ადამიანშიც. მამუკა ნიკლაურის პოეტური სიყვარული კი მთლიანად დაცლილია ეგოიზმისაგან, ამიტომაც მისი „სალომე“ კონკრეტული ქალის ხატებად კი არა, რაღაც მისტიკურ მიჯნურად აღიქმება, სასიცოცხლო სუბსტანციად, ურომლისოდაც არაფერი არსებობს და არ იარსებებდა.

ზემოთქმულის დასტურად, თუნდაც ეს პატარა ლექსი გამოდგება:

როგორც ირემმა

ხედავ, როგორი სიყვარული აქვთ
მუხას და გრიგალს.
რა თავგანწირვით და თავშენირვით
ეხვევა მუხას აშარი ქარი!
...მე კი სხვაგვარად მიყვარხარ, —
შორეული ხარ
და შემოგყურებ,
როგორც ირემი შეჰყურებს მთვარეს...

საერთოდ, იმის მიუხედავად, რომ მამუკა ნიკლაურის პოეზიაზე რამდენიმე შესანიშნავი კრიტიკული წერილია დანერგილი (ჯერ მარტო მისი ერთტომეულისათვის თემურაზ დოიაშვილის წინათქმა რად ღირს), ეს ბრწყინვალე პოეტი მაინც ელოდება თავის კუთვნილს: მჯერა, წლებთან ერთად, კიდევ უფრო დაიდებს ფასს მისი გულწრფელი სიტყვა და მისი მნიშვნელობაც მშობლიური ლიტერატურისათვის სულ სხვაგვარად გამოიკვეთება, რადგან ადამიანი მიდის, მაგრამ მასზე გამძლეა ის, რაც ტკივილის, ნამდვილი ტკივილების ქვებით ამენდება!..



ია ჯინჭარაძე

ყური დაუგდე,
თოვლში როგორ გარბიან ირემები.
და ან ბელურა როგორ ეცემა
ჩრდილივით ჩუმად.
ბავშვები როგორ სრიალებენ
და იცინიან...

მე კი ვითვლი ხელის თითებს,
უსასრულოა მათი რიცხვი
და მე მრცხენია უძღურების,
ჩემი სიტყვები,
ტოტზე მიყინული ტყის ხილივით
ვის გადაარჩენს?
ჩემო თხუპნია ცისარტყელავ,
ვერ მოგატყუებ!
ჩვენ არ გვჭირდება ციფრები
თოვლის თოვლზე მისამატებლად
და არც მე ვიცი,
თმებს ვინ ვარცხნის
პატარა მთვარეს
და დაკარგულმა შველმა
როგორ უნდა გაუძლოს
ამსისქე ზამთარს?
ცეცხლს ვერ დაანთებს.
ხელში მაჩეჩებ ფურცელს,
ყირამალა ასოვით
და მეუბნები —
ნამიკითხე, რა დაწერე!
და მე ვკითხულობ —
ნუ გეშინია,
მზე ყოველთვის ამოვა, დედა!
— საიდან იცი? —
და მე ვკითხულობ —
ყოველთვის ვიცოდი!

ნუ გაუნყრებით
წვიმას და წვიმას,
თუ გადააქცევს
სველ ნაკუნებად
ქალადის ჩიტებს,
უმისამართოდ
ნასულებს ცაში,
თუ დააშავა.
და ჰგავს მინისქვეშ
მოქცეულ მინას,
არწევს სიბნელეს
და თვალებს ახელს
და მერე,
როგორც გულაღმა თევზი,
მიჰყვება უცხო
მდინარის ძახილს.
და გაყინული
მინდვრების გაღმა,
ყმუიან, როგორც
ძვალტყავა მგლები,
მათი ხმა ფარავს
ძაღვების ლავლავს,
მათი ხმა ფარავს
ყრუ ბუტბუტს ბებრის —
ნუ გაუნყრებით
ჩიტებს და ჩიტებს...

გამიცვალე სამშობლო!
როგორც ბავშვები
უცვლიან ერთმანეთს პუდინგებს
და მოქარგულ ხელსახოცებს.

როგორ მინდა,
ამ დინგებით გადათხრილმა მინამ,
მოიხდინოს ზეთისხილის ბალები
და ლავანდის მინდვრები.
როგორ გაგიმართლათ,
გზაზე იძულებით
დამდგარო ხეებო
და ფერდობზე გაყურსულო
წყალ-მენყერო.
გიჟის მეტი ვინ იყვირებს,
ნამსხვრევებით მოფენილ სანაპიროზე —
სანამ პირში სული მიდგას!
გამიცვალე სამშობლო,
როგორც მოხუცები უცვლიან ერთმანეთს
ლიმილის ყვავილებს.
თორემ რა გადამჩნა?
დედაჩემის ნაქონი
ნითელთვლიანი ბეჭედი
და სიტყვები...
სიტყვები...

აი, ეს სიტყვა,
ლოდივით რომ მივაგორებ
და მეშინია:
დაგორდება და გადათელავს ყველას,
ვინც ვერ გადავარჩინე.
გახსოვდეს —
არ არის ცხოვრება,
არც ეს ნახატებით და ამბებით
მორთული კედლები.
კარგი, კედლები გადავღებე,
და აბებიც მოვიმარაგე —
საძილე, სატიკვილე,
მაგრამ ამ გოგოს რა ვუყო,
ჭრელთვალელებას,
ხან წყვილი წყველით რომ აივლის
ჩემს აღმართს,
ხან ხმა-დუდუნით მიილოცება?
ასეთი რა ხარ, სიყვარულო?
წყლიდან რომ მშრალი ამოდიხარ,
ცეცხლიდან დაუმწვარი,
ჩვენი კი,
კვალაც აღარსად ჩანს.

ცა რომ განყალდება და
ჭაობის ბაყაყები ამღერდებიან,
სოფლის ჭკვიანი რომ დადგება თავადერილი
და პირს დააღებს,
წყალს ფებს რომ ვერ შევუნყო
და ვერც შევუნვები,
თქვენთან მოვალ, ქვებო,
რადგან ყველაფერი ამერია,
რადგან კვდება ფიჭვი,
ფრიალოზე მდგარი,
ქარი კი,
მტერი რომ მეგონა,
ტირის, ტირის.
მე კი ჩემს დაბერებულ
ყვავილებზე ვდარდობ,
ზოგჯერ რა მტკივნეულია
გესმოდეს ყვავილების.
ეს ჩაკირული სიხარულიც,
როგორც კატად გადაცმული კუდიანი,
მენანება ზამთრისპირზე გასაგდებად.
ცა რომ განყალდება და
ჭაობის ბაყაყები ამღერდებიან,
თქვენთან მოვალ, ქვებო,
გული რომ მოგიღობოთ.



ბალათერ არაბული

ციკლიდან „ხევისურეთს აგზად ნათქვამი“

ქალლიკა ხიმიკაურის ხმალი და პრეკლე მეფე...

...ერეკლე მეფეს თავის დაცვაში შვიდ ხევსურ ჰყვანივ, — ტან-ტომავით გამორჩეულნი, ვაჟკაცობით და ერთგულებით ერთმანეთზე მჯობნი ვაჟები... ხმალ-ხანჯრის ქნევით, მშვილდ-ისრის და შუბის ხმარებით, ცხენ-მხედრობით სახელგანთქმულნი... ეგენ ყოფილან ყველა ომში მეფის მხრისმჭერნი, ყველა მომხდურის დამხვედრნი და მათთვის სამზეოს დამბნელებელნი... იმათი ხმლების გამონაშუქივ ბრძოლის ველსავე ელვასავით თავზე უვლიდავ, მტერს და დუშმანს თვალებს სჭრიდავ, შიშის ზარს სცემდავ... იმათში ყოფილ ის გოლიათ ხიმიკაურიც, პატარა კახს რო გასთამამებევ: — შენს დანახვასავე მაინც შენივ სახელ მიჯობდავ, — რო უთქვამის პირველ ნახვისას, მისი სიდაბლით შანუხებულს...

ერეკლეს ლაშქრის შემონება ჰქონივას ნესად: აბჯარ-ჯავშანს და ხმალ-ხანჯარს უშინჯავდავ, ვინ როგორ იყვავ აღჭურვილივ, მომზადებულივ... ქალლიკასთანაც გაჩერებულ მეფე ერეკლე, მისი ხმლისთვის დაუდგამ თვალი; — ყოჩაღ, ქალლიკავ, კაი ხმალ გქონივ, რომელ მტრის ბელადს აჰყარ ტანზეით? იქნებ გერეჟნავ შენს მეფისადავ, ეგეთ ხმალ ხელში ჯერ არ მჭერივავ...

რალას იზამდა ბეჩავ ქალლიკა — თავის იარაღი სიცოცხლეს ერჩივნ: ის ყოფილ იმის მხარში მდგომი, ძმაც, ბიძაშვილიც, ის ყოფილ მისი თანამებრძოლი, მისი სახელის და გმირობის სულისჩამდგმელი, მისი კაცობის დასტურ-ნიშანი... მაგრამ ახლა თავის მეფეს ჩუქებაზე უარს ვერ ეტყოდ... ტანზეით ჩუქმად აუხსნავის და დაღვრემილს ერეკლესად გადაუცემავ...

გამომხდარ ხანი და თავის ლაშქარი ერეკლეს ისევ უხმავ საომრად; როგორც ყოველთვის, ჩამაუვლავ მეომრების შასამონებლად და ქალლიკას მისდგომივ ბოლოს... ქალლიკა კი... თავჩალუნვილ მდგარას ლაშქარში, — თავის მეფეზე გამწყრალსა და გულჯავრიანს ხის ხმალ ჰკიდებევ...

მიმხედარას მეფე ქალლიკას ნაფიქრს: „ხმალ რო ნამართვივ, მე რით ვიომავ?!“ და ღიმილით უთქვამ იმისად: — ქალლი ხარ, ქალლი, ქალლიკაო, კარგად ვიცოდევ, არ შამარჩენდივ. და მსახურისად უბრძანებავ: — გამაუტანეთ ხიმიკაურს თავისი ხმალი, ვაჟკაც უხმლოდ სად გაგონილას!...

ვაჟკაცობის შემომხევალი

...ხოდას, ურჯუკას და კოკოშას მანშაოს ძირს, ქაჩის მალალთან, არაგვის კლდოვან ვინროებში, ხევსურების ვაჟკაცობის შესამონებლად ჯებირ — „კარანტინ“ გაუკეთებავ...

ხევსურეთიდან ამვლელ-ჩამვლელი იქ გადებულ ხის ძელის ქვეშ ხალხთ სანახავად წელში მოხრილ, ხოხვა-ხოხვით უნდა გამძვრალიყვ ან გულმოსულს, ის „კარანტინ“ შულლით დაენგრივ, იქ დამხვედრთად თავ არ დაეხარ და ხმალდახმალ შაბრძოლებიყვ...

— ხალხ დაბეჩავდავ, კაცურკაცობა ბევრს აღარ შერჩავ, თუნდაც სახალხოდ პატივ აჰყარევ, —



ყველა ყველაფრის მამთმენ გახდავ, თავის ღირსება, თავის კაცობა დაივიწყავ, აღარც ცოცხლებში სწერავისავ, აღარც მკვდრებშიავ, არც მაკეთისად უქნავავ ღმერთსავ, აღარც მტრისადავ, არც ჯვარ-სალოცავთ შიში აქვავ, არცავ კიდევ თემ-სოფლისაივ, თავის სახელ, თავის ჯილაგ არად უღირსავ, არც წინაპრების ეხათრებავ, არც შვილ-ბოლოსივ... არავ, ჩვენ ესრე უმოქმედოდ ვერ ვიქნებითავ, რალაცა უნდა მოვიფიქრათავ, ხალხ ჭკვაზე უნდა მავიყვანათავ, საკუთარ გულში ჩავახედათავ, თავის ბეჩავ თავ დავანახათავ!.. აქ მავანყვათავ „კარანტინი“ და ამვლელ-ჩამვლელი ამ „კარანტინით“ გამავცადათავ: ვინც ამ ძელების ქვეშ გაძვრებავ, შაშინებულვივ, ვაჟკაცებშით ჩამავსწერათავ, ხევსურეთში შავარცხენათავ, ხოლო, ვინც საცდელ „კარანტინში“ ქვეშ არ გაძვრებავ, მამაცურად წინ დავვიხვედებავ, შავებრძოლებავ, ძმა-მეგობრად გავეფიცათავ, ფიც-ვერცხლ ვჭამათავ და პატივად იმას სუფრაც გავუშალათავ, ჩვენ მატანილ ლუდ-არაყით ვუმასპინძლათავ, მტრებთან მებრძოლთა რაზმის წევრად მავინიშნათავ, — უთქვამთ მანშავლებს და თავის ნათქვამ შაუსრულებავ: მანშაოს ძირს, ქაჩის მალალთან, არაგვის კლდოვან ვინროებში, ხევსურების ვაჟკაცობის შესამონებლად საყარაულო ჯებირ — „კარანტინ“ გაუმართავის...

არაყის გამოგონებალი...

...როგორც ხევსურეთ ძელებ ამბობდეს: — არაყ ეშმაკს გამოუგონავ... ეგ ყოფილას მაგის პირველი გამამხდელი, მაგის პირველი შამსმელიც და გამვრცელებელიც, რო ხალხისად გონ აერივ და ყველა თავის ჭკვაზე ჰყვანიყვ, თავის გზა-კვალზე ეტარებევ, თავის თავისად დაემსგავსებევ...

ეშმაკის ვერავ ეშმაკობა გაუგავ ღმერთს და ხევში არაყის გამოხდის დროს დასდგომივ თავზე: — მანდ ჩამალულ რას აკეთებავ? სავერაგოდ, სახიმიანოდ რა მაიფიქრევ? — უკითხავ უფალს... — მობრძანდივ, ღმერთო, ადამიანის გასაკურნად, მისი დარდების გასაქარვებლად დასალევ რაიმ გამოვიგონევ, — უპასუხებავ ეშმაკურად ეშმას ღმერთისად,

თან სასმელის გასასინჯად ყანწით არაყ მიუნოდებავ... ღმერთს პირველ სასმის ნელა შაუსვამ, მეორეზედაც არ უთქვამ უარი, ხოლო მესამის დაგემოვნება უფალს თვითონ მოუთხოვავის და ამის მერე... კარგ გუნება-განწყობილებით წასულას ცისკე, თან შეშინებულ ეშმაკისად დაუბარებავ: — სამს ვინც დალევსავ, ის მე მგავდესავ, სამზე მეტის დამლევ კი შენავ!..

არვი, იმ თქმისგან თუ რაისგან, უფლის სიტყვა ეგრე კი ხდების: სამის შამსმელ ღმერთს ემსგავსების, მეტისა კი... უფრო ხშირად — იმ არაყის გამომგონებელს...

ნეს-ადათის დამიწყებალი და სასჯელი...

...დათვისის თავში, სოფლის ზემოთ ცხოვრობდ ბაჭყია — ვაჟკაცობით, პურადობით სახელგანთქმული, მტერმოყვრობის საზღვრის დამდები, ჯვარ-სალოცავთა მადიდებელი, რჯულ-მერჯულის, ნეს-ადათის დამცველი და გამმტკიცებელი, ქუდოსანთა და მანდილოსანთა დამფასებელი, თემ-სოფლისთვის კითხული კაცი...

ზენა ხევსურეთს ჰყვანივას სიძე — თავის დის ქმარი, და აის სიძე ზამთრის პირზე სწვევისას სტუმრად... სიძე-ცოლისძმას გახარებევ ერთურთის ნახვა, ერთმანეთისთვის მონატრებით უკითხავ ამბავი... მემრე კი სიძეს არაყიან ქინთ ჩამაუხსნავ უნაგირიდან...

არ მოსვლივ თვალში სახე ქინთის ნახვა ბაჭყიას: — როგორ იარევ ამ თოვლ-ქარშიავ? ხვარ გაგიჭირდავ? ამვლელ-ჩამვლელ არვინ შავხედაევ? — დაეჭვებით უკითხავის თავის სიძისად... — როგორ არავ, მასახვევთან მანშავებლ შამეყარნესავ... — მემრ რა უთხარივ? ვისთან მიოლავ? არაყ მაინც თუ შესთავაზევ შასამელადავ? — ის კი ვუთხარივ, სად მივიდივ, არაყ კი არა შამისმევაევ! — უპასუხებავ დაბნეულ სტუმარს...

არ მასწონებევ სიძის საქციელ თორელთ ბაჭყიას: — რას იტყოდესავ მანშავლებივ, ეს რანაირ სიძე ჰყვანიავ? სად გაგონილავ გზად შამხვედრის ეგრ გაშვებავ? სასტუმრო ქინთის არდალოცვავივ და ხევსურულ ადათ-წესის დავინყვებავ?..



რაისად მინდა შენ არაყივ,
არაყის მეტ სახლში რა მაქვავ!
სირცხვილიან და დაულოცავ სასმლის დამლევე
აქ ვინ გგონავ?!
აპკიდევ ცხენსავ შენი არაყივ
და შინ წაიღივ,
შენნაირებს დააღვივინევ!
უთქვამ ბაჭყიას თავის სიძისად
და სახლშიით ზამთრის პირზე,
თოვლ-ყინვაში გამაუგდავის...

მკვდარს ჩაყოლაპული მღვდელი...

...იმ წელს პირველად
ხევსურეთში ეკლესიის მსახურ მასულან —
ეს ძველ დროს ყოფილ,
რომელ წელს იყვ, არავის ახსოვს...
ქრისტიანობის შამატანა სდომებევ მეფეს
და ხევსურების მასაქცევად
მღვდელმსახურებ გამაუგ ზავნავ:
— ქრისტეს რჯულ უნდა მიიღათავ,
ყველანი უნდა მაინათლნათავ,
ეგრე ყოფნა არ ივარგებსავ,
ეშმა-მაცილ მაგერევისთავ,
მოუნათლავებ ჯოჯოხეთში ჩასცვივებთავ,
ურწმუნობებს და უღმერთობებს
ჯვარ-სალოცავიც ვერ გიშველისთავ,
კუპრის მორევეში ჩაცვენილებს კი,
თავის ფრთებით,
ვერც მთავარანგელოზ მიქაელ ამოგიყვანსთავ,
ბაღლებიც უნდა მღვდელმ მანათლასავ,
მირონით უფალს მიაბარასავ,
მართლმადიდებლად დასწერასავ...

ხოლო მკვდარივ
მღვდელის გარეშე არ დაღმარხათავ,
თორე ცხონება არ ექნებავ,
საიქიოში გაიტანჯებავ...

ეებლა ერთ მღვდელს დაგიტოვებთავ,
დილა-საღამოს წირვა-ლოცვას ჩაგიტარებსთავ,
ყველაფერში გაგარკვევსთავ,
გაგანათლებსთავ,
ხელმწიფეს ეგრე უბრძანებავავ,
თან კიდევ, თქვენი ერთგულების აღსანიშნავად,
სიყვარულით მოკითხვაიც შამაუთვლავავ...

რალას იზამდეს ხევსურები,
მეფის ნათქვამ იმათად ხო კანონ ყოფილას
და მღვდელ თავისთან დაუტოვებავ...

გამომხდარ ხანი,
არვი, იმ წელს თუ მეორე წელს
ხევსურებ ბარში
ეკლესიის მსახურთ სწვევიან...
გახარებევ მღვდელმსახურებს სტუმრების მოსვლა:
— როგორ ხართავ,
ხო ყველაფერ კარგად მიდისავ? —
უკითხავ იმათ...

— კიავ, კიავ, თქვენს ნათქვამს ისე ვასრულებთავ,
როგორაც სთქვითავ:
წირვა-ლოცვასაც ვესწრებთავ,
ბაღლებს ვნათლავთავ,
ჩვენაც თანდათან ვინათლებთავ,
ოღონდავ ახლა სათხოვარზე ჩამავედითავ:
მღვდელ აღარ გვყავავ,
გვინდავ, ხევსურეთ
ერთ მღვდელ კიდევ გაგვატანათავ...

— კი, მაგრამ ის მღვდელ რა უყავითავ? —
გაკვირვებით უკითხავ დამხვედრთ...
— რო გვითხარითავ, თქვენი მკვდარივ
მღვდლის გარეშე არ დაღმარხათავ,
ეგრე ვქენითავ:
გასულ კვირას,
ბეჩავ ბენინას სამარეში ჩავაყოლეთავ...

ციკლიდან „პარიაციიპი“

მეხსიარების განძისაყვი

ნეტავ, ის ძველი განცდა სად წავიდა
ანდა იმ ლამაზი ქალის თვალთ ლაციცი?
მეხსიარების განძისაყვიდან
ამოგაქვს ყველაფერი, რაც გახსოვს, რაც იცი...

იქ იყო: დღეები ტკბილი და მწარე
და წლები გაშლილი უშავეს ჭილოფად,
რომლებმაც გული მრავალჯერ დაბზარეს
და სულში დაგიტოვეს ათასი ჭრილობა...

იქ იყო სიყვარულიც, მზის შუქით ნაფერი,
და უფლის ნების ღვთიური განცდა;
იქ იყო ყველაფერი,
იქ იყო ყველაფერი,
რაც გზებზე გაიღია და დროში გაცვდა...

და ფიქრობ: ის ძველი განცდა სად წავიდა
ანდა იმ ლამაზი ქალის თვალთ ლაციცი?
მეხსიარების განძისაყვიდან
ამოგაქვს ყველაფერი, რაც გახსოვს, რაც იცი...

**თაიას
ჩამს შვილიშვილს**

...უფლის მოვლინებულო
ყვავილად, თაიგულად,
პატარა ქალბატონო —
თაია-თაიკუნა...

ჩემო დიდო იმედო,
სიცოცხლეც და ნათელო,
თითქოს შენი ღმირით
გაბრწყინდა საქართველო...

თითქოს შენთვის მოირთო
ზეცაც ლამაზ ფერებად,
შენ ხარ მარადიული
ჩემი ბედნიერება...

შენი თავი უფალმა
უბეში დაიგულა,
პატარა ანგელოზო —
თაია-თაიკუნა!..

ჩვენი წარსული, როგორც სიზმარი,
კვლავ ცოცხლობს ჩვენში სულის კურნებად
და გვაყრის თავზე დრო მოსისხარი
ნალველს უხსოვარ საუკუნეთა...

ბნელ ოთახში კი თვლემს მწუხრი ღამის,
მარტო სანთელი მკრთალად ანათებს
და ნელი ზღაზღვით იღვევა ჟამი
დაბადებიდან კუბოს კარამდე...

ჯერ კი თავს გვადგას დროება მრუმე —
ყველგან ლალატი და სხვის განკითხვა;
აღამიანად გარდაქმნას თურმე
მაიმუნები გლოვობდენ დიდხანს...

მინდა, გიყვარდე ყინვაში, მზეში,
მინდა, გიყვარდე მგზნებარედ მუდამ,
რადგანაც არ მსურს, რომ მოვკვდე შენში,
თუმც შენ ეს თვითონ მრავალჯერ გსურდა...

გიყვარდე, მინდა, აღარც სხეული,
არც წლები გვიღირს არაფრად ვიდრე,
გიყვარდე, სანამ ვიგრძნობ, ამ წყეულ
სანუთროს როგორ გამოვერიდე...

გიყვარდეს ჩემი სახელიც, ბედიც
უკვე დაფერფლილ წარსულთან ერთად...
და ვისურვებდი, რომ ჯოჯოხეთშიც
თუნდ სამუდამოდ მეცხოვრა შენთან!

გამოვალწივ სულის იარებს,
გზებს მიბრკოლებდა ბურუსი, თქემი,
არც ბოროტება და არც სიავე —
აღარაფერი არ დარჩა ჩემში.

და ბრმად ვუყურებ დღეს ჩემს სამშობლოს,
უკვე არაფრის ხილვა არ მინდა,
აღბათ, ამგვარად ჯერაც უშობი
იმზირებიან ჩვილები ციდან...

დღეს ბედის ვარსკვლავს მივსდევ სხვა მხარეს,
სად იდუმალი ჰქრიან ქარები,
მე არაფერი აღარ მახარებს
და ყინულივით ვარ უქარები...

ბედი კი მოჰგავს მდინარეს, გაშლილს,
რომელიც არ ცნობს ვინრო ნაპირებს,
რომელიც ყველას ნაკვალევს ნაშლის,
მასში შეცურვას ვინც დააპირებს...

შ.ქ-ს

ქარებით სავსე დღე და ბურუსი,
რომელსაც ყინვის ეკლები ახლავს...
და გრძნობ თუ როგორ ასობენ ლურსმნებს
კუბოს, რომელშიც შენ ნევხარ ახლა...

სად ხარ, უფალო, ბინდით ნაფერი
სანუთრო კვლავაც ტკივილით გვავესებს!

წარმოიდგინე, ეს ყველაფერი
შენც ხომ გადაგხდა ოდესღაც თავზე...

ბინდი, სინათლე... ქობი ტყის ბოლოს...
მარადიული გულში ნალველი...
მე დღეს დროებით გმორდებით მხოლოდ,
თუმცა არ ვიცი, იქ, წინ რა მელის...

განა პირველად, შიშით ძლეული,
ამ სამყაროში ვგრძნობ სიმარტოვეს...
და მერამდენედ ვტოვებ ჩემს სხეულს,
მაგრამ მგონია, პირველად ვტოვებ...

დროის მატარებელი

არაფრის მნდომი მითრთის სხეული,
ბედის ბორბალიც ისევე ტრიალებს.
ჯოჯოხეთიდან გამოქცეული
სევდით ვუყურებ ადამიანებს...

ისინი შიშით უმზერენ უკუნს,
გრძელი მგზავრობით ჩუმად კრთებიან...
მე იმ მხარიდან ვბრუნდები უკან,
საითაც თვითონ ეშურებიან...

მე დავილაღე, სევდამ გამრიყა,
იქნება, ღამემ ტანჯვა მაკმაროს.
ო, ღმერთო ჩემო, როგორ არ მიყვარს
ეს უსამართლო და ცრუ სამყარო!..

და საუკუნე, წუხილით სავსე,
ნთქავს დროს და ჩუმად დამყურებს თავზე
და დაჯერება, რომ კვლავ ვარსებობ,
ყოველდღიურად ეჭვებით მავსებს...

სადა ხარ, ქრისტე, სადა ხარ, ნეტავ?
შენი გზა ისევე ინთქმება ბნელში,
პილატეები დღეს ყველგან სხედან
და ბრბოს უსმენენ, შურისგან შეშლილს...

დღეს აქ დარჩენა გახდა საშიში,
სად ანტიქრისტი ბოროტად გვიმზერს,
დაბრუნდი, ქრისტე, დაბრუნდი ცაში,
თორემ აქ ჯვარზე გაცვამენ ისევ...

ჩემი სხეულის ბნელ სამარიდან,
ჩემი ტანიდან ჩემსავე ძვლებზე
წამოვიმართო თუნდ ერთხელ, მინდა,
ვძლიო ამ წყეულ სანუთროს ვენებებს...

ავმალღდე ცამდე, სად სული ჩემი
სამარადისო სამყოფელს შემძენს,
მაგრამ, როგორც ჩანს, მე აქ დავრჩები,
მე ამაღლებას ვერასდროს შევძლებ...

კვლავ ღამის ქარი აწვრთვს ფანჯარას
და მოვლენილმა იმ წარსულიდან
დღეს გამახსენე, როგორ გტანჯავდი,
ჩემთან შეხვედრა, იქნებ, არც ღირდა...

ვგრძნობ შენში უკვე მიზეზს წამების —
ვენებიან ნების იდუმალ დაღლას,
მე ახლა შენს ზიზღს მივესალმები
და მაგ ტკივილსაც კარგად ვგრძნობ ახლა...

და ფიქრობ ისევ, რომ ბედისწერით,
შეუცნობელი სევდით ფარულით
კვლავ გაამართლო ახლაც იმ წლების
ჩვენი შეხვედრა და სიყვარული...

ბოლოთქმის მაგიერ

მე შეცდომების მიძიმე ჯვარი
მკიდია ზურგზე
და აღმართს მივდევ სვენებ-სვენებით,
სად ღვთის სამსხვერპლოს ვერაფერი ცეცხლი შევუგზე,
ვერც სასიკეთო,
ვერც აუგად გასახსენები...

წუხს დედამინა —
ცოდო-ბრალით სავსე ბებერი —
და კვლავ ტრიალებს ეს სანუთრო, ვით კარუსელი;
არავინ არის გამკითხავი
და გამგებელი,
მე თვითონ მიმაქვს ჩემი ჯვარი,
ჩემი ლურსმნები...



დილის სუსხმა ძვალ-რბილში დამიარა და მოულოდნელად ჩამეძინა. მესიზმრა, თითქოს ბავშვი ვიყავი — ასე ხუთი-ექვსი წლის, ჩვენ აივანზე კალთაში ვეჯექი დედს და გამალბული ვიტენიდი პირში ვარდის სურნელიან შაქარყინულებს. ხელებსა და გულის პირზე მისი ქათქათა პუდრი მეყრებოდა.

ნერწყვის გადაყლაპვა დავაპირე, რომ ფოთლების შრიალი ჩამესმა. შემკრთალს გამომეღვიძა. გამართული თოფი მაშინვე მხარზე მივიბჯინე და სმენად ვიქეცი, მაგრამ სუნთქვაშემკრულს ჩემი გულისცემა მაყრებოდა.

ჯერ ბარდებში გაიქეშულია, მერე ნაბლის ხრამა-ხრუმი გაისმა. მოზრდილი და გვარიანად ჩაფსკენილი იყო. ვხედავდი, როგორ მიახლოვდებოდა მშვიდად, მძიმედ, ქშენა-ქშენით.

ლაშა მოშორებით იდგა. ვიგრძენი, ისიც დაიძაბა. ვიფიქრე, დამასწრებს-მეთქი და ავჩქარდი. ლულა შევაცენე და სასხლეს თითი გამოვკარი.

ხმა შორს გავარდა. ნამით ყველა სულიერი გაისუსა, მერე კი საშინელმა ჭყვივლმა გააყრუა ტყე.

ფერდში დაიჭრა. გამწარებული პირდაპირ მაყვლის ბარდებში შევარდა. სულ მთლად გადათელა ეკლიანი ყლორტები. უკან მივყევით, მაგრამ მოულოდნელად მიწყდა მისი ხმა. ერთ ადგილზე გამშებულებს მალევე შემოგვესმა ჩლიქების თქარათქური. ზურგიდან გვიახლოვდებოდა. შემოვტრიალდი, თუმცა გვიანი იყო. ფეთიანივით მეცა, ბარდაყუი ეშვი გამკრა და გაიქცა.

სისხლმა ჩანჩქერით იფეთქა. ისევ ჩემკენ მორბოდა, მაგრამ ლაშამ დაასწრო და ტყვია შუბლში დაახალა. შეზანზარდა. მერე კი მოწყვეტით დაეცა მაყვლის ნაყოფმხმარ ბუჩქზე.

სროლის ხმამ მთელი სხეული შემიქანა, თვალთ დამიბნელდა და იქვე, ტახის გვერდით, ჩავიკეცი.

*

გონზე რომ მოვედი, პანანინა ოთახში, ხის ტახტზე, ვინეტი. თავი მუთაქაზე მედო. ლუმელში შემას ტკაცა-ტყუცი გაუდიოდა.

— სითბო გჭირდება, ბევრი სისხლი გაქვს დაღვრილი, — დაბალი, მოგუდული ხმა შემომესმა.

გავიხედე, მაგრამ სარკმლიდან შემომავალმა შუქმა თვალი მომჭრა. მერედა გავარჩიე ჩია მოხუცი — წელში მოხრილს გრძელი წვერი თოვლივით გათეთრებოდა, შავი სამოსიდან დამჭკნარი ხელის მტევნები მოუჩანდა მხოლოდ.

— ბედნიერი კაცი ხარ, — მომიახლოვდა და თაფლისფერი თვალები შემომანათა, — ერთგული მეგობარი გყოლია. გადაგარჩინა. მონასტრამდე ზურგით ჩამოგიყვანა, ეტყობა, ერთი წამითაც არ შეუსვენია, ისეთი ღონემიხდილი იყო.

— სად არის? — გამშრალი პირით ძლივს ვოულლულეებდი.

— სოფელში წავიდა, ორ-სამ კაცს ამოვიყვანო, მატარებლამდე საკაცით რომ ჩაგიყვანონ. სული მოითქვი-მეთქი, ვთხოვე, მაგრამ ყური არ მათხოვა. დიდი ხანია, იცნობ?

— რაც თავი მახსოვს, — ამოვიჩურჩულე და უნებურად ოცდაათოდე წლის წინ მომხდარი ამბავი გამახსენდა: ერთხელ ბაღში ჩემი საყვარელი მშვილდ-ისარი წავიდე. ლაშას ვათხოვე. აიღო თუ არა ხელში, ისარი გატყორცნა და პირდაპირ ღია თვალში მომარტყა. მას მერე ერთი თვალის თლა ვხედავ. «განა რა გააკეთა ასეთი განსაკუთრებული? ვინ მიატოვებდა დაჭრილს, თუნდაც სულ უცხოც რომ ყოფილიყო?», გავიფიქრე და მოხუცზე გავბრაზდი, «ძალის ბედი აქვს...» ბავშვობაშიც ასე იყო. ლაშა ყველას განსაკუთრებით უყვარდა. ცულქობდა, ყალთაბანდობდა, მაგრამ მაინც ყველაფერი ეპატიებოდა. სულ მინდოდა, მასავით ლაღი და ონავარი ვყოფილიყავი, მაგრამ ავეყვებოდი თუ არა, მაშინვე საყვედურებით მავსებდნენ.

გავიზარდეთ და ერთი გოგო შეგვიყვარდა — ყველაზე მაღალი და ბეჯითი თანაკლასელი. ლაშამ დამასწრო, პირველმა გამანდო საიდუმლო. იმ დღის მერე, მთელი სიყმაწვილე, ამ სიყვარულთან „ბრძოლაში“ გავატარე. ერთხელ ვიჩხუბეთ. მიზეზი სულ უმნიშვნელო იყო, მაგრამ მახსოვს, როგორ

გამეტებით ვურტყამდი ცხვირ-პირში მუშტებს. ხელიც არ შემოუბრუნებია. ამან კიდევ უფრო გამაცოფა და თითქმის ორი თვე ხმას არ ვცემდი. ლაშა კი ყოველ დღით ჩემკართან მხვდებოდა, თავს ისე მაჩვენებდა, თითქოს შემთხვევით შევხვდით. ბავშვობიდან დამნაშავედ გრძნობდა თავს ჩემ წინაშე, ალბათ გადენწყვიტა, სიცოცხლის ბოლომდე ჩემი დაშრეტილი თვალის მაგივრობა გაენია.

საერთო მეგობრებსაც ლაშა ჩემზე მეტად უყვარდათ. აკი, «იმანაც» ლაშა აირჩია... ერთ საღამოს გავბედე და თეატრში დავაბათიფე. მოვატყუე, ლაშაც იქნება-მეთქი და დამთანხმდა. რომ მიხვდა, აღარ მოვიდოდა, შუა სპექტაკლიდან წამოხტა და გაიქცა. გამოვეკიდე. სახლამდე მივაცილე. ყველაფერი ვუთხარი, ისიც — რომ ის და ლაშა სრულიად სხვადასხვანაირები იყვნენ და ერთად დიდხანს ვერ იქნებოდნენ. წყენით სავსე თვალებით შემომხედა და დამშვიდობების გარეშე დამცილდა. «ნეტავ თუ იცის, მისი ცოლი რომ მიყვარდა?»

ნესტან ეგეტაშვილი

შაქარყინული



— ფეხზე მალამო დაგადე, გაუსადლისი ტკივილი გაქვს ალბათ, — ფიქრი მოხუცმა შემამწყვდიანა.

თანხმობის ნიშნად თავი დაუქუნიე და თვალბეზრით მივჩერდი.

— და თქვენ?

— მამა აითალე ვარ, — გამჭვირვალე ჭიქაში რძე დამისხა, ხელი თავქვევ ამომიდო და ნელ-ნელა წამომანეწინა. ყლუპ-ყლუპით ვსვამდი, თან თვალს არ ვამორებდი. ისიც მშვიდად შემომტყურობდა. თვალის უბეები ათას ნაოჭს დაეღარა, ნარბები ერთიანად გათეთრებოდა, მაგრამ გუგებში უცნაური ნაპერკლეები უციმციმებდა.

მალამომ თანდათან დამიამა ტკივილი. გულაღმა ვინეტი და კედელზე ხატებს ვათვალიერებდი, რომ თვალი მატარებლის გაცრეცილ სურათს მოგვარი. სამგზავრო მატარებელი იყო — კვამლში გახვეული ლამაზი მართკუთხედი ორთქლმავლით.

«რატომ უკიდია ხატებთან?», გავიფიქრე და გაკვირვებულმა შევხედე.

— ეს ის მატარებელია, ჩემს სახლში რომ მიდის, — ღიმილით მითხრა.

— თქვენი სახლი...

— გრძელი ისტორიაა, თუ გინდა მოგიყვები, ცოტას გავართობ. მწუხრის ლოცვამდე შეიძლება მოვასწროთ... მერე ლაშაც დაბრუნდება, — ჩაილაპარაკა და სარკმელს გახედა.

ბინდებოდა. რცხილისა და მუხის ტოტებს იქით იისფერი ღრუბლები მოჩანდა. ყვავები ირეოდნენ ცაზე და გაუთავებლად ყრანტალებდნენ. თეთრ წვერზე ხელი ჩამოსვია, რამდენჯერმე ჩაახველა და დაბალი ხმით დაიწყა:

— იმ დღეს ქორწილი იყო. ლამაზი, მხიარული ქორწილი. პატარა ვიყავი, ალბათ ათიოდე წლის, მაგრამ ყველაფერი მშვენივრად მახსოვს. ასე მგონია, იმ ამბის მერე დრო გაჩერდა და მთელი ეს წლები უდროობაში გავატარე. მხოლოდ ხანდახან შენსავით შემთხვევით მოსული ადამიანები თუ მაგრძობინებენ, რომ დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა... გულყვითელა გვირდებოდა იყო მორთული ნეფე-პატარძლის სეფა. დედამ მეც დამიბნია გულის ჯიბეზე ერთი გვირილა და თვალი ჩამიკრა. როცა ნეფე-დედოფალი მოვიდა, ორ მწკრი-

ვად დავდექით. წინ ბავშვები დავგაყენეს. ხელში კალათები დავაჭერინეს. სიძე-პატარძალმა ჩვენ შუა ჩაიარა, ქალბებმა კი ვარდის ფურცლები და ბრინჯი დააყარეს თავზე. დედოფალს იამზე ერქვა. ხორბლისფერი გრძელი, გრძელი თმა ჰქონდა, თეთრი კამელიების გვირგვინით დამშვენებული. მეფეს — იანგული. ვაზით დაჩრდილულ ეზოში ორი სუფრა იყო გაშლილი. ერთზე ქალები დასხდნენ, მეორეზე — მამაკაცები. მე მამას მივუჯექი გვერდით. შევყურებდი, როგორ ხარბად სვამდნენ და სვამდნენ კაცები თიხის ფიალებით ქლიავისფერ ღვინოს და მიკვირდა, თითქოს იმ ქორწილშიც წყალი ქცეულიყო ღვინოდ, ყურძნის წვენი არა და არ ილეოდა. ქორწილი ხომ ჯადოსნურია? დიდი საიდუმლო, სიყვარულის ზეიმი, სიცოცხლის წყარო. ორი ადამიანის შერწყმა, რათა მესამე ამქვეყნას მოველინოს. ამ ამბის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ მამინდელი ქორწილი რომ მახსენდება, ასე მგონია, სწორედ ამ ამოუცნობი ჯადოსნობის გამო გვიხარია ყველას იქ ყოფნა. ალტაცებული ვიყავი. მანამდე ქორწილში არასდროს ვყოფილვარ. თვალს ვერ ვწყვეტდი მეფე-

წილიყავი, ახლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი. არ ვიცი, რა ძალამ წამომასწვინა შუალამისას ფეხზე და უცხო მხარეში წასვლა გადამანწყვეტინა. ბევრჯერ მიფიქრია ამაზე და, არა მგონია, ეს მართლა შაქარყინულის გამო მომხდარიყო. ჩვენი ცხოვრების ბილიკებს ხომ სიარულის დასასრულს ვხედავთ. დასაწყისში არაფერი ჩანს. სადაც არ უნდა ნახვიდე, ყველგან ნისლია თითქოს ჩამონოლილი. თანდათან ჯანლი იფანტება და ვამჩნევთ, როგორ ეჯაჭვება ერთმანეთს ჩვენ მიერ გავლილი გზები, ლოკოკინას კვალვით რომ ბრწყინავს მინაზე... სად-გურში არც ერთი ჩემი ამხანაგი არ მოვიდა. ბოლო წუთამდე ველოდებოდით. ასე, ორი საათი იქნებოდა, მატარებელი სტვენასტვენით რომ ჩამოგდა. მალევე დაიძრა. მახსოვს, ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, გავყოლოდი თუ არა. მაგრამ, როცა კარგა მანძილით გამშორდა, გამოვეკიდე და უკანასკნელ ვაგონში შევხტი. გამთენიისას უცხო სოფელში ვიყავი. ნაძვანარს გასცდამატარებელი და პანანინა სადგურში გაჩერდა. ვაგონიდან რომ ჩამოვდიოდი, მინაზე ჩემს ანარეკლს მოვკარი თვალი. იქვე ფურცელი იყო მიკრული მატარებლის სურათით. ვიფიქრე, ეს ალბათ ის მატარებელია, რომლითაც ვმგზავრობ-მეთქი. ფურცელი სწრაფად ჩამოვხიე, ოთხად მოვკეციე და შარვლის ჯიბეში ჩავიდე, რომ უკან დაბრუნებისას სხვა მატარებელს არ გავყოლოდი და ამით მეცნო ჩემს სახლში მიმავალი... ჰოდა, აი, — ხატების კუთხისკენ გაიხედა, გაიღიმა და სითბოთი აეცხო თაფლისფერი თვალები, — ეს ის მატარებელია, ჩემს სახლში რომ მიდის... ისე მოხდა, უკან ვედარ გავყევი.

— რატომ? — ფეხის ტკივილი სულ გადამავინყდა, თავი წამოვნიე და თითქმის წამოვჯექი.

— იმ დამით საშინელი წვიმა მოვიდა. უცბად დაღამდა. ტყეში ხომ მოულოდნელად ღამდება ხოლმე. ქუხდა, ჭქქდა, გრუხუნებდა, გეგონებოდა, დედამინა დასაქცევად ემზადებო. დროდადრო ელვა გაიკლანკებოდა ცაზე და ხეობის ცალ ფერდზე გაჭრილი ბილიკი ჩნდებოდა. იმ ბილიკს მივუყვებოდი. ცოტას გავივლიდი, მერე ვჩერდებოდი. ელვას ველოდებოდი, გზა რომ გაენათებინა. ქვემოთ, ხეობაში, მდინარე საზარლად ღმუჯდა. ალბათ რაღა არ მოჰქონდა თან: ქვა-ლორღი, კლდეების ნათალი, ძირ-ფესვიანი ხეები. გტიროლო. ვნანობდი ჩემს საქციელს, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო აღარ მქონდა. ხეობა რომ გადავიარე, ცოტა დავწყნარდი. იქ ბილიკი უფრო ფართო იყო, გარს მაყვლისა და გვირგვინის ბუჩქნარი ერტყა. როდის-როდის წვიმამ გადაილო, ღამეც ნელ-ნელა გაფერქოვდა. გული საგულეში ჩამიდგა თითქოს, მაგრამ ცაზე მთვარე ამოცურდა თუ არა, ტურებმა ატეხეს კივილი. შორიდან მგლების ყმული მესმოდა. ისევ დამიარა შიშის ჭრუანტელმა. «ტურებს თუ გადავურჩი, მგლები შემეჭამენ», ვფიქრობდი და უკანასკნელ ძალღონეს ვიკრებოდი, მთელი დღის სიარულით დაღლილი ძლივს მივართრევი ფეხებს. უცებ რას ვხედავ? შორს სინათლე ჩანს. სულ ერთი ბენოა, მაგრამ სიბნელეში გასაოცრად ციმციმებს. ვიფიქრე, ბუჩქნარში ჩასაფრებული ცხოველის თვალები ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ მაინც მისკენ წავიდა. შუქი სულ უფრო და უფრო დიდდებოდა. ჯერ მზე-სუმზირის მარცვლის ოდენა იყო, თანდათან გაიზარდა, გაიზარდა და ბაბუნაწვერას დაემსგავსა. მერე თითქოს ვილაცამ სული შეუბერაო, ჰერეში გაიფანტა და ქვით ნაგები მაღალი კედლები, ნახევრად ჩამოშლილი გუმბათი და რკინის ჯვარი გამოჩნდა. სინათლე ეკლესიის სარკმლიდან გამოდიოდა.

«იქნებ, მოვიდე?», გულში გამიელვა.

ტაძარში არავინ დამხვდა. მხოლოდ ღვთისმშობლის პანანინა ხატი დავინახე და მის წინ ანთებული კანდელი. იატაკი წვიმის წყალს აეტალახებინა. წყალში ალაგ-ალაგ ქვები ენყო, ზედ რომ დაგებოჯებინა და ხატთან მისულიყავი. ერთი ქვიდან მეორეზე ვისკუპე და ღვთისმშობლის წინ დავიჩოქე, პირფვარი გადავიწერე, «გადამარჩინე», შევეხვეწე. ნამიც არ იყო გასული, რომ სულ ახლოდან მომესმა მგლების ყმული, მერე — ტურების გულისგამანწყლებელი ყეფა. დაუზოგავად ყრანტალებდნენ ტყის ფრინველებიც. ისევ ავტირდი. ცხადად დავინახე წყვილიაღმი მოელვარე წყვილ-წყვილი თვალები. მოვიკრუნჩხე და ორივე ხელი თავზე გადავიფარე. ვიგრძენი, ვილაც შემოვიდა. უკან გახედავ ვერ გავბედე, ქვიდან

თითქმის მუხლებამდე დაგუბებულ ტალახში ჩაჯახტი და გავიქეცი. კედელს ავეკარი და თვალები დავხუჭე.

— ნუ გეშინია, არაფერს დაგიშვებ, — ზურგიდან მომესმა.

მოვბრუნდი. ვხედავ, ქვიდან ქვაზე ახალგაზრდა ბიჭი მოაბიჯებს. ხელში ხის ჯოხი უჭირავს, მხრებზე ცხვრის ბენვი მოუსხია და მილიმის.

— ვინ ხარ? — ძლივს ამოვილულულე.

— მწყემსი, აქვე ვაძოვებ ცხვარს. შემთხვევით გამოვიარე და შენი ხმა მომესმა. ნურაფრის გეშინია, თუ რამე გაგიჭირდეს, ხმაშემალი შემომძახე და მაშინვე შენთან გავჩნდები.

თანხმობის ნიშნად სწრაფად დაუქინე თავი.

— შეგცივინა, აი, ეს ხალენი დაიტოვე, — ცხვრის ბენვის მოსასხამი გაიხადა, — ცოტადენ პურსაც მოგცემ, გზია?

ჯერ ლუნულა ხალენი შემოვიხვიე გალუმპულ ტანზე, მერე თონის პური გამოვართვი და ხარბად დავიწყე ჭამა. როცა მადლობის სათქმელად თავი ავნიე, ტაძარში აღარავინ იყო. მთელი ღამე ყმუოდნენ ტურები და მგლები, მაგრამ აღარ მეშინოდა. ტაძრის ერთ კუთხეში, ხალენში გახვეულს ტკბილად მეძინა. რომ გამომეღვიძა, უკვე გათენებულიყო. შვის სხივები სვეტებად იჭრებოდა ტაძარში. ავექი და გარეთ გამოვედი. ნაწვიმარზე ხასხასებდა ბალახი. ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. ვიზმორებოდი და მიკვირდა, ნუთუ შეიძლება და ჯოჯოხეთური ხმაურითა და შემზარავი აჩრდილებით სავსე ის საშინელი ტყე, დილას ასეთ საოცარ სამყაროდ გადაექცია? გადავწყვიტე, მწყემსი მეპოვნა, მადლობა მეტქვა და ხალენიც დამებრუნებინა. ტაძრის ნანგრევებს გარს შემოვუარე, ახლო-მახლო ფერდობებიც მოვირბინე, მაგრამ ვერც მწყემსი ვიპოვე სადმე და ვერც ცხვრის ნაკვალევი. ხალენი ტაძრის შესასვლელთან კედელში ჩატანებულ სიბ ქვაზე ჩამოვკიდე. ცოტა ხანს მწვანე ბალახზე ვიკოტრიალე და გზა განვაგრძე. იმ ღამეს ჩემი სოფელი ღვარცოფმა და მეწყერმა ჩაიტანა. მონასტერში ამბავი ამოიტანეს, სტიქია მძინარე სოფელს დაატყდა თავს, ხალხი ცოცხლად დამარხა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გადარჩაო. ბერებმა უკან აღარ გამიშვეს. ნასასვლეელიც აბა, სადღა მქონდა. მონასტერში მოსულ მომლოცველებს სთხოვეს, ჩემი მშობლები ან ახლობელი მაინც მოეძებნათ, ჩემი ამბავი გაეგებინებინათ. დიდხანს ველოდი მამას, მერე დედას, ბებიას, ბიძია ფრიდონს, კრეჭელა ზურიკოს, ბესტას...

— თავის დამჭნარ ხელებს დააცქერდა, მალევე შემომანათა აწყლიანებული, მომღიმარი თვალები, — ჩემს სოფელზე რომ ვფიქრობ, მაშინვე იამზებს და იანგულის ქორნილი მახსენდება. ვხედავ, როგორ ხარბად ვიტენი პირში შაქარყინულებს და მისი თეთრი პუდრი გულისპირზე მეყრება. უცნაური, შაქარყინულისთვის მოვედი აქ, მაგრამ ის ქვეყანა მისი გემოთი დამამახსოვრდა. ქორნილი და შაქარყინულის ვარდის სურნელი... გვიანდა მივხვდი, იმ ღამეს უბრალო მწყემსი არ მინახავს. ერთ რამეზე კი ახლაც მწყდება გული, მადლობის თქმა რომ ვერ მოვასწარო.

*

ლაშა რომ მოვიდა, მონასტერში ცისკრის ზარებს რეკდნენ. ფეხი უარესად მტკიოდა, რუმბივით მქონდა გასიებული. მამა აითალე გვერდიდან არ მომშორებია. კალთაში კომბოსტოს მოზრდილი თავი ედო, დროდადრო ფურცლებს აცლიდა და გავარვარებულ შუბლზე მადებდა.

გამწარებული გაძვალტყავებულ მაჯაზე ვუჭერდი ხელს, თვალებში შევყურებდი და ერთსა და იმავეს ვლულულულედი — რატომ, რატომ მაინცდამაინც მე?

დამშვიდობებისას ხელში პანანინა ყუთი მომაჩეჩა.

— გადვრჩები? — ვკითხე.

— უკვე გადარჩი, — ღიმილით მომიგო.

მთიდან ლაშამ და სამმა ბრგე ვაჟკაცმა ჩამომიყვანეს. ისევ მაღალი სიცხე მქონდა, ერთიანად მაძაგბავდა. ფეხი ბარძაყიდან ნევივამდე მქონდა გასიებული. მაგრამ აღარაფრის დარდი აღარ მქონდა. პირიქით, რაღაც მიხაროდა.

სოფელში რომ ჩავედი, მატარებელი ნუთი-ნუთზე გადიოდა. ტკივილს უკვე ვეღარც ვგრძნობდი. გვიან გამახსენდა პანანინა ყუთი. გავხსენი — ვარდის სურნელიანი შაქარყინულეები ეწყო.

გულის გაფრთხილებისთვის

ხელისგულელებში — ბედისწერაჩაქარგულობით — გუგუნებს გული, გული მზისდარი... თითები ამ გულიდან გამოსული მზის სხივებია, რომლებიც ათბობენ სამყაროს და კალმის წვერის ვავლით, ფურცელ-ფურცელ, მიუყვებიან უსასრულობას და აყვავებენ სამუზე კვირტებს...

სახლეჩი ატამი და ვაშლატამა მომიტანეს. გარედან გვერდაფაკულელები, გადავხსენი. ყვითელ რბილობში ჩაფლულ გულს მთელი თავისი ღვთიურ-ორნამენტული მორთულობა, პირნმინდად, გარეთ ნითლად გამოვლინა. გულის სახეს ატმის შიგთავსი, გულთან მიკრული ფენა, ანალოგიურად, ბარელიეფურად, იმეორებდა. გადახსნილი ატამი — შუაში დიდი, ზღაპრულად გაფორმებული კურკა-გული, მერე ნითელცეცხლა მისი ნაფეხურები, წვრილი ხაო-ძაფებით მასზე მიბმული... მერე ქარვისფერი სიტკობება და ბოლოს ზედმემოკრული ატლას-ხავერდოვანი კანი... ჯანსაღი გამოვლინება ბუნების ქმნილებისა... მახსენებდა, რომ ადამიანიც ზუსტად ასეა... ისიც თავისი გულის გამოვლინება, ანასახია...

ზოგი ხილისთვის რომ შეგიხედავს, გარედან პატარა ჭუჭრუტანა შეგიმჩნევია, გაგიჭრია და გული დამპალი ჰქონია... გულში ჩაძვრომია ჭია და გამოუხრავს...

სინამდვილეში ასეთი გრძელი, უსასრულო და ღვთაებრივია ჩვენი სიყვარულის კარდიოგრამა...

ვა-შლი!

ერთი ბებერი, გაბერილი ღუმელი გვაქვს სოფელში, ფხვენისში — ზამთარში ქალაქიდან ჩასულეებისთვის, ერთადერთი სითბოს წყარო...

ბოლოს რომ ჩავედით, კიდეც უფრო მოღუშული და გაბებრუხუნავეებული დაგვხვდა; ზედაპირი ხენჯის სქელი ფენით დაფარვოდა და ანთებული, უკბილოსავით ჩიფჩიფებდა.

სარდაფიდან ამოტანილი დიდრონი ვაშლი შუაზე გადავჭერი და, როგორც ძმისშვილმა — დიდი გაბროშვილმა მასწავლა, ღუმლის ზედაპირის საგულდაგულოდ ხეხვა დავიწყე... ამოიშალნენ მარტობისგან გაჩენილი ტკივილის ნაფიფები, სულ ფენა და ფენა ასცივიდა ჟანგმეჭმული ნაფიქრალი... ერთი ნახევარი არ ეყო, მეორე ნახევარიც ვაშლისა ზედ შემომელია.

ვაშლი, ყველა უჯრედებიანად, სიხარულისგან ატკარცალდა:

— ნუ გეშინია, ჩვენი ღუმელი, ჩვენი გულცეცხლავ და ჩვენი გულნაცარავ! შენთან ვარ და შენს ტკივილებს ვშლი... ვაა... (ვ)შლი...



მერე როგორ იცის ოხერმა; მოედება და მოედება, სანამ ბოლომდე და თავამდე არ ამოაღპობს ყველაფერს, სადაც გაფუფუნდება...

ადამიანებთანაც, პატარა ნაკლისთვის ყურადღება არ მიგიტყვევია, მაგრამ მერე, აქედან მის გულში ჩასული ბოროტების ჭიის ნამოქმედარი გიხილავს...

გითქვამს: — რა გაენწყობა... მაგრამ... ყველაფერი, და მათ შორის ადამიანიც, ხომ გულით მრავლდება...

გაუფრთხილდით გულს, ადამიანებო! თუ ცხოველს, მცენარეს თავდაცვა და გულის განმენდა არ შეუძლია, ჩვენი, ადამიანებს ხომ მოგვცა არჩევანის უფლება — თავისუფლება — ვიყოთ თუ არა უფლის სიყვარულის ჯანსაღი გამოვლინებანი დედამიწაზე...

სიყვარულის კარდიოგრამა

ხორბალს ვარჩევდი. დავეყრებდი მის ოქროსფერ, ჩხრილა მარცვლებს. ვფიქრობდი, უფალმა როგორ შექმნა ეს სილამაზე, თითოეულ მათგანს თან ჩაუყოლა ციქნა გული, საიდანაც ახალი სიცოცხლის აღმოცენება ძალუძს... საიდანაც შეუძლია გამორეკლეს და გაიხაროს...

ყველაფერი გულით მრავლდება; ადამიანიც, ოღონდ, უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს ყველა ორგანოში, ალბათ უჯრედშიც, თავისი გული აქვს: სასქესო ორგანოშიც გულია ჩაქსოვილი; კვერცხუჯრედშიც ფეთქავს გული, საიდანაც ახალ სიცოცხლეს ეძლევა დასაბამი. ყველა ეს გული, რომელსაც ადამიანი თავისში ატარებს, თავის ადამიანურ ორგანო — გულს უერთდება, ხოლო ეს უკანასკნელი კი — უზარმაზარ საუფლო გულს, საიდანაც იშვება ყოველგვარი სიცოცხლე ამ ქვეყანაზე.

ოთახში შემწვარი ვაშლის სურნელი და ტკბილი ჰაერი დატრიალდა.

— ვა-შლი, ვა? შლი? — ღუმელმა კისკისი დაიწყო, გრძელი ენები ცეცხლისა ბოლს ზეცამდე აყვოდა, რათა ეამბნა, რომ სიბერე და ნაოჭასხმულობა, მოჩვენებითა; მოიხედავ და შეიძლება ისევ ახალგაზრდულად აგეციმდეს გულის თვალები, კანი გადაგეტკიცოს და ცრუ ხენჯები გაიხვეტოს ერთი უბრალო, დიდებული ვაშლი — საშლელის დახმარებით...

დათბა სახლში. აგუგუნდნენ და აგუგუზუნდნენ ნაკვერჩხლები...

ფერად-ფერად თვალებს ნკურავდნენ ვაშლები მაგიდაზე, ვაშლები სარდაფში, ვაშლები ბაღში. ნამლად გადაქცეულნი, წმენდნენ და შლიდნენ ყველაფერს ცუდს, მცდარს და სიყვარულის, ერთობის სადიდებლად გულელებს აჩხაკუნებდნენ:

- ვა-(ვ)შლი!
- ვა-(ვ)შლი!
- ვა-(ვ)შლი!

დედა გულიანად ნამოყოლილი

ძალიან ცხელი ზაფხულია... გარკვეულწილად ამის გამოც, ფეხები დამიძიმდა. დურმიშხან ყიფიანმა (რომელიც ამზადებს მაღალი ხარისხის ვაშლის ძმარს და გამოსცა ნიგნი „ვაშლის ძმრის საოცრებანი“) მიჩრია, ძილის წინ ფეხები 15-20 წუთით ვაშლის ძმარში ჩაანყვე და შევბას იგრძნობ, იფრენო...

დავიწყე ვაშლისძმრის აბაზანების კეთება. თავდახურულ, ეგრეთ წოდებულ კონტინერში ჩასხმული ვაშლის ძმარი რამდენიმე დღეში ამიბუტბუტდა... დედა მოეგროვებინა თავის დაფანტულ თავში და სქელ ფენად გაეფინა ჭურჭელში. ფეხთაქვემ ციურ ხალიჩასავით გამეგო, მიელაზუნა სრიალა — ტერფებზე მოფერ-

ება დამიწყო დედამ, ვაშლის ძმრის დედამ: — შვილო, ნუ გეშინის, მალე გიშვებ და კარგად იქნები; მე შენი დედაც ვარ და სადაც წახვალ, თან გამოგყვებიო...

ნეტა ვაშლის ძმარმა საიდან მოიყოლა დედა? რომ არ ჩანდა?

ამ კითხვამ ერთი საინტერესო ამბავი გამახსენა:

როცა ქალი ფეხმძიმედ რჩება, თანდათან, შვილის გარშემო, მუცელში, ბუდის ქსოვას იწყებს... და ამ ბუდეში, როგორც ჩიტი, კვერცხიდან გამოჩეკილ ბარტყს, ჩვილს ისევამს... 9 თვის მერე, როცა „ბარტყს“ დედისგან გარეთ გამოფრენის ჭამი დაუდგება, დედა შვილს იმ ბუდეში, საკუთარი სხეულის ნაწილს, გამოაყოლებს ხოლმე, რომელშიც ჰყავს გახვეული და მას მომყოლს ეძახიან...

დედა რამდენ შვილსაც შობს, მუცელში იმდენ „ბუდეს“ იქსოვს და შვილს თან მოაყოლებს, როგორც მარადიული სიყვარულის და დედისგან შვილის მფარველობის სიმბოლოს...

დედაბუდიანად ყოფნაც ეგაა... დედის მიერ „ბუდეში“ შვილების გამოზრდის უნარიანობა, რომელიც ღვთისგანაა შთაგონებული და დედამ არ იცის, ამ ყოველივეს როგორ აკეთებს... ბუნებრივად სრულდება ეს ყველაფერი...

დე, შვილმა იცოდეს, გამოდის თუ არა იგი დედიდან გარეთ, დედა ბუდიანად მოყვება თან და სულ შესცივინებს... მთელი ცხოვრება...

ალბათ ვაშლის ძმარმაც არ იცის, როგორ მოყვება დედა თან, რომელიც თავზე ადგება და იცავს მის სინმინდეს და ძალას!

საოცარი ხარ, დედაც, შენ, საოცარი...

პირ-იქითა

ციცქნა ბავშვს, საჭიროების გამო, ძიძა აუყვანეს.

თანამედროვე მშობელთაგანი: — ძიძის აყვანა ძალიან კარგია; ბავშვი დედაზე აღარ იქნება მიჯაჭვული, ყველასთან ერთნაირი ურთიერთობა ექნება, კომუნიკაციაც აღარ გაუჭირდება... აბა, ის რა არის, ზოგი ისეა მიჩვეული, 20 წლის ასაკშიც ან მთელი ცხოვრება ვერ შორდება დედას...

ნუთუ ისეთი დრო დადგება, ბარტყს ბუდეში გაზრდასაც აღარ დააცდიან?

შვილავი — შვი და პი

ეს ქალბატონი ციალა, შახლამიანი. არ ვიცი, როგორ მივანვდნენ ახლა მას ხმას... თავადაც ვერ აწვდნდა ხმას...

დედაჩემი ივლიტა ინგოროყვას კლინიკის კარდიოლოგიურ განყოფილებაში რომ დავანვინეთ, კარდიოლოგ გოგიტა ქათამაძის რჩევით, გვერდითა საწოლზე უწვა გულზე ოპერაციაცაკეთებული 78 წლის ქალი — ქალბატონი ციალა... გაიგო თუ არა, დედაჩემს ივლიტა ერქვა, იმწამსვე ცრემლები ნამოუყვია... ხელით იწმენდა, დედაჩემი გამახსენდა, ივლიტა ერქვაო.

მეორე დღეს ვილაცხა ეძახდა; ვიფიქრე, ალბათ, ცუდადაა, ამდენი ხანია, ექთანს ეძახის და არ ესმით-მეთქი; არა, დედაჩემს ვეძახი და ვერ ვაგონებო. მე დედაჩემზე მივუთითე, აი, აქაა დედა-ივლიტა და ეს-მის თქვენი, დაგეხმარებათ-მეთქი. გულზე მოეშვა...

აი, დედა სადამდე... სულ ბოლომდე, და მას იქითაც, თან მიყვება შვილს...

საზღვრის საშლელი

ბუნებაში არ არსებობს საზღვრები. ყველაფერი ერთმანეთს ეთანადება და ზედ ედება. ერთ ნებისმიერ ფერში ყველა ფერი კრთის. ყველა „არაში“ „პო“ იგულისხმება და ყველა „პოში“ — „არა“. ადამიანებს უჭირთ მსგავსი — ბუნებრივი გათანამშვება. რუტინული აზრები და მოზიდული მშვილდები სათნო მგრძნობელობას უქვეითებენ და თავები „დიდ მესაზღვრეებად“ მოაქვთ. ქვეცნობიერებამდე ჩასული შიდაადამიანური, ადამიანთაშორისი თუ სახელმწიფოთაშორისი სასაზღვრო პრინციპები, რომლებიც, აქტიური ქმედითუნარიანობით, ბუნებრივი მდინარებიდან ნაპირზე აგდებენ ოქროს თევზს, რომელსაც სრულ ჰარმონიაში ჩართვა და ნამდვილი სიცოცხლე სწყურია — დაუსაზღვრავი!





სახლვერის თაობაზე

ამ თემის განხილვისას სხვადასხვა წერტილებს შეგვიძლია შევეხოთ, რათა საკითხისადმი მიდგომის ერთიანობა დავადასტუროთ.

ადამიანის ყველა ორგანო, სათითაოდ, თავის ბაღეშია გახვეული, სიფრიფანაში — როგორც ჩიტი, თავის ბუდეში ზის. ხახვის თითოეული ფურცელი მეორისაგან თხელი, თეთრი ქაროვანითაა გამოყოფილი; კვერცხის ცოლა ნაჭურჭისაგან — სერიოზული აპკით; ბრონქების და სიმინდის მარცვლები, ნივრის კბილები ერთმანეთისგან სპეციალური საფარველითაა გამოყოფილი და ასე შემდეგ. ანუ — სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვანაირად, თავ-თავისებურად, ერთი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები ახერხებენ ერთმანეთისგან გამოყოფას გარკვეული საზღვრით, რომელიც ხან წინარია, ხან — უწინარი, მაგრამ იგი არსებობს. თუმცა მისი არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ნაწილები ერთმანეთისგან მთლიანად დამოუკიდებელი არიან; ისინი მხოლოდ ერთად, ერთობლივად ქმნიან ცოცხალ არსს, ერთ ხახვს, სახეობას და ასე შემდეგ. საზღვარი აქ არ არის ეკლიანი და გაუყვავი ზღუდე — ის სიცოცხლის და სიცვარულის გამტარი არხია.

საზღვარი პირობითი ცნებაა, რომელიც, ერთი მხრივ, დაცულობას ემსახურება და, მეორე მხრივ, სიკეთეს — უფრო დიდში და ერთიანში შეიტანოს თავისი ნეწილი და პირიქით.

სიყვარულის თვალთ დანახულ უფლის სამყაროს კი საერთოდ არ გააჩნია საზღვრები; იგი უსაზღვროა, მით უმეტეს, ტერიტორიულ-ფიზიკური და სულიერ-ღვთაებრივი თვალსაზრისით.

და დღეს თუ ყველანი ერთად არ წარმოვადგენ ერთიან, უზარმაზარ სხეულს, იმის წყალობითაა, რომ თითოეული ჩვენგანის გვერდით მდგომი გამყოფი, ან მეორე თანამარაველი, მუდამ ერთის ტოლია! და ამიტომ ჩვენ — ყველანი და ყოველნი ინდივიდუალური სახით წარმოვჩინდებით ინდივიდუალური საფარით და ცული გარსიდან — ფართოდ თვალგახელილი — დიდჭურჭურ ტანებიანი გარსიდან — გულანთებული მანათობლებივით გამომზირალნი...

მზარეულობა

— ამ ქალბებმა, მზარეულებმა, საჭმლის მომზადება არ იციან: მოგიტანენ წვნიანს, ან ნახევრადწვნიანს და თავზე ცხიმის ფენა აქვს მოგდებული. ვაი, ასეთი საჭმლის ჭამა არ შემიძლია, პირსაც ვერ დავაკარებ. მთელი ცხოვრების მანძილზე აკეთებენ საჭმელს და ვერ გაუგიათ, რომ ხახვი ცხიმში, ზეთში არ უნდა მოხრაკ-მოშუშო. დაჭრილ ხახვს ჯერ მცირე რაოდენობით წყალი უნდა დაასხა (იმდენი, რომ ხახვი დაიფაროს) და ამ წყალში მოარბილ-მოთუშო; მერე და უნდა დაუშვას ცოტა ზეთი. ასეთი წესით მომზადებული საჭმელი უფრო სასარგებლო და გემრიელია! — გვიყვება ოქროსხელებიანი, ათას ხელსაქმეში ჩართული ნინო სალუქვაძე.

ყოჩაღ, ნინო! ეს წესი, მართლაც, ბევრმა დასახლისმა არ იცის და კარგი იქნებოდა, რომ სცოდნობდა!

რას არ ისწავლის ადამიანი... ეს წერილმანი, მცირე დეტალია სამზარეულო საქმიანობისა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი და საპატიო...

აი, ამაზეცაა დამოკიდებული შენი სტუმარი როგორი თვალთ შეხედავს შენს ნაშემოქმედარს...

ასეთი მაღალპროფესიონალ-შემმონებლებიც არსებობენ და გვასწავლიან ელემენტარულ, საიდუმლო წესრიგს, რათა არ ვიყოთ არეული მზარეულები...

სანერ-კალმისა

ზოგი ადამიანი მაშინ ყიდულობს ახალ სანერ-კალმს, როცა მისი გული დაღვივის პირასაა, ანდა დაცლილია...

ახლახან, მოცალეობის ფამს, გავერთე და დავითვალე ეგრეთ წოდებულ „სათადარიგო“, წერისთვის მზადყოფი რამდენი კალამი მებოდა. 61 აღმოჩნდა... ისიფერი, იასამინისფერი, ვარდისფერი, ცისფერი, ლურჯი, ვერცხლისფერი, შავი, მწვანე, ყვითელი, ოქროსფერი, ნივთელი სანერ-გულებით ავსებული...

ერთხელ თამარელა წონორიასთან

ვიყავი სტუმრად. ლაპარაკმა მოიტანა და ვუთხარი, იმდენი კალამი მაქვს, რამდენია არც კი ვიცი, მაგრამ თუ კიდევ მომეწონა, ვყიდულობ-მეთქი.

უი, მეც ეგრე ვარო — და თავისი კალმების მთისკენ მიმითითა...

ნეტა რად გვინდა ამდენი კალამი? რომ უფრო მაღლა ავნიოთ ალამი?

კოჩი

ყველაზე დიდი და ნამდვილი პოეზია არის სამყაროს პოეზია, რომელიც შექმნა და დაწერა სამყაროს შემოქმედმა. პოეზია, ამდენად, გამოვლენილია სამყაროს ყველანაირი სახეცვლილებებში, ყოველივეში, რაც არსებობს.

ჩვენ — ადამიანები სამყაროს დიადი პოეზიის აღქმელ-ნამკითხველნი ვართ. ვინ რამდენად სწორად, სიღრმისეულად, წმინდად ხედავს ამ ნაწარმს, რამდენად ეზიარება მის ღვთაებრივ-პოეტურ არსს — იმდენად ძალუძს შეიგრძნოს, გადმოსცეს, გადმოწეროს უკვე ერთხელ ზუს-



ტად, ზედმინევიტ სუფთად და გონიერად, პარმონიულად, რიტმულად, შემოქმედებითად დაწერილი პოეზია.

შეიძლება ადამიანმა ბევრი რამ აღიქვას, შეიგრძნოს და, უბრალოდ, არ ეცადოს მის გადმოწერას, რადგან არ აინტერესებდეს, ერქვას „პოეტი“; ვიდაც სხვამ, ნაკლები დაინახოს, შეიმეცნოს და ეცადოს მის გადმოტანას ფურცელზე; იმდენს კი ხვდებოდა, რომ რაღაც არაზუსტად გადმოსცა და ეცადოს ორიგინალთან მიახლოებას, ამასობაში ათასჯერაც გადაჯაბბნოს და მაინც ვერ თქვას ისე, როგორც საჭიროა...

და ის პირველი, ვინც, უბრალოდ, არ ინება გადმოწერა, რაც სულწარმეტყველად დაწმინდად შეიგრძნო, იყოს, სინამდვილეში, უფრო დიდი პოეტი, ვიდრე მეორე, თავისი გაუთავებელი მცდელობების მიუხედავად.

უფრო შორს თუ წავალთ, დავაკვირდებით, მაგალითად, ულამაზეს, ტურფა ყვავილს, რომელიც თავის ენაზე — ფერით, სურნელით, ფორმით — გადმოსცემს სამყაროს პოეზიას, რადგან თავად, ისიც, ასე მდუმარედ მდგარი, მაინც დიდი პოეტი, რამეთუ პოეტობა — სამყაროს პოეზიის აღქმა-გაგება და, რაღაცნაირად, მისი გადმოცემის გზაა და ეს გადმოცემის გზა, მხოლოდ და მხოლოდ, სიტყვები არაა.

ერთი სახის ყვავილი განსხვავებულია მეორე სახის ყვავილისაგან. რაც ჩვენ ვუყურებთ ერთ ყვავილს და ჯანსაღად, შეუცდომლად, შეუნიღბავად გადმოვცემთ, გადმოვწერთ მას სიტყვების საშუალებით, ვქმნით ამ ყვავილის სახეს — ვთქვით, ლექსს, რომელიც შეითხზა ამ ყვავილის არსის შეცნობისას. აქ მთავარდება ეს ლექსი, რომელიც ზუსტად ასახავს იმას, რაც არის; მაგრამ თუ ყვავილის სახე გვებურება, ვერ ვხედავთ კარგად, ვინცერთ მის გადაკეთება-დამახინჯებას და უკვე იმ ყვავილთან — ანუ იმ ლექსთან კი აღარ ვრჩებით, ან სხვა ყვავილთან კი გადავდივართ, არამედ საერთოდ ვცდებით ნამდვილ პოეზიას და, უბრალოდ, ვბოდავთ...

ის, რაც ერთხელ, სწორად აღქმული იწერება, აღარ საჭიროებს კიდევ გადაკეთებას, თუ უკვე სხვა რამის დაწერა გვსურს, სხვა ყვავილს ვეხებით, რა თქმა უნდა, მას ახალი თვალთ და გულით, გონებით ვიმეცნებთ, შევდივართ მის ღვთაებრივ პოეზიაში და ადამიანურ ენაზე ვუძებნით პოეტურ ფორმა-გამომხატველობას. ყოველი ახალი გადასვლა თავის ადგილს იკავებს, ახალ ლექსად წარმოგვიდგება.

თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ლექსი, ყველა მშვენიერება და სილამაზე ბუნებაში დაწერილია და ჩვენ — პოეტები მას მხოლოდ გადმოვწერთ ჩვენი შესაძლებლობების შესაბამისად.

ვისაც ძალუძს, ელვის სისწრაფით, პირობითად ასე ვთქვათ, ნათლად შეიმეცნოს და გადმოსცეს ჭეშმარიტება, რჩეულ-

თავანია. მეტ ღირსებას ნამდვილად არ წარმოადგენს ის, რომ ერთი ლექსის დახვეწა-შექმნას წლები შეალო და ეს ეგრეთ წოდებული „შავი სამუშაო“ პოეტის ხვედრად, საპატიო ხვედრად მიიჩნიო.

ალბათ ბევრს გაეღიებოდა თუ ვიტყვით, რომ, მაგალითად, ალვის ხე, ვეებატანიანი, ფოთლებშიაღალი, ტოტების მუჭში ბუდეებჩაფენილი და ბარტყებაჟივყივებული, ტანში უფალჩაქსოვილი — ნამდვილი პოეტი; სამყაროს პოეზიის ცოცხალი, თავისებური ნაწილი და მას, იმიტომ რომ პოეტი ერქვას, სულაც არ ჭირდება ფურცელზე დაწეროს სიტყვები... ის ამ სხვანაირ, პოეტურ ფრაზებს ჰკარგავს, მზის სხივებზე და წვიმის წვეთებში წერს... კიდევ ჩვენს თვალებში და ის ვთქვათ, ამ პოეტის დაწერილი ლექსის ნაკითხვა შეგვიძლია ჩვენ? და თუ არ შეგვიძლია, ეს მის ღირსებას არ ბღალავს და ვერც პოეტის ჩინს ჩამოვართმევთ.

მუხა, კაკალი, პანია ალუბალი და უთვალავი ვინმე ჩვენს ირგვლივ რა საოცარ პოეზიას ჰქმნის, მათ შემსმენელს, შეგრცხ-

ვის იქნება რაღაცეები ჯღაბნო ქალაღზე და დაარქვა „წმინდა პოეზია“, „თანამედროვე პოეზია“ და ასე შემდეგ. იმაზეც დავფიქრდეთ, აბა, რად უნდა ვარდს, ხახვს, კომბოსტოს, ყვავილს და სხვათა და სხვათა, ფურცლებით, თუ ზედ ლექსს, ან ზღაპარს არ დაწერს? უბრალოდ, რაც უფრო დიდი და დიადია სიყვარული, მით უფრო მდუმარეა და ამ დუმილის შეცნობა, ამოკითხვა კი ძალზე ძნელი და საინტერესო... სხვა თუ არაფერი, ქარი და წვიმა, უფლის ნაპერკლავებით ანთებულ მათ ფურცლებს როგორ მოჰყვანს ხოლმე დედამინაზე — ნაიკითხეთ, ხალხნო... სანამ გაქრებიან და ალაგდებიან მიწიდან, რათა ისევ ხელახლა ჩამოიზიდონ მზიდან და სიყვარულიდან — ჩვენ წინაშე გაიშალნონ, აფერადდნენ, ასურნელდნენ და მოგვიერთონ არემიანე თავიანთ ფურცლებზე ჩაქარგული ლექსებით — წმინდა სულის შემოქმედებით.

მხატვარი

გამოჩენილი მხატვრების გამოფენას აღტაცებული ათვალიერებდა ერთი მანდილოსანი და ამბობდა:

— აი, მესმის ასეთი მხატვრობა, რაღაცას რომ შეგმატებს, დაგანახებს... აბა, ის რაა, ნატურიდან რომ ხატავენ. მისს, რაც ჩემ წინაა, მეც ხომ ვხედავ და იმის გადმოხატვა რაღა საჭიროა, რა აზრი აქვს...

კარგად მესმის ამ ქალბატონისა. ადრე მეც ასე ვფიქრობდი და დღეს ბევრი ფიქრობს ასე, მაგრამ... ჩვენ წინ რაცაა და ვითომ ვუმზერო, ვხედავთ კი მას? ვგრძნობთ მის სულს და შინაგან მეტყველებას? მაგალითად, ვუყურებთ კაკალს, ვამბობ — ნაყოფს ანდა ხეს და უამრავ გარშემოწერილობას, აღვიქვამთ მას მთელი სისავსით, მისიით, შინაგანი სტრუქტურით? რა ხდება იქ, ვხედავთ? არა მგონია! ჩვენ ჯერჯერობით ბრმანი ვართ ასეთი ხედვისთვის და თუ მავანი ათასჯერ ხატავს ერთსა და იმავე სახეს, ანდა ამდენჯერვე ლექსს ან სიმღერას უძღვნის მას — ეს მხოლოდ ცდაა თვალის ბოლომდე ახელისა, მისი და ჩვენი გულის თვალების გახსნისა... ხვდება, რომ იქ რაღაცაა, ძალიან მნიშვნელოვანი, საიდუმლო, ძვირფასი და მის ძიებაში... რაც ჩანს, რაც ვითომ ხილურობა, ჩვენ ირგვლივ უამრავი რამაა, ანუ მთელი სამყაროა; ხოლო ის, რაც არ ჩანს, უხილავია, ამ ყოველივეს იქითაა და თუ პირველი ნაბიჯები — სამყაროს რეალური აღქმა-დანახვის სურვილი და მცდელობა არ იქნა სწორი, და მასზე არ იქნა დაფუძნებული გაგრძელება — უხილავზე და აღმატებულზე აზროვნება — ხატვა, წერა და თუ სხვა რამ, მაშინ, უბრალოდ, უაზრობამდე, აბსურდამდე მიხვალ და ეს არ იქნება ადამიანთათვის მსახურება...

ეს, ცხადია, ვრცელი თემაა, მაგრამ მინდოდა, გამომეხატა აზრი — წმინდა

ნატურალიზმი უფრო ღრმა აზროვნებას, სისათუთეს, სიყვარულს, იდუმალბუნას, მთელ ვარსკვლავთ სისტემას შეიძლება ატარებდეს, ვიდრე არაფერზე დაყრდნობილი ფანტაზია და წარმოსახვა. თუმცა, არ უარვყოფ მეორის სიდიადეს, თუ მისი სათავე სინათლის წყაროს ანარეკლია.

ჟჰა — ქალა

სამი დღის წინ, დილაადრიან, ნავაგი ჩავიტანე გადასაყრელად. სადარბაზოს კარი გავეღეთ თუ არა, ეზოს გაღავნის ძირში გახარებულ კაქტუსს მივაჩერდი და გავიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, ჩემი კაქტუსიც იმხელა რომ გახდა, აქ, მინაზე ჩამომეტანა და ამ კაქტუსის გვერდით ჩამეგრეო-მეთქი...

ცოტა ხანში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. აივანზე, კარადის თავზე, განაპირი კუთხეში მედგა დიდი ქოთნით დიდი კაქტუსი; გრძელეკლიანი ხელები აიგნის გარეთ ჰქონდა გადაყოფილი. ვიფიქრე, ვაითუ რაიმე უცნაურობა მოხდეს და საშინოებისგან რომ დავიცვა-მეთქი, ქოთანში, კაქტუსის ძირს დიდი, ლამაზი ფიქალის ქვა დავდე; მის სიმძიმეს კიდევ უფრო კარგად, მყარად რომ დაეჭირა ქოთანი.

1-2 საათის შემდეგ გავედი აივანზე სარეცხის ასაღებად და რას ვხედავ... გადაფრენილა აივანიდან ჩემი კაქტუსი... ქოთანი თავდაყირა გდია ძირს და კაქტუსი უღვთოდაა გამშლართული... მეხუთე სართულიდან ჩამოწრილა ილია საქმე არაა... კიდევ კარგი, შემოლობილი ბალია და ხალხსაც არ შეუქმნა საფრთხე... იმწამსვე ჩავედი. ბალი დაკეტილი დამხვდა და ვერ შევედი, რომ სასწრაფოდ დავხმარებოდი... მეზობელ მალხაზს, ვინც ეს კაქტუსი მანუქა და ვისაც ბალის გასაღები აბარია, დაკარგოდა გასაღები და მომიბოდიშა, ნუ გეშინიათ, მაგ კაქტუსს არაფერი მოუვა, ვიპოვი გასაღებს და მე გადავრგავ მინაში (მართლაც ასე მოიქცა: იმავე ბაღში, სადაც ჩაფრინდა, ჩვენი აივნის წინ, მერვე სათუთლამდე ტანაშლილი კიპარისის ძირში ჩარგო... გახარებულია და მეც მიხარია)...

რომ ჩავდიოდი, იმასაც ვფიქრობდი, ჩემი ქვა რაღა იქნა, ჩემი საყვარელი ქვა, იმას მაინც ამოვიტან-მეთქი... მაგრამ გავოცდი... ჩემი დიდი ფიქალის ქვა, სულ ფენა-ფენა დაშლილიყო და ქვის ფორფიტებად, ქვის ფურცლებად მოფენილიყო ბაღში... და გაქვავებული ყვავილები — ჩემი ანთოლითები ქვის ფურცლებზე ამოდიოდნენ...

ზუსტად ორიოდე დღის წინ ჩემი ერთ-ერთი ლექსი გამახსენდა და დავფიქრდი, ნეტა ეს სიტყვები რამ დამანერინა-მეთქი:

...ქვის კალამი ჩემს გულზე ლექსებს ფხაჭნის...

ახლა მივხვდი: გაქვავებულ ბაღში, გაქვავებულ ყვავილებს, გაქვავებულ ფურცლებზე გაქვავებული კალამი ამოფხაჭნის ლექსებად, აბა, რა იქნება...

ეჰ, თამარა, ქვათ ამარა! იქნებ იმიტომ გადაფრინდა მკლავებგაშლილი ჩემი კაქტუსი, მზის ქარიშხალში რომ გაეფხტა ჩემი გაქვავებული ფურცლები — მორთული ანთოლითებით — ზეციური ყვავილ-ლექსებით და შორიდან დამენახა ჩემი თავი — ეს ყველაფერი მე ვიყავი...

კიდევ, ამ შემთხვევამ ორიოდე ხაზი გამახსენა ჩემი ლექსიდან: ...ჩამოშლილია გული ფიქლებად, ქვასაც შერჩება ალერისის კვალნი...

კიდევ, 5 წლის წინ ბატონმა ივანე ჯაფარიძემ თავის რადიოგადაცემაში რომ მიმინვია, „ქრიზთას ანთოლითების“ გამოსვლასთან დაკავშირებით, მინერალის ნიმუში მისახსოვრა თავისი კოლექციიდან: ჟამისფერ ქვასა, დაფნის, ღატზე თეთრი, ლაბუა ჩიტბატონა ზის, რომელსაც ტანი მალა-ცაში აქვს, კუდის ბოლო, თეთრი ბოლო მინამდე ჩამოხრილი... ტანსა და ბოლოს შუა ფოთლის ანაბეჭდია, ანთუ, შიგ ჩაბეჭდილი ჩემი ლექსები — თეთრი (ქვა-ქალა) ჩიტუნა ასე უგალობს, ქვიურ ენაზე მარადისობაში ჩაქარგულ უფალს!

ბატონო ივანე! რა სიმბოლურია თქვენი საჩუქარი: შორეული წარსულიდან გამოხმობილი ანთოლითების ხსოვნა, მრავალმილიონწლიანი ექოების ლექსებად ამოძახილი... და ყველაფერი ერთმანეთზე ოქროსქრიზოს ძაფებით გადაბმული...



შენი გული ვინატირა

შევებრუნე დარი —
გამოვიდა ქარი.
შევებრუნე ამინდი —
დადგა უამინდობა...
სიო სარკმელს აწყდება —
ეჭვიანი ქმარი,
ქარმა ფრთები მაჩუქა,
მე სიმღერა მინდობდა!..

შევებრუნე ფურცელი —
აირია რითმა!
შევებრუნე მთვარე —
ამოვიდა მზე...
მეთვრამეტე სართულზე
ამაქროლა ლიფტმა,
დამანახა ცხოვრებამ
ეს სილამაზე...

შევებრუნე ცხოვრება
(თუმცა ეს ვერ შევძელი),
დაილია ცრემლი და
სევდა სულში ცრის...
შენი გული ვინატირე
ამ ლექსით დღეგრძელი,
შენ კი, ალბათ, ვერცა გრძნობ,
რა ლამაზად წვიმს.

იმ მეცხრე ცამდე

ნოდარ ადგიშვილს

იმ მეცხრე ცამდე
ხომ არის რვა ცა,
რვა მზე ჰკიდია
სუფთა ალიონს;
ბოლო ისარი
ზღაპარმა დასცა,
ანი, ის წყარო
სხვებმა დალიონ...

იმ მეცხრე ცამდე
ანვდენილ კიბეს
მიაფენ მზერას,
ვით ბოლო სურვილს
და ხელისგულზე
შემომსხდარ ჩიტებს
შენთან დარჩებათ
შემკრთალი გული.

ველარ დავარქვი სახელი წარსულს
და მერე ჯავრის ჩავაცვი შუბა...
თვალს ვერ ვუსწორებ მზეს — მეფის ასულს,
ვერც ბოლო ტყვიას — მიბჯენის შუბლთან...

და სადაცაა ფრთები გავშალე,
ფანჯრის რაფაზე მტვერი დავტოვე...
ველარ დამიხსნის შენი თავშალი,
ვერც სექტემბერი, ვერც სიმარტოვე...

არაფერია. ხომ შევყავარე
აპრილს ჩიტები, ცვარს ბალახები...
უკვე ჩემია მთელი სამყარო
და სულ ერთია, სად დავსახლდები!

დასსხვრეული თისა

ჟუჟუნა წვიმავ, მითხარი რამე
სიყვარულისგან მოკლულს და ძლეულს...
ისე ვეხები მთვარიან ღამეს,
როგორც ქალწულის მთრთოლვარე სხეულს...

და ფერმკრთალ ნიავს, ჩემთან რომ მოაქვს
შენი სიზმარი, როგორც ამბავი
და ბნელში ვიღაც ჩამძახებს: დროა! —
უკვე კანკალებს მთვარის ლამპარიც;

დავხურე ყველა ფანჯარაც, წიგნიც
და რაც კი მქონდა დასახურავი...
ვზივარ ბუხართან ცარიელ ჭიქით,
ქალაღმთ, კალმით და სამღურავით...

არც უმადური ვყოფილვარ, ანდა
გვირილებისგან სიყვარულს ვწნავდი
და როცა მთვარე აღარსად ჩანდა,
ცის კაბადონზე შენ მაინც ჩანდი...

ჟუჟუნა წვიმავ, შენ უნდა მითხრა,
რაც სექტემბერმა ღრუბელს გაანდო,
თორემ დაიმსხვრა სხეული — თისა
და სულთან რაღა მაქვს საკამათო?!



**თამაზ
ბარჯაძე**

მე და აპრილი

ელვამ გადახსნა სივრცე,
წვიმამ მოქსოვა დარდი...
კვამლი ზეცისკენ იწევს,
მინაზე რჩება ლანდი.

შენ სივრცე აღარ გხიბლავს,
უსასრულობას ენდე;
ცაში რა უნდა იღბალს,
ანდა მინაზე ედემს.

ქარებს რად უნდათ სტივრი,
მთვარე ღამეებს მარცვლავს,
მე და აპრილი ვტირით
რაზე, არ იცის კაცმა.

დავდივარ წრეზე

ეს მერამდენედ ისარი დავკარ,
დავდივარ წრეზე და თავბრუ მესხმის...
და სანამ სახელს დავარქმევ საგანს,
ბადეს მოჰყვება მშიერი ლექსი...

სილას გამანწავს ველური ყოფა,
მე დედამინას მივართვე მოშლილს
და ჩემს პატარა სამყოფელს ვლობავ,
რომ ჩავიკეტო საკუთარ დროში!

შენ ისევ ცოცხლოვ

გადანახულიც გაგიცვდა ქოში,
რონინი აღარ უხდებათ ქარებს...
შენ ისევ ცოცხლობ გარდაცვლილ დროში,
ფოთლის შრიალით დამფრთხალი ქალი!

ქოლგის ნაპირზე ჰკიდია წვეთი,
რომელიც ყველა ტკივილს დანებდა
და ქოლგასავით ახურავს წყნეთი
ქალაქს, რომელიც მოგწონს გარედან.

ჩემო მარია

ჩემო მარია, შენ უნდა მითხრა,
შენ უნდა მითხრა, რომ არ დავბერდე!
ისევ თითებით გასწავლი კითხვას,
ისევ მოგიტან ლამაზ კანფეტებს...

ჩემო მარია, მე წლები მათოვს,
ის სიჭაბუკე თუნდაც მეცადა...
მე და ზამთარი დავგტოვეთ მარტო
და იჭიკჭიკეთ შენ და მერცხალმა.

გაზაფხულები მოდიან შენთვის,
ეს მზეც შენია, იას რომ ათბობს;
მე შენს თვალეებში ვიხილე ღმერთი
ტყემლის ფიფქივით თეთრი და სათნო.

ჩემო მარია, შენ უნდა მითხრა,
შენ უნდა მითხრა, რომ არ დავბერდე!
ისევ თითებით გასწავლი კითხვას,
ისევ მოგიტან ლამაზ კანფეტებს.

ის აისი შენი იყო

ეს აისი ჩემი არის:
მზეო, მზეო, დაგასწარი...
ფუნჯად ვინმომ ცისარტყელას,
ცა გავშალე დაფასავით...

და მოლბერტი შემოვქარგე
იის ფრთებით, ვარდის ეკლით...
ეს ცაა, თუ დაფაა, თუ
დედამინის ანარეკლი!

ხელში ვწურავ ღრუბლის გუნდას,
თუ აისის ცეცხლით ვაღლობ...
რა განგებამ ააყვავა
ასე ჩემი სამოსახლო!..

მზეს წავართვი და ხელიდან
გაზაფხულსაც გამოვგლიჯე...
ეს აისი შენი იყო,
იმ პეპელას თუ დაიჭერ.

ის გაზაფხული

ეს გაზაფხული კობტა და თბილი,
რა უცნაურად შემოეხეტა...
კურთხეულ იყოს აპრილის, დილის,
ნაკადულის და წვიმის შეხვედრა!..

ავანთებ თეთრად თუ ბედის ნიშნით
ტყემლებს — აპრილს რომ ტანზე ვაცემედი,
და ვარსკვლავები დგებიან რიგში
ზეცის ბრდღვიალა ჯარისკაცები...

და შენს სარკმელთან იღვიძებს წვიმა,
მთელი ღამე რომ მღეროდა ძილში...
მაგრამ, ძვირფასო, ეს იყო წინათ —
დღეს სხვანაირი შეგაკრთობს შიში,

დღეს სხვანაირად მიდის ზამთარი,
დნება თოვლი და ქვრება ბუხარი...
მაგრამ ის ცრემლი, ცამდე მართალი,
ბრჭყვიალა, სუსტი და საკუთარი

მარტო ჩემია და დღემდე მყოფნის,
თავის მარილით და უმარილოდ...
და ყველა წვეთი, სისხლის თუ ოფლის,
ისევ ცხელია, ისევ ყვავილობს...

დღეს ცა და მიწა ახლოა უფრო,
ჩვენს შორის მაინც წივის მანძილი...
და შენი სუნთქვაც, თბილი და სუფთა,
როგორც საშველად ხელი განვდილი,

ისევ ჩემია, ჩემია მარტო,
სხვა ყველაფერი ქარს დავაბრალოთ...
და გაცეცხულ თვალივით ფართო,
გულში ჩავიკრავს მთელი სამყარო.

დუმს ეს საღამოც

დუმს ეს საღამოც, გათავდა, მორჩა...
დუმს ქარიც, ანდა შეიცვლის სახეს;
ბოლო იმედის ტოტი ვინც მოჭრა,
ის ბოლო კარსაც დუმით აღებს...

დრო ისევ ჩრდილებს უზომავს ფართობს
და უცნაური ცახცახით მართობს...

და ხელისგულზე თავსდება ბედი,
„ბედი, რომელიც მე არ მეღირსა“,
დაეშვა თავქვე ცხოვრების ეტლი,
მთვარის ლაქებიც ავად მენიშნა...

მაგრამ ის ტოტი ვაქციე ნავად,
რომ წარღვნის ტალღამ არ ჩამიტანოს...
ჩემი მშველელი ლექსია თავად —
მარადიული საკარმიდამო!



ჰაერი

ფიქრის დროს ყველაფერი რთულდება, არადა უფიქრობა არ მეხერხება. დავი-
ლაღე. საკუთარ თავში მოგზაურობამ
უკიდვედრო სივრცე გადაშალა, სივრცე,
რომელიც ზოგჯერ აუტანლად ამძიმებს
სულს. კითხვები, კითხვები ფუთფუთებენ,
არადა, მათ გარეშე როგორი მსუბუქი იქნე-
ბოდა ყოფა. ახლა კისერთან ყოველთვის
ნაჯახის ცივი პირი გეხება, როდის ნა-
გაჭრიან თავს, არ იცი და მარადიულ
მოლოდინში ხარ. აქ ყველაფერი გათვ-
ლილია, წინასწარ დაგეგმილი. ნუთუ შენც
დაგეგმილად მოვედინე ქვეყანას თუ
დაუგეგმავმა სექსმა განგაპირობა? ამიტ-
ომაცაა, რომ ადგილი არ გაქვს, ყველას
ეზედმეტი და თვალში ეჩხირები. თუმცა
არსებობს დრო, როცა შენი საჭიროება
დგება და მოგიძევენ, რათა ყველაფერში
შენ დაგდონ ბრალი; ის, რომ ცუდი, წვიმი-
ანი და ქარიანი ამინდია; ის, რომ შუქნიშანი
არ მუშაობს; ის, რომ დღეს მზეს ამოსვლა
დაუგვიანდა, ან სულაც მძლოლმა საჭირო
ადგილას არ გააჩერა ავტობუსი; ის, რომ
საჭმელი საკმარისად თბილი არაა და ასე
შემდეგ. ამ დროს ხვდები, რომ სიტყვების
გამოყენების საჭიროება ქრება და ჩუმდებ-
ი. შენი სიჩუმე ახრჩობს გარემოს. ყავის
სმის არანორმალური სურვილი გიპყრობს.
ეს ერთადერთი სიტყვაა, რომელიც რამდენ-
იც უნდა დალიო, არ გახრჩობს, ის ერთად-
ერთი შენეულია, რომელიც გჭირდება და
არ ჭირდება. თვით შენი კატაც კი საკუ-
თარ სიამოვნებაზე აგებს შენს ცხოვრებას,
გაღვიძებს უკომპლექსოდ, რათა აჭამო, ან
ფანჯარა შეუღო, რომ სუფთა ჰაერი ჩაყ-
ლაპოს და თვალს წყალი დააღვინოს.
მანაც გიყვარს, თუნდაც იმიტომ, რომ
იცის სიამოვნების გემო, ალღო აულო ცხ-
ოვრებას მარტივად და შეგეხიზნა. ასე
დაიძვედრა კომფორტი. მის მწვანე
თვალში არსებული კმაყოფილებით იკვე-
ბები და გეღიძობა უღვაშებზე დაკიდული
რძის წვეთი. ამ წვეთზე დაბადებიდან თქვი
უარი, უფრო სწორად, დედას რძე გაუმრა
და წყლით გვკვებავდნენ ბებია და პაპა. მთის
წყარო გახდა შენი საკვები და უნებლიედ
იქციე უსახლკარო მწყემსად.

დრო

რომელიც არასოდეს გაქვს, რომელიც
არასოდეს გყოფნის. ჯიბეში ჩაჩურთული
პრობლემებიდან ხან რომელი წამოყოფს
თავს, ხან — რომელი. შენც აჩქარებული
ნაბიჯებით გასურს, დაამარცხო ყოფითობა.
თვალდახუჭული დადიხარ, რათა მგზა-
ვრებში საკუთარი თავი არ ამოიციო. მის-
იც შენ ხარ, იცი, და გარბიხარ. ამქვეყნიურ
ნაფეხურებს ვერ გაეცევი, მოგყვებიან და
მოგკვივან. ძნელია საკუთარი თავიდან
შორს წასვლა, შეუძლებელია გაქცევა. ამი-
ტომაც რჩები და დგები წამლების რიგში.
ავადყოფილის გამომწვევი მიზეზები არ
იღვეა. თავში დაღეძილი ქანები მეტასტა-
ზებს წარმოქმნის სხეულში და აბები ავად-
ყოფობას უფრო ამძაფრებენ, აპროვო-
ცირებენ. არადა, რიგში ხარ, შენს უკან
კიდევ უამრავი ადამიანია, დაინფიცირებ-
ის მომლოდინე ადამიანი.

წარსული

ერთდროულად ყველამ აქ მოიყარა
თავი. ის, რაც იყო და დაიტკეპნა. მერე
თვლი დაფურუხე უკანა გზას და წინ გან-
ვარძე სიარული. ვერ გეტყვი, რამდენად
სწორი იყო გადადგმული ნაბიჯები, ანონ-
დანიონის გარეშე გადიოდა დღეები. ღამ-
დებოდა და თენდებოდა ფიქრებით და
დაჭმუჭნული გონება ამაოდ ცდილობდა
ნაკეცების გასწორებას.

ტრამვაი

მიყვარს ეს ტრანსპორტი. ნელა, აუჩ-
ქარებლად მიუყვება ვინ იცის, ვის მიერ
დაგებულ რელსებს და აკვირდება ყვე-
ლაფერს, რაც მის გარშემოა, მიდის და
ამთქნარებს. შენც აუჩქარებლად მიყავხ-
არ და გამახსოვრებს მას, რასაც გადა-
სადგებლად ვერასოდეს გაიმეტებ.

ცა

ფიქრობ, ჭეშმარიტ ხელოვანს სქესი
არ გააჩნია, ის ღმერთივითაა. მისი ტექსტე-



მაია ჯოლბორდი
ის კაცი

ბი, ტილოები თუ მუსიკალური ნაწარმოე-
ბი ბუნების სრულყოფილების ძიებაში გაბ-
ნეული ფიქრებია, მონულ კალათაში უდ-
იერად ჩაყრილი. მისი დაბნეულობა მოუ-
ცლელობის მომიზეზებით ახსნილი ნაკლებ
დამაჯერებელია, უფროვე ამქვეყნიურ
საფიქრალზე დამღლეილი ფიქრისაგან
გაქცევაა, სიზარმაცეა მინიერი ცხოვრე-
ბით გამოწვეული. აი, სწორედ ამიტომ
ვალეფ ფანჯარას და გარემოში გაბნეულ
ხმებს ვუშვებ ოთახში, სიზარმაცე რომ არ
დამწამონ, ამიტომაც ვიღებ თაროდან
ლაქს და ფრჩხილებს ვიღებე, სქესი რომ
განვსაზღვრო და სხვა ქალებს და რი
ქალურობა გავითამაშო. სანოლზე
ნიგნებია არეული, ნიგნებში ფრაზებია
გახაზული და ხაზებში ნატანჯი სულია
სარეცხვით გაფენილი. ეს სარეცხი არა-
სოდეს შერბა, მუდამ ნოტიოა და „ცივი სის-
ოვლის“ მოთმენის დარად გორაკებს მიღ-
მა ხედვის სურვილს გიმძაფრებს. ბავშვებ-
ის ყვირილი ლურსმანივით ჩხვლელს
გონებას, რაღაც არასასურველსა და საეჭ-
ვოს მიჭედებას ცდილობს ცნობიერში. ეს
ცნობიერი შავი ხაზებია, შავ ხაზებს ასოე-
ბი ქმნიან, ასოების მწყობრი ჯარი ძუსაგა-
ვით გადაჭიმულია თეთრ ფურცელზე. ეს
თხუთმეტი წლის ბიჭის ჩანაწერებია,
რომელიც, გვასწავლეს, რომ უნდა შეინ-
ახო. რადგან პრობლემის მარადიულობას
ასახავს და არასოდეს გტოვებს. ბიჭუნა
სიმბოლურია, ის გოგონაც შეიძლება იყოს,
ტექსტს ხომ სქესი არ გააჩნია, ტექსტმა
ხომ დიდი ხანია, მოკლა შემოქმედი და ჭეშ-
მარტივი შემოქმედების ნაყოფად იქცა. ჩვენ
ვტკბებით ბუნების მრავალფეროვნებით,
მოგვწონს დღისა და ღამის მონაცვლეო-
ბა, მზეზე კმაყოფილებით ვირუჯებით და
მთვარესთანაც გულახდლილი ვართ. მი-
უხედავად ამისა, სულიერი ობოლობა
გვიტევს, ცხოვრებას მარადიულ ღამედ
წარმოვიდგენთ და ვამბობთ: „და მიერუ-
ლა სულსა ჩემსა მოწყინებით“. აი, სწორედ
ეს მოწყინება არ გვასვენებს და სიამოვნებ-
ის შეგრძნების უნარს გვაკარგვინებს. მერე
ვინცებთ ხეტილას, გორაკებს იმედის
თვლით ვუმზერთ, გადარჩენა სწორედ იქ
გვეგულება; რატომ, ვინმემ რომ გვიტოხ-
ოს, პასუხს ვერ გავცემთ, თუმცა კი დანამ-
დვილებით ვიცით, რომ ხსნა თითქოს
სწორედ იქ არის, ხსნა გამოქვაბულში, უდ-
აბნოსა და მთაშია. ასე იწყება შემოქმედე-
ბა-მოწყინების ერთადერთი მკურნალი.

უქანგაბლობა

ვიცი, აქ უნდა გიპოვო. ყველაფერმა
გაიარა გულზე. ამიტომაც დამჩემდა
უპაერობა. შენი ძიების პროცესი ახანგრ-
ძლივებს არასასურველ დღეებს, რომ-
ლებიც თენდება და ღამდება სევდით, იმ-
ედგაცრუებითა და ტკივილით. ამაზე
ფიქრიც აღარ ღირს. მივეჩვიე ნუშპესა და
ტალახს. ფერმკრთალი სახე ერთხელაც
ისე დაენარცხება მინას, რომ მზეს შერცხ-
ვება ნათება და დაიღამებს. რაღაცა მოკვ-
და. ჩემდაუნებურად გაცვდა და სანოლზე
გამხლართული გონებაში გაბმულ ძაფებზე
უდიერად ასხმულ ჭილყვავებს ვითვლი.
ისინი გაურკვევლად მრავლობენ. რა უნ-
დათ მათ აქ? როდის დაიკავებს მათთვის
არგანკუთვნილი ადგილი? სიარულისას
ნაბიჯებს როცა ველარ ვიმორჩილებ, ვიხ-
სენებ შენგან მოსმენილ საყვედურებს და
კიდევ უფრო მეტად ვეჯავჭვები მიწას. აი,
აქ დამტოვე, დიდი ხის მორით ზურგზე და
თვალში რისხვა ამოიკეძე, იმ იმედით,
რომ შევძლებდი, ცისთვის სასურველი

ფერი მიმეცა, სინანულით გაჟღენთილი
ხელისგულებით ვინმენდდი უპეებს, ასე ინ-
ყებოდა თავისუფლება და ვნუხდი, ექიმის
ფული რომ არ მქონდა. საკუთარი თავის
გამოკვლევა ერთობ ძვირი სიამოვნებაა.
ყოველ ღამით, როცა მთვარე ჩემში საკუ-
თარ ლაქებს ირეკლავს, დუმილით მოვდი-
ვარ შენამდე და გთხოვ, მაპატიო უსიყ-
ვარულობა. ის ისეთი უსაფუძვლოა, ისეთი
უფერო და უშინარსო. ხის ტოტები უკვე
აღარ არის ხის ტოტები. ალუჩაზე ასვლა
ფესვებს არ გულისხმობს. არც შეღებული
კარი მასპინძლის სტუმართმოყვარეობის
გარანტიაა. ჯერ-ჯერობით მთები არ ქრე-
ბა. ისინი მყარადაა ნაშენი შენი. როცა
ჭიანჭველების ფუთფუთით ვიღებები,
როცა უქანგაბლობა სიკვდილის რისკს
ზრდის, მოვდივარ, რათა თვალებიდან
რისხვა ამოვალეზო. ხვდები, ჩემი დაღ-
ლილი მხრების შეუძლებლობას, მხსნი
მორს, რომელიც უკვე გლუვია და გაღეუ-
ლი, და უფრო დიდი, ძარღვიანი და ხაო-
იანი მორით დასაჩუქრებულს მიშვებ მო-
ფუთფუთე ჭიანჭველებთან. ჩემს დაჭმულ
თითებს მოთმინების სიმწარე ასსოვთ. აქ
საკუთარი თავის გამოკვლევა ძვირი ჯდე-
ბა. ამიტომაც უნდა მაპატიო მკურნალად
რომ ვიქციე, უზმოზე რომ ვსვამ ყავას და
აბებად ფეისბუქის სტატუსებს ვაყოლებ.
მერე მანქანის გასაღებს ვიღებ და სამსახ-
ურში მივდივარ. დაღლა ხომ ბავშვობიდან
ნასწავლი ბუნებრივი პროცესია. გაუსა-
ძლისობამდე. ყანგაბლობა კი — ძვირი სიამ-
ოვნება. მორის სიმძიმე არასოდეს დამავი-
წყებს გზას ჩემიდან შენამდე.

ფიქრი

დაღლილ სიცოცხლეს ვებრძვი
ყოველდღიურად. გათენებიდან დაღამე-
ბამდე დრო ზედმეტად ინელბა ზოგჯერ.
გახუნებული ნაბიჯებით დავდივარ და მი-
ნიდან ენერჯის ველარ იღებს ჩემი ულონო
სხეული. სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე
გაცილებით ძნელი ყოფილა. ხანდახან
ფიქრობ, ხომ არ შევცდი ნაადრევად რომ
მოვიკალი თავი. მანამდეც რა იყო. გაუსა-
ძლისმა ყოფითობამ მზე დამავიწყა. ადამი-
ანების მხერით დამძიმებულ მხრებს რო-
დემდე მოვუხერხებ თრევას, ძნელი სათქმე-
ლია. არადა ჩემი თითები სიცარიელეს ეძე-
ბენ რახანია. დღის 9 საათიდან 4 საათამ-
დე უწყისებში ქექვია დამდალა. პირადი
ნომრების გადამონებებით წყდება
პიროვნების არსებობა. ერთი ციფრიც რომ
შეგეშალოს, უკვე სხვა ადამიანი წამოიმა-
რებდა შენს წინაშე იმავე სახელითა და
გვართ. მერე ხელახლა იწყება ყვე-
ლაფერი. მარადიულ დაბადებაში ვართ
თითქოს. ზღვა მომეძრა. ის სიცარიელეს
და სიმსუბუქეს ბადებს ჩემში. მშვიდი უში-
ნარსო ზღვა, მხოლოდ თოლიების თანხ-
ლებით. არავითარი ადამიანები. სიცოცხ-
ლე ფიქრით ჩაეზარდა სხეულს, რამდენ-
ჯერაც უნდა მოკლა თავი, მინც ცოცხა-
ლი რჩები. ზღვა ქრება და ყოველდღიურ
ტანჯვას დილის 9 საათიდან საღამოს 4
საათამდე თვეში 500 ლარით გინაზლაუ-
რებენ. უმინარსო ნაბიჯებით ოჯახისთვის
ნოყიერ საკვებს ვერ მოამზადებ. შენი ტან-
ჯვა მხოლოდ წყალმყალა წვნიანის ინგრე-
დიენტებს თუ ეყოფა. ფიქრი
უკვდავია, ზღვა მირაფი, თოლიები კი აქა-
იქ გამორეულ მზის სხივებს გამოჩენი-
სთანავე ყლაპავენ.

მდინარე

ყოფითი პრობლემებით აკინძული
სიარული უკვე ფუფუნებად მექცა. იქ, შიგ-
ნით, სიმორეა და სიცივე. გახსოვს ალბათ
ჩემი მოზგენილი სასოგამოცლილი
თვალის თხოვნა. ამიტომაც ამისრული
სურვილი. ამიტომაც გაქრა. ჩემსა და მას
შორის მანძილი გაიზარდა ჯერ თანდა-
თანობით, მერე უსაშველოდ გაიწვია.
პროცესები ისე მიმდინარეობს, ვერ
ვერკვევი. ვგრძნობ, რომ რაღაც ძალზე
მნიშვნელოვანი დაგეგმვა ვაყურადებ,
ნუთუ იმდენად შემოიღია ჩემი თავის მარ-
თვა, რომ დაკარგული სითბო აღვადგინო
და მარადიულობის განცდის სურვილი კვ-
ლავ გაჩნდეს? ჯერჯერობით გარედან
ვუსმენ სუნთქვას. მგონია, დაბრუნდება
მისი სუნთქვის ჩემს ფილტვებში გატარებ-
ის პროცესი და გაუცილებელი სითბოს
დაგუბებაც მოხდება. იმ სითბოს, აქამდე
რომ ჭარბად გამოიმუშავებდა ჩემი გული.

მონატრება
(მოგონებების სკივრი)

აქ ყველაფერი ძველია და გამოსადე-
გი. სურათების გარეშე დარჩენილი მტვრი-
ანი ჩარჩოები სევდასა და სიხარულს ერთ-
ნაირად ამძაფრებენ ჩემში. მოგზაურობის
დაწყების დროა, ვხვდები. თავზე დიდი ბე-
ბიის ნაქონი თავსაფარი უნდა წავიკრა და
საძებნელად გამოვეშურო. გზაზე ხახვის
ფოთოლი არავის დაუყრია, ვიცი. რთული
იქნება თქვენი პოვნა, ძალიან რთული. თან-
ამედროვე ეპოქა თქვენი დანახვის შესა-
ძლებლობებს კლავს და აქრობს ერთ-
დროულად. მაგრამ სურნელს წამოყვები.
თქვენი მტვრისა და ტანსაცმლის სუნს,
სოფელში შემორჩენილ ხის კარადაში
ობლად რომ გამომწყვედვულა და ჩემი ჩას-
ვლისას რომ კრთება. გზადაგზა ნახშირის
მძიმე უთოთი გავითბობ გაციებულ ტერ-
ფებს. ვიცი, ოდესმე მოვალწევ თქვენამდე
და მერე ველური პიტნის ჩაისთან ერთად
დავტკბებით ერთმანეთის ფიქრებში არეუ-
ლი ფიქრებით. ახლა ხელები უნდა და-
ვიკაპინო და რაც შეიძლება ღრმად შეგ-
ისუნთქოთ. ამის გარეშე ჩარჩოებში სუ-
რათების აღდგენა არ მოხერხდება.

ბებო

საკუთარი შვილის ცხედრებით ამწვარი
შენი ხელისგული გულს მოითუქავს ბებო,
მაგრამ ისე შორსა ხარ, მხერის შიგნით
მოქცევა არ ხერხდება და აქ ვიჭირი მო-
მავალში დაკარგულ წარსულს. ვიცი, მაპ-
ატივებ და მანუგეშებ კიდევ უგრძობ სამ-
ყაროში შობილს. აქ ხმაური მხოლოდ ხმაუ-
რია და სიჩუმე მხოლოდ სიჩუმე. აქ მილ-
ურსმული მავებიდან მომდინარე სისხლით
წყურვილს იკლავენ და მეტი არაფერი.
გემო დაკარგა ჰაერმა. შენ ალბათ ისევე ისე
თლი დაშაქრულ მსხალს მუხის ძირში მჯ-
დომარე და შეილიშვილებს უწანილებ.
თავსაბურავში ვერცხლის სავარცხლის
კუთხე მოგიჩანს, მასზე ამოტიფრული
ჩიტები კი, ვიცით, ჩემთვის ჭიკჭიკებენ.
მხოლოდ ჩემთვის.

აქ და ახლა

მდინარე ტალღებს იშვიათად აჩენს.
მანაც სიბნელეა ტყეში. ჭრიჭინები გამა-
ლებული ჭრიჭინებენ. ნეტავ ყველაფერი
ჭორი იყოს. ნეტავ ყველაფერი ჩემი ავად-
ყოფური გონების შეთხზულ შენობას
წარმოადგენდეს. მაგრამ ხელები ძველე-
ბურად ფხაჭიან სხეულს და ეს არაა,
ვიცი, მხოლოდ ინსტიქტის ბრალი. არც
ბელურების სწორხაზოვან გაბმას წარ-
მოადგენს სინათლის ბოძებს შორის გავ-
ლებულს. ეს ყველაფერი წარსულიდან მო-
მავალში ნაკარნახევი სინამდვილეა,
რომელსაც ვიცი, ვერანაირად ჩაუყურებ
და საბოლოოდ არაშენებელი შენობის
სადირკველშივე გრვევის გარანტიად
იქცევა. იქნებ ამიტომაც ვდევნარ მინის
გარეშე არსებული ფანჯრის წინ და სიბ-
ნელეს საკუთარ სულში ვირეკლავ. დილ-
ით წირვაზე წასვლა შემეზარა. ყავას ვს-
ვამდი და ზარების რკვეა ამძიმებდა ყოვ-
ელ გადასაყლაპავად გამზადებულ
ყლუპს. ვიცი, გიპოვი აუცილებლად და
ხელს აღარ გავტოვებ. დაგრძელება ჩვე-
ნი დამაკავშირებელი ხაზები, ბანარი
თოკად დაიგრძელება და ერთმანეთის სულ-
სა და სხეულს შეჩვეულნი აღარასოდეს
დავიშალებით. ციციანათელა მოჩვენები-
თობაა, ხელზე დაისვამ და შუანელში სუს-
ტად განათებული უგერვილო და უსახ-
ური ჭია შეგრჩება. ის შორიდანაა ღამაში
შენგან განსხვავებით. შენი შორი ნათელი
კი უფრო შიშისმომგვრელია, ამიტომაც
ჯერ თვალდახუჭული უნდა მოგიახ-
ლოვდე, მერე შენი კოჟრიანი თითები
გონებაში გამოვქვინო და ნელ-ნელა შეგ-
ეჩვიო; ვიცი, შეხება არ იქნება ადვილი. მა-
გრამ ალბათ უფრო მათთვის, ვისაც მი-
წაზე მყარი საძირკველი აქვს. მე კი
არაფერი მაკავებს. ამიტომაც მოვდივარ
აქ და ახლა ამ უმინო ბნელი ფანჯრის წინ
მდგარი შენთან. ყვეთელ კედელს აღარ
შეუძლია ჩემი შეჩერება. დადლილი ფრა-
ზებით გადახურულ სახლს უჭირს სითბოს
შენარჩუნება. დილის ზარები ამძიმებენ
ყოველ ყლუპს, რომელიც ოჯახის ექიმმა
გამომინერა უზმოზე. შენ აქ და ახლა.
კიდევ კარგი, რომ ფანჯარას მინა არა
აქვს.



Alain et Edith

- ალენ, თეატრში ხარ?
- კი, ედ...
- მშვიდობიანი დღე, ალ...
- მშვიდობის სალამს გიგზავნი!..

ედიტმა, როგორც ამ ბოლო დროს დასჩემდა, დიალოგი აღარ გააგრძელა. ალენსაც თითებზე მიეყინა მობილურის კლავიატურაზე ასაკრეფი სიტყვები. იქვე, საგრძობად მაგიდაზე, ვილაცას გადაშლილი წიგნი დარჩენოდა. ამოაბრუნა და ყდას შეხედა — „ჟან კოკტო და ჟან მარე“. წიგნი ადგილზე დააბრუნა. ედიტი ენატრებოდა. ის დრო მოეზვინა ყელში, ერთად რომ დახეტიალობდნენ სტრასბურგის ბოტანიკურ ბაღში. ედიტი წითელ-ყვითელ ფოთლებს მკლავებზე იგროვებდა და მერე თავზე იყრია. მისი ბუნებრივი ხვეული, ჟღალი თმა და დაჭორფილი ცხვირი ყოველთვის ღიმილს ჰგვრიდა. კლებელის მოედნის მეორედი წიგნების ბაზრობაზე ბოდილიც მოენატრა და გადაყვითლებული გვერდების უსასრულოდ ფურცლაც კიდევ, „Bagelstein“-ის მაფინები და მწარე ყავა. ედიტი უსაშველოდ ბევრს ენოდა, ნაფაზებით. ბარის მაღალი სკამიდან რომ ჩამოვიდოდა, ალენს მხარზე მოეჭიდებოდა თავბრუსხვეული და აკისკისდებოდა ხოლმე. გაეღიმა. არ უნდა გაეშვა! თუმცა... სულ ბოლოს, კვირა დილით ესტუმრა. ბალერინასავით თითის წვერებით შემოირბინა ყველა კუთხე-კუნჭული. აურ-დაურია წიგნები, ჟურნალები. მისი ბოლო როლი აიღო და იარტისტა. თითებზე ზეთის საღებავი შერჩენოდა — გათენებამდე ვხატავდიო! დამშეულმა მაცივარში შეყო ცხვირი და აბუზღუნდა — სტუმრის დახვედრა ასე უნდაო? ალენმა ხელში აიტაცა. ედიტი აყვირდა, თან გამხმარი კრუსანის ალენს ცდილობდა...

სალამოს სპექტაკლი ჰქონდა. ერთად გავიდნენ. მესამე დღე იყო. ჯერ კიდევ ჩაუცმელი სიგარეტს ენოდა, ფეხები დაბალ მაგიდაზე შემოეწყო და ადამიანების გამოსასულელებელ გადაცემებს ავლებდა თვალს სხვადასხვა არხზე. მობილურში Iggy Pop-ის „Ne me quitte pas“ ჩაირთო. — ნუ მიმატოვებ... — წაიმღერა თვითონაც... რკინიგზის სადგურში ედიტი ჩემოდანზე ჩამომჯდარი დახვდა. ერთ ხელში სამგზავრო ბილეთი და მობილური, ხოლო მეორეში მოსაკიდებელი სიგარეტი ეჭირა. დელავდა. ალენს თვალს ვერ უსწორებდა. — გამოფენაზე მივდივარ ოკეანის გაღმა! — ამოღერდა და ჩემოდანზე მიყუდებულ, შეფუთულ ნახატებზე მიუთითა.

ჩქაროსნული მატარებლის გასვლამდე, კიდევ იყო დრო. Starbucks-ში ყავის დასალევად შევიდნენ. თვითმფრინავის ბილეთი პარიზიდან დაეჯავშნა.



სტრასბურგელები

ალენი ნაწყენი იყო. ედიტს არც უცდია თავის გამართლება. — მალე დავბრუნდები. — გეთქვა და მეც გამოგყვებოდი, — ალენმა.

გამომშვიდობებისას, სათუთად მიიხუტა გულზე... მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. რეპეტიციის დაწყებამდე 10 წუთი რჩებოდა. კარში ლუკასმა შემოიხედა და შოკოლადის ფილა დაუტოვა... ალენს ისევ თვალში მოხვდა წელანდელი წიგნი: „ჟან კოკტო და ჟან მარე“... სალამოს თეატრიდან გამოსული ალენი ხელში ელზასური ღვინითა და კუთხის რესტორანში ნაყიდი Tahte plambe-თი შეაღებდა ბინის კარს. საკუთარ მართობას უკვე მერამდენედ გაუმართავდა მცირე ნადიმს. ჰო, კიდევ ამოჩემებულ ფოტოს მიაჩერდებოდა, მემილიონეჯერ. ღვინოს მოწრუპავდა და აბუზღუნდებოდა: — ედ, მე ხომ წმინდანი არა ვარ... როდემდე გელოდო? როდემდე გელოდო ედიტ?...

Sidonie

სიდონიმ დასუსტებული მოძრაობით აიღო ბალიშის გვერდით დადებული მო-

ბილური და ერთი წინადადების დაწერა ძლივს შეძლო: „სევდიანი ღიმილი მოსდევს შენზე ფიქრს...“

„სულ გგრძნობ ჩემს სულში...“ — მარსელიდან უპასუხა ანტუანმა. გაიღიმა და საბანი სახეზე გადაიფარა. ბავშვობაშიც ასე იცოდა, რამე რომ ესიამოვნებოდა, შერცხვებოდა და სახეს ხელებში მალავდა. მობილური გადაცურდა და იატაკზე დაეცა. არ გატოკებულა. Esplanade-ს გაყვავებული იასამნები წარმოიგინა და ოთახის ჩაგუდული ჰაერი ღრმად შეისუნთქა. თითქოს სადღაც გონებაში დალანდა კიდევ, ქუჩისკენ გადმოხრილი, აყვავებული ტოტები...

ზუსტად ერთი წლის წინ, ორანჟერიის შესასვლელთან შეხვდა ანტუანს, რომელმაც ნახევარი დღე თავის საქმეებზე ატარა. მაშინ სიდონი ძალიან დაილაღა, მშვირიც იყო. დიდხანს მოუნია მანქანაში ლოდინი, სიგარეტს სიგარეტზე ენოდა და თან უკანა სავარძლიდან ალბელ ლიტერატურულ ჟურნალებს ათვალეერებდა. იქვე ახლოს ბავშვები თამაშობდნენ. ხმაში-ღლა იცინოდნენ. ლაღად და თამამად. თავისი შებოჭილი ბავშვობა გაახსენდა... მანქანიდან გადასვლა და სახლში წასვლა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. Librairie Kléber-ში ფასდაკლებები დაწყებულიყო. იქნებ შევიაროთო — გაიფიქრა და კიდევ ერთ ღერს მოუკიდა. გვერდით სარკეში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრა თვალი, სახეზე მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ანტუანი დაწესებულებიდან დაწესებულებაში დარბოდა და რაღაც საბუთების მოგვარებას ცდილობდა. სიდონის უნდოდა სერიოზულად დალაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. საქმისგან განთავისუფლებული ანტუანი, როგორც იქნა, მანქანაში ჩაჯდა, აკოცა და სად წავიდეთო, იკითხა. სიდონიმ მისი ხელი აიღო და ლოყაზე მიიღო...

პირი უშრებოდა, გაზიანის სასმელის დაღვევა მოუნდა. მობილური გამუდმებით რეკავდა. იატაკიდან ალება სცადა, მაგრამ ამოდ. ძილი მოერია, ზარის ხმაც თითქოს სადღაც შორიდან ისმოდა. პირში გემო გაუმწარდა, აზიდებდა. ხერხემალიდან სისველე იგრძნო. თვალწინ ის ფოტო დაუდგა, შემთხვევით რომ აღმოაჩინა სოციალურ ქსელში, პატრიციას კედელზე. სიდონის ნაჩუქარი პერანგი ეცვა ანტუანს...

გაიღიმა... სხეულს უკვე ვეღარ გრძნობდა, მობილურიც დადუმებულიყო...

კვდებოდა სიდონი... გარეთ გაზაფხული იდგა... კალენდარზე კი ბოლო ფურცელი გადაყვითლებულიყო — უკანასკნელად რომ შეხვდნენ, იმ დღის...

Jacques

ჟაკი ფინქვილელის დაწყებითი სკოლის ეზოდან დაღლილი გამოვიდა. წითე-

ლი ჯვრის დამაარსებლის — ანრი დიუნანის — ბიუსტს ჩაუარა და „პატარა პარიზის“ უბნისკენ ნელა გაუყვა ქვაფენილს. „პონ ქუველის“ ვინრო ტროტუარზე შედგა, რათა სწრაფი ნაბიჯით მომავალი ორი ტურისტი გაეტარებინა — გზა ვინროა და თქვენ მიბრძანდითო. — დააყოლა.

— მელსი! — მოაძახეს და ქვეყნიერების ბატონ-პატრონებით განაგრძეს გზა. ჟაკს გაეღიმა. რომ არ მორიდებოდა, ალბათ ზედ შესდგებოდნენ.

მდინარე ილიში იხვები დაცურავდნენ. ნიაგმა ახლად მოდულებული ყავის და ცხელი კრუსანების სურნელი მოიყოლა. მოძველებული მოდელის მობილურით რამდენიმე ფოტო გადაუღო გარემოს და სახლისკენ გასწია. ერთმანეთზე მიწყობილ, შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ, ლამაზ და კოხტა სახლებს თვალს აყოლებდა და სიმშვიდე ეუფლებოდა. კარგა ხანი იყო, აქეთ აღარ მოხვედრილიყო. მიდიოდა და ადრინაი გაზაფხულის უთბილეს მზის სხივებს ეფერებოდა ჩუმიად.

ალაგ-ალაგ საღებავადაცლილი რკინის მოჩუქურთმებული კარი ფრთხილად შეაღო და ეზოს კიბეზე დაეშვა. სახლში შესვლისთანავე ცოლს გასძახა:

— მელანი, მოვედი! ფანჯრის ჟალუზები დახურული იყო და ოთახში სანახევროდ ბნელოდა. ჟაკი სარწვეველა სავარძელში ჩაჯდა, მკლავები თავკევემ შეინყო და რამდენჯერმე გადაირწა.

— მელანი, ცოტა დავილაღე, მაგრამ მაინც ნასიამოვნები დავრჩი დღევანდელი დღით. იცი, კარგია, მაღამ იზაბელამ ეს კურსები რომ შემომთავაზა. რომ იცოდე, რამდენი ეროვნების ადამიანი გავიცანი. ორი ალბანელი, მათგან ერთი საოცრად მხიარული, მაროკოელი არაბები, სომეხი ცოლ-ქმარი, ერთი ქართველი, ესპანელი, ჩეჩენი, ქურთი, რუსი, რომელიც ფრანგზეა გათხოვილი და ასე თუ ისე, ცოტათი მაინც ლაპარაკობს ფრანგულად. დღეს ანკეტები შევავსებინე და თავშესაფრის მაძიებელთა დამხმარე ბროშურები დავურივე. ჰო, კიდევ დაფაზე დღევანდელი თარიღი დავანერინე. საშინლად მორიდებულიები არიან, ვისაც ვთხოვე, არავინ ისურვა გამოსვლა. მეტი რა გზა მქონდა, ისევ მე დავწერე. მელანი, რა კარგი ამინდია გარეთ, იცი? მოდი, ჟალუზებს გაგხსნი და ოთახს გავანიავებ. ეზოც მისახედია, შაბათ-კვირას შენს საყვარელ ყვავილებს მოვიტან და დავრგავ. უპირველესად, სუმბულებს და ნარცისებს.

ჟაკი წამოდგა. ჟალუზები ასწია. პატარა, მრგვალ მაგიდასთან მივიდა, საქორწინო ბეჭედი მოიხსნა და ცოლის ფოტოსურათის წინ დადო.

— აჰა, მელანი, ჩაგაბარე, როგორც ყოველთვის. ახლა უკვე სახლში ვარ...





ნიგნის სათაური, „ავე, ევა“, პალინდრომია, მოხდენილი და მოსწრებული, ეგებ გვეთარგმნა და თუ ვთარგმნით — გამარჯობა, სიცოცხლე — გამოვა.

მაგრამ არა! ნუ დაგვავინცდება, რომ დათო მალრადის შემოქმედებაში უხვადაა სატირული პათოსი და ამ პალინდრომში, ევას ხომ ესალმება და, თან, მთელ მსოფლიოში მოზღვავებულ სტერილურსა და შიშველ „სექსუალობას“ ამხელს თუ ეხმაურება...

AVE, EVA!
(ისქესა სექსი)

- ადამს მადა!
- ევას Ave!
- აი, ია
- ევასსავე.
- ავე, მადამ ევა!

დათო მალრადე არ წერს ლექსებს დაწინებით ან შემთხვევით, ან ხანგამოშვებით, წერს წიგნებს, ამ წიგნებში თავის სათქმელს ლექსად გადმოსცემს. საქართველოში ბევრი წერს ლექსებს. მერე შეაგროვებენ და კრებულად გამოსცემენ... დათო მალრადე პოეტიკა. საბედნიეროდ, საქართველოში დღესაც არიან პოეტები და მათ აქვთ საკუთარი ხმა.

დათო მალრადე წერს წიგნს. „ავე ევაში“ შესული ლექსების უმრავლესობა „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა და მიუხედავად იმისა, რომ შთამბეჭდავი იყო, მაინც არ ჰქონდა ის ეფექტი, რაც წიგნად გამოცემულს აქვს, იმიტომ, რომ აქ სრულია — პოემა, თუ გნებავთ.

ეს არის წიგნი, გადაშლილი და პოეტს ესაუბრები. და პოეტი რთულ, ძნელ საუბარში გინვევს. რთულში იმიტომ, რომ ინტელექტუალურ დიალოგში გითრევს და თუ ვერ



პაატა ჩხეიძე

პოეტის

სამოქალაქო ლირიკა

აჰყვები, გაუბრაზდები და წიგნს მიაგებ, თითქოს რამე დაეშავებინოს. ძნელში იმიტომ, რომ ღრმა განცდებს გიმხელს და უნდა ენდო, უნდა მოითმინო, უნდა აჰყვე, ეგება გზაც გაგაკვლევინოს თავისაში კი არა, არამედ შენს, საკუთარ, განცდებში.

ეს წიგნი ორიგინალური ციკლით იწყება — ლექსები წიგნებზე. აქაა ჰემინგუეის, კამიუს, ჩეხოვის, პრუსტის, დოსტოვესკის, ფამუსის წიგნებზე დაწერილი ლექსები, და არა თუ მხოლოდ ლექსები, არამედ პოეტის განცდები, აღძრული წიგნის ნაკითხვისას. კრიტიკოსს ევალემა, რომ მკითხველს გააგებინოს, თუ როგორ ახერხებს პოეტი მისი ემოციის გამოწვევას, ხოლო პოეტი, აქ, საკუთარ განცდებზე გვესაუბრება და ვერც კი გაიგებ, თუ რატომ ჰქვია ამ ლექსს სწორედ ეს სათაური და ვერც იმ წიგნს იცნობ, პოეტის ნაკითხულს, თუ არ მოითმინე და არ ენდე, და ეგებ გაუგო კიდევ მასაც და საკუთარ თავსაც.

ქართული შოულიტერატურა ლაიფციგ-ფრანკფურტის ბაზრობიდან ბაზრობამდე ცხოვრობს. „ბაზრობა“ კი არა, „გამოფენა“ უნდა იყოსო, სამართლიანად აღნიშნა ამას წინათ საგულისხმო წერილში გიორგი მესხმა — ეშვადებიან, თარგმნიან, წამსვლელთა სიებს ადგენენ და იმაზეც ზრუნავენ, რომ მწერლებს, ახალგაზრდა იქნება თუ ხანდაზმული, აუხსნან, თუ რა და როგორ უნდა დაწერონ, რომ ევროპელი გამომცემლების ყურადღება მიიქციონ. დათო მალრადე, როგორღაც, განზე დგას ამ ფუს-ფუსიდან და არც ის აინტერესებს, თუ რა უნდა მოეწონოთ ევროპელ გამომცემლებსა თუ პრემიების გამცემებს; იგი საქართველოს მდგომარეობაზე (Condition of Georgia), საქართველოს ბედზე წერს — ამ თემაზე წერდნენ ინგლისელი ვიქტორიანელები, ამ თემაზე წერდა ტატო ბარათაშვილი — და სულაც არაა გასაკვირი, რომ ინვევენ, ბეჭდავენ და აჯილდოვებენ ევროპაში, რადგან იცინა პოეზიის ფასი.

მინას ვარჩიე ცა ულიმიტო,
უკან ვაბრუნებ ბილეთსაც გემის
და თუ ვკამათობ, მხოლოდ იმიტომ,
სამშობლოდ იქცეს ქვეყანა ჩემი.

ყელში არ ჩადის მომთხლო სითხე,
არ იკითხება
ის, რასაც წერენ...
და ვერ აგნებენ, როდესაც მკითხველს,
ეტმასნებთან ერთმანეთს მერე.

დათო მალრადეს სათქმელი აქვს, იცის, რასაც წერს და რისთვისაც/ვისთვისაც წერს, აქვს ხმა და აქვს სტილი. იგი იმ ქართველ პოეტთა შორისაა, ვინც კი არ მიბაძა, არამედ შეითვისა და მერე გაეყარა, გაექცა და მერე დაუბრუნდა და გვერდში ამოუდგა დიდ წინამორბედებს. მის წიგნში მრავალი პოეტი ცხოვრობს, მაგრამ ყველაზე ხშირად ტატო ბარათაშვილი იხსენიება და გაჰხედავს პოსტმოდერნულ მინიერება/ზინიერებაში მოხვედრილი პოეტი წინაპრის პროლვას და სურს, მიჰყვეს:

— გასწი, მერანო! — მერანის დარად...

და, იქვეა დროის ერთ, მთლიან მარადიულობად გააზრება:

და ის რაც იყო,
თუ მართლა იყო,
სამივე დროში იქნება მარად.

და, იქვე, ისევ მკითხველისათვის გამიზნული გამოცანა და საფიქრალი:

ჩავლილია მოძმისთვის თავგანწირვა ტატოსი,
ფეთქავს გალაკტიონის თავდადება თავისთვის.

ხომ პატარა წიგნია, სულ რაღაც ოცდაორი ლექსია, ანუ მცირე პოემა, მაგრამ, აბა, მიჰყევით და ნახავთ, როგორ დაგლლით, თუ ყველაფრის გაგებას მოინდომებთ და მერე ეგებ ვინმეს კომენტარების დართვაც მოუნდეს...

ჰო, სატირა ეხერხება დათო მალრადეს, მაგრამ იგი უფაქიზესი განცდის მქონე ლირიკოსიცაა. იგი ხედავს მშვენიერებას, შეუძლია, გამოარჩიოს ამ ნაცრისფერ გარემოში და მის მიერ აღქმულ სილამაზეს ვერ შებილნავს ალვირახსნილი სექსუალობა; აი, იხილეთ, თუ რაოდენი ინტიმია ამ ერთ პატარა სტროფში და როგორ უფრთხილდება პოეტი ნამიერ გაელვებას ვნებისა:

და ხედავს თვალი ვნებიან ამბავს,
— ოთახში დამხვდეს ახლა ნეტავი...
ნაპირის ნიავს ზაფხულის კაბა
სასტუმროსაკენ მიჰყავს ხელკავით.

და მაინც, წერილი სატირით უნდა დავასრულო ლექსიდან „ბირჟა“:

ვერ დავტოვე სტრიქონი ანაბარად მესიის,
ვანუგეშე კარმენი, ნაცვლად არა მინდა რა,
ვერ ჩავდექი გრძელ რიგში დეპუტატის
პენსიის,
შევეუშვირე ცის ვარსკვლავს
ეპოლეტი მუნდირის.

თუმცა გასაოცარი არცაა არის ამაში,
პოეტს მეტი მზე უნდა,
მეტი სივრცე,
ცა მეტი...
მონიტორზე ციმციმებს ფულის კურსის თამაში,
ოცდაათმა გააკრა
ჯვარზე ოცდაცამეტი...

ამ სულის ფორიაქმა ძეგვისკენ დამიბარა,
და ქართული აქცენტით
მესმის: — არა უშავო...
— საითა ხარ, — მკითხულობს კიკოლაანთ
ქიმბარა,
— მისტერ ქიმბო, ძმის გულს,
ზარში ენად ვმუშაობ.

სიყმაწვილისაკენ გახედვა და ყმაწვილური განცდების მონატრება უცხო არაა პოეტისა თუ პროზაიკოსისათვის, მაგრამ, აი, წავიდა სიყმაწვილე და გეკითხებიან, საითა ხარო, ანუ რას აკეთებო, ივარგე თუ არაო და პასუხად გაისმის უზუსტესი მეტაფორა პოეტისა, ვინც ასე განსაზღვრა თავისი დანიშნულება — „ზარში ენად ვმუშაობ!“

პოეტმა იცის, რომ ზარის დადუმება არ შეიძლება, ზარი უნდა რეკდეს და მრეველი უნდა შეიკრიბოს ზარის ხმაზე.

აი, ასეთია დათო მალრადის სამოქალაქო ლირიკა, ლექსი სატირული პათოსითაა განმსჭვალული და ლირიკული აქცენტით ბოლოვდება...



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004